მასწავლებელი

მასწავლებლის კარიერა

რა არის სერტიფიცირება

შსაფრთხო სკოლა

N1, 2010



ჟურნალი

მასწავლებელი

აცხადებს კონკურსს!

მასწავლებელთა თანამშრომლობის პროექტზე

ჩაერთეთ კონკურსში! გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება!

გამოგვიგზავნეთ პროექტის გეგმა

საუკეთესო პროექტის ავტორები საჩუქრად მიიღებენ
ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო პროექტი გამოვლინდება.
პროექტის გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!

საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

რა განაპირობებს განათლების უპირატესობას, რატომ უნდა იყოს განათლება პრიორიტეტული? იაპონიის განვითარებისა და წარმატების მაგალითი ამ კითხვის კარგი პასუხია. მრავალი ქვეყნის მეცნიერის დაკვირვებით იაპონიის მაგალითზე, განათლების სისტემაში ჩადებული სახსრები ყველაზე დიდი კაპიტალდაბანდებაა წარმატებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ხარისხიანი განათლების უპირველესი კომპონენტი პროფესიონალი მასწავლებელია. ჩვენი ჟურნალის მიზანიც მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობაა. ვცდილობთ, ყოველ ნომერში მოგანოდოთ საინტერესო და საჭირო რესურსი, რომელსაც მხოლოდ ინფორმაციის სახე არ ექნება, არამედ კონკრეტულ ვითარებაში, კონკრეტულ გაკვეთილზე გამოიყენებთ.

თანამედროვე განათლების მიზანიც მხოლოდ ინფორმაციის მიღება არ არის. სოციალური თუ ტექნიკური ცვლილებები, უპირველესად, რა თქმა უნდა, განათლების სისტემას, მის ხარისხსა და მიდგომებს შეეხო. თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, მას შემოქმედებითი თვითგანვითარების ფორმირება და ფართო ცოდნის მიღება დაეკისრა, რომელიც წარმატებული ცხოვრებისთვის მოამზადებს ახალგაზრდას და ეს ცოდნა არ იქნება მხოლოდ ცოდნისთვის.

ალბათ ამიტომაცაა, რომ საზოგადოებაში ეჭვქვეშ არ დგას სერტიფიცირების საჭიროება. მასწავლებლებიც უკეთ ვხედავთ, რა გამოწვევები დგას ჩვენს წინაშე და რა სიძნელეები გვაქვს გადასალახი იმისათვის, რომ უფრო ხარისხიანი განათლება შევთავაზოთ ჩვენს მოსწავლეებს და ისინი მოვამზადოთ კონკურენტული გარემოსთვის. ახლა დიდი ყურადღება ეთმობა სერტიფიცირების საორგანიზაციო საკითხებსა და განხორციელების ფორმებს. აქედან გამომდინარე, ჟურნალი „მასწავლებელი“ დეტალურ ინფორმაციას სთავაზობს სერტიფიცირების პირველ ეტაპზე გასვლის მსურველ მასწავლებლებს, სერტიფიცირების პროცედურების და პროცესის შესახებ.

ასევე, მიგვაჩნია, რომ ყველაზე კარგი მეთოდი, რომელიც მასწავლებელს ცვლილებებსა და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულს გახდის, კოლეგებთან თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდია. გამოცდილება მოწმობს, რომ ასეთი მასწავლებლების მოსწავლეებიც უფრო მეტად მოტივირებულები არიან და მაღალი აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევიან. მასწავლებლებს თანამშრომლობა და ურთიერთსწავლების მეთოდი ეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში. საგულისხმოა, რომ ასეთი თანამშრომლობის შემდეგ, ყველა ერთხმად აღნიშნავს, თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდმა გაკვეთილზე მოსწავლეთა ყოფაქცევაც გამოასწორა.

სწორედ მოსწავლეთა სოციალური ქცევებია ჩვენი „მრგვალი მაგიდის“ თემაც, სადაც ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა და განათლების ექსპერტებმა დღევანდელი სინამდვილე გააანალიზეს და ბავშვების აგრესიის გამომწვევ მიზეზებსა და პრობლემის გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

როგორ გავხადოთ მასწავლებლის პროფესია უფრო პრესტიჟული და მიმზიდველი საზოგადოებასა და მოსწავლეებში? რა გაზრდის მასწავლებლის ავტორიტეტს? ამ მნიშვნელოვან კითხვებზეც შევეცადეთ, მოგვეძებნა პასუხები და პროფესიული განვითარების, პიროვნული ინიციატივებისა და კარიერული ზრდის აუცილებლობაზე გვესაუბრა სერტიფიცირების უმნიშვნელოვანესი პროცესის წინ, რომლის გზაზე და შემდეგაც სახელმწიფოც, თავის მხრივ, მხარდაჭერას გვპირდება:

„თქვენს ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენ კი ვეცდებით, მასწავლებელს ჰქონდეს განცდა, რომ რასაც აკეთებს მნიშვნელოვანია და ყველასაგან დაფასებული“, – გვითხრა ინტერვიუში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა

ჟურნალი „მასწავლებელი“ კვლავ ჩვენი შეხვედრის ადგილია. მოგვწერეთ და გამოგვეხმაურეთ.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი

N1(7), 2010

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედკოლეგია:

სოფო გორგოძე
პაატა სირგილაძე
თამარ მოსიაშვილი
პაატა პაპავა
ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე

სტილისტი: ირმა ტაველიძე

დიზაინი: ბესიკ დანელია

ფოტო: გელა გედიანაშვილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი: მაია მენაგდე

ჟურნალისტები:
გელა ჩეკურიშვილი, ირმა კახურაშვილი, თამარ შველიძე, თამარ კაციტაძე, ალეკო ცქიტიშვილი

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი

მასწავლებელი

დარეკეთ:
შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58
„ელვა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74

შინაარსი

სტატიები

ექსპერტი

7 პაატა სირბილაძე
მასწავლებლის კარიერა
არც თუ ისე შორეულ მომავალში არავის გაუკვირდება, თუ ტელეეკრანიდან ან რადიოეთერში მოისმენს: „არსებობს კარიერა, ხოლო ღირსეულები ირჩევენ მასწავლებლის კარიერას“.

10 თამარ მოსიაშვილი
რა არის სერტიფიცირება
რა არის სერტიფიცირება, მისი ისტორია და განხორციელების გზები.

12 ნანა დალაქიშვილი
კოლეგების თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდი
მასწავლებლები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აღნიშნავენ, რომ ურთიერთსწავლების მეთოდი მათ დასახული მიზნების მიღწევასა და მოტივაციის ზრდაში ეხმარება.

33 ლელა ჩახაია
კვლევა, როგორც რესურსი
როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა კვლევა – როგორც რესურსი, როგორ დაგეგმოს და ჩაატაროს იგი.

ინტერვიუ

4 ნატო ინგოროყვა
ინტერვიუ განათლების მინისტრთან
ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინია. ის მასწავლებლებისთვის საინტერესო შეკითხვებს პასუხობს.

გამოცდილება

36 ირაკლი კაკაბაძე
განათლება იაპონიაში
როგორია იაპონიის განათლების სისტემა, ინოვაციები, ახალი ტექნოლოგიები და იაპონიის განათლების სისტემის წარმატების ფორმულა.

39 აი-გერლ ტანი
სწავლისა და სწავლების შემოქმედებითი აქტივობები
სწავლების შემოქმედებითი აქტივობები მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვისათვის ეფექტური და მნიშვნელოვანი ხერხებია.
თარგმნა სოფო ხვედელიძემ

რუბრიკები

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. სამოქალაქო განათლება
2. მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სივრცეში
3. მასწავლებელი და თვითშეფასება

25-32

რესურსი

სოფო გორგოძე

16 **როგორ შევადგინოთ ტესტები**

როგორი უნდა იყოს ტესტი, მისი შედგენის წინაპირობა და სტრატეგია და რაში გვეხმარება ის.

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

19 **მოსწავლეთა სოციალური ქცევები**

მოსწავლეთა სოციალური ქცევები, როგორ ვიმუშაოთ რთულ ბავშვებთან, ამ თემას ჟურნალი „მასწავლებელი“ და მოწვეული სტუმრები მრგვალ მაგიდასთან მიმოიხილავენ.

ერთი სკოლის გამოცდილება

თამუნა კაციტაძე

23 **უსაფრთხო სკოლა**

ვიდეოთვალი სკოლაში, როგორ შეხვდნენ ამ ნოვაციას 151-ე სკოლაში და რა შედეგი მიიღო სკოლამ.

რჩევა

ნიკოლოზ ჩუბინიძე

41 **როგორ ვწეროთ ესე**

როგორ იწერება ესე, რა კრიტერიუმებისაგან შედგება ის და როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს მის შექმნაში.

პრობლემა

ქანა კვაჭაძე

44 **ინკლუზიური განათლება**

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები და მათთან მუშაობა.

ჩვენი პროექტები

ეკა მამაცაშვილი

46 **მასწავლებლის მაძიებლობა და მენტორობა**

მენტორობა-მაძიებლობის მიმართულებით მუშაობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყო და უკვე მეორე წელია, იგი მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტს ახორციელებს.

მოსაზრება

პაატა ჩორგოლაშვილი

48 **ეფექტური სკოლა**

მიზანშეწონილია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები მონაწილეობას იღებდნენ სასწავლო მასალების შედგენაში. მათი სასწავლო პრაქტიკა, სკოლის სპეციფიკის ცოდნა, გამოცდილება ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას

პრობლემა

ალეკო ცქიტიშვილი

50 **სასკოლო ბიბლიოთეკები**

როგორ მუშაობენ, რა ხარვეზები აქვთ და როგორ იყენებს მასწავლებელი ბიბლიოთეკას, როგორც რესურსს.

გამოცდილება

თაკო შველიძე

52 **სასკოლო წრეები**

რა ტიპის კლუბები და წრეები იქმნება და მუშაობს სკოლებში, თუ იყენებს მასწავლებელი მას, როგორც დამატებით რესურს და როგორი უნდა იყოს ეს კლუბები და წრეები სინამდვილეში.

ერთი მასწავლებლის ისტორია

ბელა ჩეკურიშვილი

55 **45 წელი სკოლაში**

162-ე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ეთერ თალაკვაძე 45 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და უცხო ენის ეფექტურად სწავლებისათვის თავისი მეთოდები აქვს შემუშავებული.

მასწავლებელს

უნდა ჰქონდეს განცდა, რომ რასაც აკეთებს,

მნიშვნელოვანია და დაფასებული

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია და პედაგოგებისთვის მნიშვნელოვან შეკითხვებს პასუხობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი დიმიტრი შაშკინი.

ნატო ინგოროყვა

ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის მოსწავლე და მასწავლებელი. მათ ყველა პირობა უნდა შეექმნათ იმისთვის, რომ წარმატებით ისწავლონ და ასწავლონ. ძალიან მინდა ვთხოვო მათ, რომ ყველაფერი გააკეთონ, რათა აღზარდონ კარგი, წესიერი და განათლებული ადამიანები. მათ ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი.

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის პრიორიტეტულ სფეროდ განათლება გამოაცხადა. რას გულისხმობს მთავრობის ეს გადაწყვეტილება და რა ძირითადი გამოწვევები დგას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მიმდინარე წელს?

განათლება მართლაც მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული სფეროა ჩვენი სახელმწიფოსთვის. მართალია, უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს სიმშვიდის უფლებას არ გვაძლევს და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს დაწყებული რეფორმები. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომ თვითკმაყოფილების უფლება არ გვაქვს. ვამბობთ, რომ იყო შეცდომებიც, რადგან ყველაფრის ერთბაშად და უშეცდომოდ მოგვარება შეუძლებელია. უნდა ვეცადოთ, ეს შეცდომები მინიმუმამდე დავიყვანოთ. დემოკრატიული მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი სწორედ შეცდომების აღიარება და მის გამოსწორებაა. განათლების რეფორმის მეორე ეტაპის ყველაზე დიდი გამოწვევა მოსწავლე და მასწავლებელია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლე სკოლაში დაბრუნდეს და იქ სრულფასოვანი ზოგადი განათლება მიიღოს. ამისათვის საჭიროა, რომ გავზარდოთ სასკოლო ატესტატის მნიშვნელობა; უზრუნველვყოთ მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება; დაიხვეწოს ეროვნული სასწავლო გეგმა; გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების ხარისხი და ყველაფერი გაკეთდეს მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებისთვის.

როგორც აღნიშნეთ, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს მასწავლებელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, რა მოსამზადებელი საქმიანობები უძღვის სერტიფიცირებას და საინტერესოა, როგორ ხედავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამ პროცესს?

მოგეხსენებათ, მასწავლებელზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. მე ვერ გავიზიარებ და ვერ დავეთანხმები იმ ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც ამბობენ, რომ მასწავლებელი მისი ხელფასის ტოლფასია. ყველას კარგად გვახსოვს მიზერულ ხელფასზე მომუშავე პედაგოგები და ის რთული წლები. გასულ წელს, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, ჩვენ გავზარდეთ მასწავლებლის ხელფასი. თუმცა, ეს ნამდვილად არ არის მათი შრომის სრულყოფილი ანაზღაურება, მაგრამ სახელმწიფო ცდილობს, დააფასოს

მათი შრომა. შეხვედრების დროს მე ვუბოდიშებ მასწავლებლებს, რომ ჯერჯერობით ჯეროვნად არ ხერხდება მათი შრომის ანაზღაურება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პედაგოგთა ანაზღაურება მათი შრომის ადეკვატური იყოს.

უნდა გაიზარდოს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სერტიფიცირებაც. სერტიფიცირება ნებაყოფლობითი პროცესია და 2010 წლიდან დაიწყება. სერტიფიცირებული მასწავლებელი კი სხვა უპირატესობებთან ერთად, წახალისდება ფინანსურადაც. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდმივად განახორციელებს პედაგოგებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგებს. გაძლიერდება მენტორ-მასწავლებელთა ინსტიტუტი. ასევე, მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნებიან ახალი დამხარე სახელმძღვანელოებით.

რა ცვლილებებისა და სიახლეების შეტანა იგეგმება ეროვნულ სასწავლო გეგმაში? საინტერესოა თქვენი ხედვა და მოსაზრება მსოფლიო კულტურის, სპორტისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სწავლების შესახებ?

ეროვნული სასწავლო გეგმა დაიხვეწება და განვითარდება თორმეტივე კლასისათვის. მისი ახალი ვარიანტი სექტემბრისთვის გვექნება. ამაზე ექსპერტები უკვე მუშაობენ და პირობას გაძლევთ, რომ ახალი სასწავლო გეგმა არ შეიცვლება უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. მისი შეტანა სკოლებში ეტაპობრივად მოხდება და ის ძალაში შევა 2011 წელს. გეგმის სკოლაში შეტანამდე უნდა მოვასწროთ სახელმძღვანელოების დახვეწა და გრიფირებაც.

მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს, რომ მოსწავლემ სკოლაში აუცილებლად უნდა ისწავლოს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ კონკრეტულად არ ასახელებს, ავტორის რომელი ნაწარმოების შესწავლაა აუცილებელი. იმიტომ, რომ არ დაზარალდეს რომელიმე მოსწავლე, განურჩევლად იმისა, თელაველია ის თუ გორელი, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში 60 პროცენტი სავალდებულო სასწავლო პროგრამა იქნება მოცემული, ხოლო 40 პროცენტი – სკოლისა და მასწავლებლის არჩევანზე დამოკიდებული.

ასევე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოხდება ახალი საგნების ინტეგრირება. ესენია: სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, მსოფლიო კულტურა და სპორტი.

ჯანსაღი ცხოვრების წესი რომ წახალისდეს და შეჯიბრების პრინციპი დაინერგოს, ამისთვის აუცილებელია სპორტის ცალკეული სახეობების განვითარება სკოლაში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ ფიზკულტურის მასწავლებლებს, ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ მუშაობას სკოლებში და ჩვენ ვიზრუნებთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ჩვენი მოსწავლეები უნდა იყვნენ ინტეგრირებულები მსოფლიო კულტურასთან. ისინი უნდა იცნობდნენ თანამედროვე მსოფლიოს კულტურას, მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას და ა.შ. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ მათ სკოლიდანვე მიიღონ საჭირო ინფორმაცია და კულტუროლოგიის სწავლებაც ამ მიზანს ემსახურება.

რა მიზნები და ამოცანები აქვს უსაფრთხო სკოლის კონცეფციას და როგორ უნდა განხორციელდეს ის?

მე მასწავლებლებს შეხვედრისას შევპირდი, რომ არაფერს გადავწყვეტდი მათი აზრის მოსმენისა და გათვალისწინების გარეშე. უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მოთხოვნაც სწორედ მათგან წამოვიდა. ჩვენ ექსპერტებთან ერთად ვმუშაობთ ამ კონცეფციაზე და, დაახლოებით, მარტის შუა რიცხვებისთვის უკვე მზად გვექნება. მე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ სკოლა არ არის ლაბორატორია და ახლა უკვე ექსპერიმენტების დროც აღარ არის. მე მირჩევნია, მეტი ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ და გადაწყვეტილება ისე მივიღოთ. თავდაპირველად, რას გულისხმობს უსაფრთხო სკოლის კონცეფცია: უპირველესად, ეს არის საკრედიტო საბარათე სისტემის შემოღება მოსწავლეებისთვის და მისი მიბმა პორტალზე. ცხადია, არც ერთი მშობელი საკუთარ შვილს ფულს სიგარეტის საყიდლად არ აძლევს, მაგრამ, დამერწმუნებით, ვერ კონტროლდება, რაში ხარჯავს მოზარდი ამ ფულს. ასევე, სკოლებში დამონტაჟდება სპეციალური მოწყობილობა, სადაც ბავშვი გაატარებს თავის ბარათს და მშობელი ავტომატურად მიიღებს სატელეფონო შეტყობინებას იმაზე, თუ როდის მივიდა და როდის გამოვიდა სკოლის შენობიდან მისი შვილი. ამ პროცესის განხორციელება ხელს შეუწყობს მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას სკოლაში. ასევე, დამონტაჟდება ვიდეო-თვალი, რაც უსაფრთხო ზონებს შექმნის სკოლის ტერიტორიაზე.

აგრეთვე, ვფიქრობთ, სკოლების დაყოფას სასწავლო საფეხურების მიხედვით. ეს არის გრძელვადიანი პროცესი და სწორი გათვლები სჭირდება, ბრმად ამის გაკეთება დაუშვებელია, ამიტომ ამ საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ.

2010-2011 წლების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოწვევებში სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც შედის, რა იგეგმება ამ კუთხით?

ბოლო წლებში სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებაში ძალიან დიდი რესურსი ჩაიდო. აშენდა ახალი სკოლები და გარემონტდა სკოლების დიდი ნაწილი. თუმცა ჯერ კიდევ არის გარკვეული პრობლემები. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას ჩვენ ადგილობრივ თვითმართველობებს გადავცემთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ადგილზე უფრო სწორად განისაზღვრება პრიორიტეტები. ბუნებრივია, თანხის სწორად და მიზანმიმართულად ხარჯვის მონიტორინგს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განახორციელებს.

სასკოლო სახელმძღვანელოები, მათი ხარისხი, მრავალფეროვნება, წონა და ღირებულება ყოველთვის იყო განსჯის საგანი. სასკოლო გამოცემების ერთიანი სტანდარტის შექმნა, იმედია, ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას? როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროცესი?

როგორც აღვნიშნე, სასკოლო სახელმძღვანელოები ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას უნდა შეესაბამებოდეს. ამასთან ერთად, უნდა გამკაცრდეს სახელმძღვანელოების გრიფირების წესი. საჭიროა სასკოლო გამოცემების ერთიანი ტექნიკური სტანდარტის შექმნა და დანერგვა. მთელ მსოფლიოში ადაპტირებულია ე.წ. „ტრანსფორმირებული წიგნი“, რომელიც მორგებულია სტანდარტს. სახელმწიფო წელიწადში 11 მილიონ ლარს ხარჯავს პირველკლასელებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახელმძღვანელოების შესყიდვაზე. გვექნება შეხვედრები გამომცემლებთან და მათ ჩვენი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ. არ შეიძლება ბავშვმა იმუშაოს წიგნში, ამის ფუფუნება ჯერ ჩვენ არ გვაქვს. ყველა წიგნს უნდა ახლდეს სამუშაო რვეული, ხოლო თავად მოსწავლის სახელმძღვანელო შემდეგი წლისთვისაც გამოსადეგი უნდა იყოს.

აუცილებლად უნდა შეიქმნას მეორადი სახელმძღვანელოების ბაზა, რომელიც მშობლებს სასკოლო წიგნების შეძენას გაუადვილებს.

ტექნიკური საკითხების პარალელურად, უნდა ვიზრუნოთ მის შინაარსობრივ დახვეწაზე. მე ექსპერტებთან ერთად გადავხედე „დედა ენის“ რამდენიმე სახელმძღვანელოს და ვნახე, როგორ განსხვავდება წერის შესწავლის ტექნიკა და მეთოდი თითოეულ მათგანში. „დედა ენა“ მისი პირველწყაროს ადაპტირებულ ვერსიას უნდა წარმოადგენდეს.

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში მიდის და მისი გაცნობა თითოეულ მასწავლებელს შეუძლია. რა იქნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მთავარი გზავნილი მათთვის?

როგორც გითხარით, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის მოსწავლე და მასწავლებელი. მათ ყველა პირობა უნდა შეექმნათ იმისთვის, რომ წარმატებით ისწავლონ და ასწავლონ. ძალიან მინდა ვთხოვო მათ, რომ ყველაფერი გააკეთონ, რათა აღზარდონ კარგი, წესიერი და განათლებული ადამიანები. მათ ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენ კი ვეცდებით, მასწავლებელს ჰქონდეს განცდა, რომ რასაც აკეთებს, მნიშვნელოვანია და ყველასაგან დაფასებული.

მასწავლებლის კარიერა

პაატა სირბილაძე

არსებობს ცნებები და ტერმინები, რომლებიც განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემებსა და დროის არც თუ ისე ურთიერთდაცილებულ პერიოდებში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ. უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ამ შემთხვევაში კი ისეთ მნიშვნელოვან ცნებაზე შევჩერდებით, როგორიცაა კარიერა. არცთუ შორეულ წარსულში ამ ტერმინს მკვეთრად გამოხატული უარყოფითი, შეიძლება ითქვას, ირონიული დატვირთვა ჰქონდა. საკმარისია, გავიხსენოთ საბჭოთა პამფლეტებსა და ფელეტონებში არაერთგზის გამათრახებული „კარიერისტი“ – მორალურად დაცემული ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში ერთადერთი მიზანი ჰქონდა: კარიერის კიბეზე აღმასვლა ნებისმიერ ფასად. საბჭოთა სისტემის პერიოდში კარიერის არჩევანი იმთავითვე შეზღუდული იყო, რადგან დამსაქმებლის როლში მხოლოდ სახელმწიფო გამოდიოდა, თავისი უზარმაზარი და, ხშირ შემთხვევაში, გროტესკულად ბიუროკრატიული აპარატით, ხოლო საბჭოთა სისტემის უკიდურესი დეკადენსის ხანაში და მისი დანგრევიდან ათი წლის მანძილზე, ანუ მეოცე საუკუნის ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში, დამსაქმებელმა თითქმის მთლიანად დაკარგა ავტორიტეტი, რესურსები და, ხშირ შემთხვევაში, კონტრაქტის ფორმალურ მონაწილედ იქცა. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, აისახა როგორც შრომის ბაზარზე, ასევე ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ქვეყანაში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ თავს იწონებდნენ ერთ სულ მოსახლეზე პროფესორებისა და დოცენტების სარეკორდო მაჩვენებლით, მეცნიერის კარიერამ სწრაფად დაკარგა მიმზიდველობა, ხოლო ზოგადი განათლების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენას შეუერთდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა თითქმის ერთდროულად შეიცვალეს პროფილი და მასწავლებლების ნაცვლად ეკონომისტებისა და იურისტების მომზადება დაიწყეს. ამას მხოლოდ ბაზრის მოთხოვნით ვერ ავხსნით. სამწუხაროდ, საქართველოს შრომის ბაზარი, განსაკუთრებით კი კერძო სექტორი, ამდენ ეკონომისტსა და იურისტს სპეციალობის მიხედვით ვერ დაასაქმებდა და არც დაუსაქმებია, მაგრამ ეკონომისტის, იურისტის, პოლიციელის ან სამხედრო მოსამსახურის პროფესიაში უფრო თვალსაჩინოა კარიერული ზრდის შესაძლებლობა, ვიდრე მასწავლებლის პროფესიაში.

ალბათ ესეც გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პედაგოგობას სულ უფრო ნაკლები აბიტურიენტი ირჩევდა და ირჩევს.

მართლაც, მასწავლებლის პროფესიამ ამ პერიოდში დაკარგა ის მიმზიდველობა, რომლის გამოც მას, როგორც წესი, უპირატესად ქალები ირჩევდნენ – სტაბილური სამუშაო და მეტი თავისუფალი დრო ოჯახი-

> პროფესიული განვითარების დაკავშირება კარიერულ ზრდასთან მნიშვნელოვანი სიახლე იქნება როგორც მოქმედი მასწავლებლებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვინც მომავალში აირჩევს ამ პროფესიას.

სათვის. რა არის სხვა უპირატესობები, რომელთა გამოც ვინმემ შეიძლება მასწავლებლობა აირჩიოს? ჩატარებული კვლევის* შედეგად, ზემოთ აღნიშნულ ორ ფაქტორთან ერთად, ბავშვებთან, ახალგაზრდებთან მუშაობა სახელდება. აღსანიშნავია, რომ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სკოლაში სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, მასწავლებელთა 20%-ზე ნაკლები ასახელებს.

საქართველოში ამჟამად ოთხმოცი ათასამდე მასწავლებელია. მათი დაფინანსება სასკოლო ვაუჩერის საშუალებით ხდება, ანუ მასწავლებლები წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან პროფესიას, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. მასწავლებელთა საერთო რაოდენობა პოლიციელებისა და სამხედროების ჯამურ რაოდენობაზე მეტია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მასწავლებლების ხელფასი გაიზარდა, ის ჯერ კიდევ თითქმის ორჯერ ნაკლებია საშუალო ხელფასზე ქვეყნის მასშტაბით. ალბათ ესეცაა მიზეზი, როდესაც თავად მასწავლებლები პრესტიჟულ პროფესიებს შორის საკუთარ პროფესიას 15 შეთავაზებული ვარიანტიდან მხოლოდ მე-10 ადგილზე ასახელებენ. თუმცა კვლევა იმასაც აჩვენებს, რომ ამ პროფესიას თან ახლავს ე.წ. „ისტორიული პრესტიჟი“, ანუ ის ფაქტი, რომ პროფესია ერთ დროს უაღრესად საპატიო იყო. დღესაც ბევრს ახსოვს და მასწავლებლის პროფესიის სიმბოლური ხატი რეალურზე გაცილებით უფრო პოზიტიურია – ამ სტერეოტიპის მიხედვით. მასწავლებლობა, ზოგადად, საპატიო პროფესიაა, თუმცა როდესაც არჩევანის წინაშე ოჯახის წევრი დგება, მას, როგორც წესი, სხვა პროფესიის დაუფლებას ურჩევენ.

როგორ გავხადოთ მასწავლებლის პროფესია უფრო პრესტიჟული და მიმზიდველი? ანაზღაურების გაზრდა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, თანაც უნდა დავაზუსტოთ: ყველა მასწავლებელს ერთნაირად უნდა გაეზარდოს ანაზღაურება? უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული ამ ზრდაში კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, სამუშაო გამოცდილება? ანაზღაურების მატებისას, როგორი უნდა იყოს თითოეული ამ ფაქტორის ხვედრითი წილი? თვალნათლივ ჩანს, რომ ყველა ეს ფაქტორი კარიერას უკავშირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტერმინის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ბოლო პერიოდში საკმაოდ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობა დღესაც უმთავრეს პრობლემად რჩება, უკვე გაჩნდა პროფესიები, რომელთა არჩევის შემთხვევაში დასაქმების შანსიც იზრდება და კარიერული ზრდის შესაძლებლობაც მატულობს. გავიხსენოთ ბოლო პერიოდის ცნობილი სლოგანი: „არსებობს კარიერა, ხოლო რჩეულთათვის არსებობს ოფიცრის კარიერა“. ამ სოციალურ რეკლამამდე კარიერასთან დაკავშირებული ასეთი პოპულარული სლოგანი ძნელი გასახსენებელია, რაც ბუნებრივიცაა – თავად კარიერაც არ იყო ზოგადად მიმზიდველი და მასობრივად ხელმისაწვდომი, ამ ცნების ფართოდ გავრცელებული გაგებით.

კარიერის ცნება, ერთი მხრივ, პროფესიულ გზაზე წინსვლას, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, კონკურენტუნარიან გარემოში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. მისი ეტიმოლოგია ლათინური სიტყვიდან მოდის – *carrera,* რაც შეჯიბრს, კონკურენციას ნიშნავს. იმისთვის, რომ პროფესიაში კონკურენცია გაიზარდოს, აუცილებელია, თავად პროფესია იყოს კონკურენტუნარიანი. ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ პროფესიაში არ არსებობს კარიერული იერარქიის მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა, რომელშიც კარიერული ზრდა, ერთი მხრივ, პროფესიულ განვითარებასთან, პიროვნულ ინიციატივასა და მოტივაციასთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ კი, ანაზღაურების ზრდასთან. დღეისათვის მასწავლებლის პროფესიაში ოფიციალური კარიერული იერარქია არ არსებობს. სტაჟის მიხედვით, ხელფასში არსებული განსხვავებაც უმნიშვნელოა. ეს, ბუნებრივია, არა მხოლოდ მოქმედი მასწავლებლების მოტივაციას უქმნის პრობლემას, არამედ იმ ადამიანებისაც, ვინც პროფესიის არჩევანის წინაშე დგანან.

ამავე დროს, მსოფლიოში მასწავლებლის კარიერის ძალიან ბევრი და ეფექტური მოდელი არსებობს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ბრიტანული მოდელი. ბრიტანეთში 5 სხვადასხვა დონის მასწავლებლის სტანდარტია შემოღებული. შესაბამისად, თითოეული ამ დონისთვის განსაზღვრულია განსხვავებული ანაზღაურების სქემა. აღსანიშნავია, რომ ეს სტანდარტები მხოლოდ იმ მასწავლებლებზე ვრცელდება, რომელთა კვალიფიკაციაც სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული. ამის გარდა, არის არაკვალიფიციურ მასწავლებელთა კატეგორიაც, რომელთა ანაზღაურება შედარებით დაბალია და წელიწადში 15-20 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს. კვალიფიციური, ანუ იმ მასწავლებელთა ხელფასი, ვინც მასწავლებლის ზოგად სტანდარტს აკმაყოფილებს, 20-დან 30 ათას ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს. მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, მისი ხელფასი საკმაოდ იზრდება და ე.წ. მაღალი დონის უნარ-ჩვევების მასწავლებლის ხელფასი 55 ათას ფუნტ სტერლინგს აღწევს, ხოლო ლიდერი მასწავლებლის ხელფასი – 100 ათას ფუნტს. როგორც უკვე აღინიშნა, თითოეული საფეხურის მასწავლებელი გარკვეულ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ მასწავლებლის კარიერული ზრდა და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც, ერთი მხრივ, მოტივაციის კარგი წინაპირობაა, მეორე მხრივ კი, რესურსების ოპტიმიზაციის საშუალება – სამუშაოს ანაზღაურება მისი ხარისხის მიხედვით ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანული მოდელი უნიკალური არ არის, მასწავლებლების კარიერული ზრდის მსგავსი მოდელები ბევრ ქვეყანაშია დანერგილი.

* „მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ კვლევა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით ჩაატარა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში, მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით, ბევრი სიახლე დაინერგა. შეიქმნა ნორმატიული ბაზა, რომელსაც საფუძვლად დაედო მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია. შემუშავდა მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის შემოწმების მექანიზმი. ამჟამად მზადდება მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების აკრედიტაცია. პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ვაუჩერი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო მასწავლებელს 4 კრედიტის ოდენობით უფინანსებს აკრედიტებულ სატრენინგო პროგრამას, ინერგება პროფესიაში შესვლის რეგულირების ინსტიტუტი – მაძიებლობა. არსებობს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ შეიქმნას მასწავლებლის მომზადების, პროფესიაში შესვლისა და პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა, მაგრამ ამ სისტემის ფუნქციონირება იმთავითვე კრიტიკული რისკის წინაშე აღმოჩნდება, თუ არ შეიქმნა მასწავლებლის კარიერული ზრდის მკაფიოდ განსაზღვრული სქემა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან და პირდაპირ აისახება მის ანაზღაურებაზე.

მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების მიხედვით, სერტიფიკატის მოპოვება, რეალურად, მასწავლებლის კარიერული ზრდის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა 8 წლის ვადაში უნდა მოახდინოს სერტიფიკატის განახლება. სერტიფიცირების განახლების საშუალებებსა და პროცედურებს დეტალურად აღწერს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, რომელზეც ამჟამად მუშაობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები. ეს დოკუმენტი უახლოს მომავალში გახდება ფართო განხილვის საგანი. ამ ეტაპზე კი შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული ყველა სტრატეგიული ამოცანისა და კონცეფციის ერთიან სისტემაში მოქცევას, თუმცა უმთავრესი სიახლე, რასაც ეს სქემა მასწავლებლებს შესთავაზებს, სწორედ კარიერული ზრდის შესაძლებლობა იქნება. სქემაში დეტალურად გაიწერება კარიერული საფეხურები და ის, თუ როგორ შეიძლება ამ საფეხურების გავლა. ეს მასწავლებელს არა მხოლოდ დამატებით მოტივაციას მისცემს საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის, არამედ, ზოგადად, ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის გაზრდას.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა მეორე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელსაც მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა მოიცავს. როგორც „მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის“ 2009 წლის ნოემბრის ანგარიშშია აღნიშნული, დღეისთვის ზოგადი განათლების სფეროში უმთავრეს პრობლემას სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს. „დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში საკმაოდ სუსტი მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა არსებობს. ყველაზე ახლოს სკოლებთან, ფიზიკურად და სტრუქტურულადაც, განათლების რესურს-ცენტრებია. რესურს-ცენტრის არეალი მრავალ სკოლას მოიცავს; რესურს-ცენტრების მანდატი და ადამიანური თუ მატერიალური რესურსები კი შეზღუდულია. რესურს-ცენტრების თანამშრომლებს არ აქვთ მკაფიო დაწერილი ინსტრუქციები, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ სკოლებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში“. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად სკოლების აკრედიტაცია მოიაზრება, რაც აბსოლუტურად კორექტულია, მაგრამ აუცილებელია სკოლებს, სკოლების ლიდერებსა და მასწავლებლებს მიზანმიმართულად დავეხმაროთ იმისთვის, რომ აკრედიტაცია მათთვის გადაულახავ ბარიერად არ იქცეს. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს, როგორც მისი შემოწმების მექანიზმის შექმნას, ასევე მუდმივ და მიზანმიმართულ მხარდაჭერასაც – „სახელმწიფომ უნდა შექმნას დამატებითი ინფრასტრუქტურა, რომლის მთავარი მიზანი სკოლების დახმარება იქნება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიდგომები ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით იყოს მიზამიმართული კონკრეტულ საჭიროებებზე“. სწორედ ამ მიზანს ისახავს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ზემოაღნიშნული ჩარჩო-დოკუმენტის ფარგლებში იქნება ინიცირებული. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა გულისხმობს მასწავლებლების მიზანმიმართულ დახმარებას, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. სავარაუდოდ, ყველა რაიონში შეირჩევა და მომზადდება რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტი, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ შეაფასონ მასწავლებლების საჭიროებები, დაეხმარონ სატრენინგო პროგრამების შერჩევაში, ჩაატარონ ტრენინგები სკოლის ბაზაზე, გააცნონ მასწავლებლებს ახალი ლიტერატურა და თანამედროვე მეთოდიკა, დაეხმარონ მათ პორტფოლიოს ორგანიზებაში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლის წარმატებისა და პროგრესის შეფასებაში. ასეთი სქემის მიხედვით, თითოეულ მასწავლებელს საშუალება მიეცემა, ეფექტურად დაგეგმოს როგორც სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელი პროცესი, ასევე, სერტიფიცირების შემდგომი პერიოდი და წინ წაიწიოს კარიერულ იერარქიაში.

პროფესიული განვითარების დაკავშირება კარიერულ ზრდასთან მნიშვნელოვანი სიახლე იქნება როგორც მოქმედი მასწავლებლებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვინც მომავალში აირჩევს ამ პროფესიას. იმედი გვაქვს, არც თუ ისე შორეულ მომავალში არავის გაუკვირდება, თუ ტელეეკრანიდან ან რადიოეთერში მოისმენს: „არსებობს კარიერა, ხოლო ღირსეულები ირჩევენ მასწავლებლის კარიერას“.

თამარ მოსიაშვილი

რა არის სერტიფიცირება

2009 წლის 4 დეკემბერს დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება. 2010 წელს დაგეგმილია სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება საბაზო და საშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) მასწავლებლებისთვის. განისაზღვრა რეგისტრაციის ვადებიც: რეგისტრაცია დაიწყო 2010 წლის 1 თებერვალს და დასრულდება 31 მარტს.

მასწავლებელთა სერტიფიცირების საჭიროების შესახებ საზოგადოების წარმომადგენლები თითქმის აღარ კამათობენ.

დიდია ინტერესი სერტიფიცირების პროცედურულ საკითხებზე. ამ წერილით კიდევ ერთხელ შევეცდებით, განვაგრძოთ დიალოგი საზოგადოებასთან სერტიფიცირების, მისი არსისა და სხვა პროცედურული საკითხების შესახებ.

სერტიფიცირების მიზანია პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

სერტიფიცირების პროცესი შედგება ორი ფაზისგან:

ა) მასწავლებლობის უფლების მოპოვება
ბ) სერტიფიკატის განახლება



რას გულისხმობს მასწავლებლობის უფლების მოპოვება?

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი გახდა. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, პირმა უნდა გაიაროს მაძიებლობის პერიოდი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ჩააბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას.

კანონი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლებას აძლევს ყველა მოქმედ მასწავლებელს და იმ პირს, რომელიც ამჟამად არ მუშაობს სკოლაში, მაგრამ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგად მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

მასწავლებლობის უფლების მოპოვება სამი საფეხურისგან შედგება:

1. რეგისტრაცია;
2. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
3. სერტიფიკატის გაცემა.

თუ გადაწყვეტთ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, რეგისტრა-

ციის გავლა შეგიძლიათ ნებისმიერ რესურს-ცენტრში.

რესურს-ცენტრში თქვენ მოგიწევთ განაცხადისა და ანკეტის შევსება. განაცხადს ავსებთ იმისათვის, რომ დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში, როგორც გამოცდის ჩაბარების მსურველი პირი. ანკეტას კი ავსებთ გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის.

რეგისტრაციისთვის რესურს-ცენტრში უნდა წარადგინოთ შემდეგი საბუთები:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის 2 ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- ცნობა მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლის შესახებ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი);
- ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც პირს აქვს პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი სტაჟი (თუ პირი აჟამად არ მუშაობს სკოლაში);
- მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამ საბუთის წარმოდგენა სასერტიფიკაციო გამოცდის მსურველ პირებს 2010 წელს არ მოეთხოვებათ, რადგან გამოცდის ჩაბარების მსურველ ყველა პირს სახელმწიფო უფინანსებს პირველ გამოცდას);
- ცნობა ფუნქციონალური დარღვევის შესახებ, თუ პირს აქვს ისეთი ფუნქციონალური დარღვევა, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს;
- ერთი ფოტოსურათი (3X4-ზე).

თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება მოთხოვნებს, რესურს-ცენტრი მოქალაქეს ხარვეზის გამოსასწორებლად 10 დღის ვადას განუსაზღვრავს.

სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ რეგისტრირებული პირი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პირს რეგისტრაციაში ატარებს რესურს-ცენტრის მიერ განხორციელებული პირველადი რეგისტრაციის საფუძველზე.

გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს საგამოცდო ბარათებს, მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე.

სასერტიფიკაციო გამოცდებამდე ორი კვირით ადრე საგამოცდო ბარათები გადაეცემა იმ რესურს-ცენტრს, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.

გამოცდების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო წლის დაწყებამდე.

გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სერტიფიკატებს გადასცემს იმ რესურს-ცენტრს, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.

რესურს-ცენტრი მასწავლებლის სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამის პირებზე მასწავლებლის სერტიფიკატების გადაცემას. სერტიფიკატი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ პირი წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, როგორც უნარების, ასევე საგნობრივ ნაწილში.

განსაზღვრავს თუ არა მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებლის ეფექტიანობას? შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ეფექტურ პედაგოგად ის, ვინც სასერტიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა?

მასწავლებლის როლი სკოლის ცხოვრებაში განუზომლად დიდია. გაკვეთილების ჩატარების გარდა მას მრავალი ფუნქციის შესრულება უწევს. სასერტიფიკაციო გამოცდა ამოწმებს საგნობრივ და ზოგადპროფესიულ ცოდნას, მაგრამ ის ვერ ასახავს მასწავლებლის მიღწევებს სკოლაში.

როგორც ავღნიშნეთ, სერტიფიცირების პროცესი, კანონის მიხედვით, ორი ფაზისგან შედგება. მას შემდეგ, რაც პირი ჩააბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას, ის ერთვება სერტიფიკატის განახლების პროცესში.

სერტიფიცირების მეორე ფაზა – სერტიფიკატის განახლების პროცესი – გრძელდება 8 წლის განმავლობაში. სერტიფიკატის განახლებას მასწავლებელი განახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესაბამისად.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ასახავს იმ საქმიანობებს, რომლებიც პრიორიტეტულია ქვეყნისთვის. საქმიანობები განსაზღვრულია „კანონში ზოგადი განათლების შესახებ“, 217-ე მუხლის მიხედვით (მასწავლებლის პროფესიული განვითარება)

2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვების ალტერნატიული შესაძლებლობებია:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;
ბ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა).

3. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რამოდენიმე კომპონენტის კომბინაციით“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა წარმოადგენს მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტს. მასწავლებელთა პროფესიული სქემით გათვალისწინებული საქმიანობები შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ზოგად და საგნობრივ ნაწილს. პროფესიული განვითარების სქემა მასწავლებელს მისცემს კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას, შეაფასებს მის საქმიანობას, პროფესიულ წარმატებებსა და წვლილს სკოლის განვითარების საქმეში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული საქმიანობების შეფასების პროცესში მონაწილეობს სკოლის სასერტიფიკაციო საბჭო, რომლის წევრებიც არიან სკოლის ადმინისტრაციის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და ყველა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. სასერტიფიკაციო საბჭოს ქმნის სკოლის ადმინისტრაცია. მისი წევრების არჩევა ხდება სკოლაში. სასერტიფიკაციო საბჭოს წევრები პერიოდულად შეიცვლებიან. სასერტიფიკაციო საბჭოს ასეთი შემადგენლობა მასწავლებლის მიღწევების ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების საშუალებას იძლევა.

ამჟამად მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება. კრედიტების მოგროვების პროცესში მასწავლებელი არა მხოლოდ განიახლებს სერტიფიკატს, არამედ მისი წარმატება, განხორციელებული საქმიანობებისა და მოგროვილი კრედიტების შესაბამისად, პროფესიულ ბიოგრაფიასა და სტატუსშიც აისახება.

რა შესაძლებლობებს სთავაზობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას?

- ის მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, დაგეგმონ პროფესიული განვითარება და შეარჩიონ შესაბამისი საქმიანობის ფორმები;
- იძლევა მასწავლებლების მიღწევებისა და პროფესიული ზრდის ობიექტურად შეფასების საშუალებას;
- სკოლის ლიდერებს ეხმარება სკოლის განვითარების ორიენტირების დასახვასა და სკოლის ფუნქციონირების აქტუალური ასპექტების გაუმჯობესებაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა განხილული იქნება მასწავლებლებთან. მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანია ქმედუნარიანი სქემის შემუშავებისთვის.

კოლეგების თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდი

ნანა დალაქიშვილი

მრავალი წელია, პედაგოგები სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად მუშაობენ. ტრენინგები კარგი საშუალებაა ცოდნისა და გარკვეული ტიპის უნარ-ჩვევების მისაღებად, მაგრამ ნაკლებად ეფექტურია, როცა საქმე ფასეულობების შეცვლას ეხება.

კოლეგების თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდი მეგობრულ გარემოს ქმნის და ცვლილებებსა და პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლებს, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ, საშულება ეძლევათ, შეხვდნენ პარტნიორებს ეფექტური სასწავლო სტრატეგიების დასაგეგმად, სასწავლო პროგრამების, მეთოდებისა და სახელმძღვანელოების განსახილველად. ამ დროს ისინი ერთმანეთის კონსულტანტების როლს ასრულებენ და თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

მასწავლებლები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აღნიშნავენ, რომ ურთიერთსწავლების მეთოდი მათ დასახული მიზნების მიღწევასა და მოტივაციის ზრდაში ეხმარება. უმრავლესობამ აღმოაჩინა, რომ მოსწავლეთა ყოფაქცევის პრობლემებიც მხოლოდ მათი პრობლემა არ ყოფილა.

ზოგადად, მასწავლებლები ძნელად იღებენ მოსწავლეების შენიშვნებს და ადმინისტრაციულ შეფასებებს. პედაგოგთა 25%-ზე ნაკლები ითვალისწინებს მოსწავლეთა შენიშვნებს და 10%-ზე ნაკლები – ადმინისტრაციულ შეფასებებს. ამავდროულად ცნობილია, რომ კოლეგების თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდით მომუშავე მასწავლებლების 80% ითვალისწინებს კოლეგების შენიშვნებს.

ეს მეთოდი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებზეც. გაკვეთილზე დასწრება, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, მოსმენისა და კითხვების დასმის დონე, სტიმული და ინტერესი გაცილებით უფრო მაღალია.

მასწავლებლები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აღნიშნავენ, რომ ურთიერთსწავლების მეთოდი მათ დასახული მიზნების მიღწევასა და მოტივაციის ზრდაში ეხმარება.



ზოგიერთი თვლის, რომ ამ მეთოდის წარმატება მასწავლებლებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭებით არის განპირობებული, ხოლო, ზოგიერთის აზრით, ეს მეთოდი იმიტომ ამართლებს, რომ მიმართულია არა სამუშაოს შეფასებისაკენ, არამედ მისი გაუმჯობესებისაკენ.

თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ორი ფორმა

1. **კოლეგების თანამშრომლობა წყვილებში** – ეს თანამშრომლობის ისეთი ფორმაა, როდესაც უფრო გამოცდილი მასწავლებელი ეხმარება მეორეს უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში. ამ ტიპის თანამშრომლობა ემსახურება საჭიროებების დადგენის, პრობლემების დასმისა და გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
2. **კრიტიკული მეგობარი** – ერთი მასწავლებელი ეხმარება მეორეს საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებაში. მიმოხილვა და ანალიზი ფოკუსირებულია პრაქტიკულ დახმარებაზე და არა პიროვნების კრიტიკაზე.

წარმატებული თანამშრომლობისთვის საჭირო ღონისძიებები:

1. გაკვეთილის ჩატარების შემდეგ გააანალიზეთ გაკვეთილის მსვლელობა და განსაზღვრეთ, შეესაბამება თუ არა შედეგები გაკვეთილის მიზანს.

- რა ისწავლეთ თქვენ და თქვენმა მოსწავლეებმა ამ გაკვეთილიდან?
- რას შეცვლიდით სამომავლოდ გაკვეთილის ორგანიზებასა და დაგეგმვაში?
- გჭირდებათ თუ არა დამატებითი რესურსების მოძიება მიღებული შედეგის განსამტკიცებლად?

2. პროფესიული განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კოლეგების წყვილებში მუშაობა წარმოადგენს. ორი მასწავლებელი, წინასწარი შეთანხმების შემდეგ, ერთობლივ სამუშაოებს გეგმავს და ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრება, როგორც დამკვირვებელი.

ამისათვის საჭიროა:

- ერთად დაგეგმოთ გაკვეთილი;
- გამოავლინოთ ის საკვანძო საკითხები, რომლებზეც გსურთ დაკვირვება;
- სთხოვოთ თქვენს მეწყვილეს, დაკვირვების დროს ჩაიწეროს შენიშვნები;
- განიხილოთ გაკვეთილის ეფექტიანობა დამკვირვებელ მასწავლებელთან ერთად.

გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ, რომ თქვენს მეწყვილეს შეუძლია შეასრულოს არა მხოლოდ დამკვირვებლის როლი, არამედ დაგეხმაროთ გაკვეთილის მსვლელობაშიც. მაგალითად, ჯგუფებში მუშაობის დროს ის ჯგუფებს რჩევებს მისცემს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაჭრან წარმოქმნილი პრობლემები. ეს განსაკუთრებით მაშინ იქნება საჭირო, როდესაც მოსწავლეები პირველად დაიწყებენ ჯგუფურ მუშაობას.

გამოცდილების გაზიარება სკოლაში და სკოლებს შორის

ჯგუფური მუშაობა ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია ახალი მიდგომების დანერგვის პროცესში. მასწავლებლები ერთად მუშაობენ, დაგეგმვის ცხრილის მიხედვით გეგმავენ გაკვეთილებს, ადგენენ, გაკვეთილის რომელ ნაწილში ვინ იქნება წამყვანი და ვინ – დამხმარე მასწავლებელი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობის პროცესში მათ დამკვირვებლების როლი შეასრულონ. ეს მასწავლებლებს პროცესის კვლევის საშუალებას მისცემს. ისინი გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილს დააკვირდებიან და გამოიკვლევენ,

დისკუსიის დროს კი მათთვის საინტერესო ნაწილზე იმსჯელებენ. დისკუსია და გაკვეთილის ანალიზი პრობლემის სხვადასხვა კუთხიდან დანახვის საშუალებას იძლევა.

სავარაუდო პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკვირვებას ითხოვს:

- მასწავლებლის საუბარი სჭარბობს მოსწავლის საუბარს სწავლების პროცესში, თუ პირიქით?
- იწვევს თუ არა გაკვეთილი მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას?
- რამდენ ხანს არიან მოსწავლეები მოტივირებულები?
- რა არის მოსწავლეებისათვის ყველაზე უინტერესო?
- ყურადღებით უსმენს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს?
- დასმულ შეკითხვებზე ნაწილობრივ თავად მასწავლებელი ხომ არ პასუხობს?
- აცლის თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს აზრის ბოლომდე გამოთქმას?
- არის თუ არა მოსწავლეებისათვის მიცემული ინსტრუქცია ნათელი? უწევს თუ არა მასწავლებელს ცალკეული მოსწავლეებისთვის ან ჯგუფებისთვის მისი გამეორება?
- არის თუ არა რთული მიცემული დავალების ორგანიზაციული მხარე და ხომ არ იწვევს ეს კლასში არეულობას?
- რამდენი პასიური მოსწავლეა ჯგუფებში მუშაობის დროს?
- შენიშვნების მიცემის დროს მასწავლებელი მხოლოდ დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს თუ მოსწავლის დამამცირებელ კომენტარებსაც აკეთებს?
- ხომ არ იფარგლება მასწავლებელი მხოლოდ ნეგატიური შენიშვნებით?
- იცავენ თუ არა მოსწავლეები საკლასო წესებს?
- იცავენ თუ არა ისინი დისკუსიის წესებს?
- იცავენ თუ არა ისინი ჯგუფში მუშაობის წესებს?
- მიღწეულია თუ არა გაკვეთილის მიზანი?
- მიიღო თუ არა მასწავლებელმა მიზნის შესაბამისი შედეგი?
- ეფექტიანია თუ არა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო რესურსი?
- რამდენად უწყობს ხელს საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას?

შეფასების სისტემის კორექტირება შესაძლებელია საკუთარი შეხედულებებისამებრ. შეფასებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ქულა.



როგორ შევადგინოთ ტესტები

სოფო გორგოძე

მასწავლებლებს ხშირად სჭირდებათ ტესტის გამოყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის. შესაძლოა, ტესტის მიზანი მოსწავლეთა დიაგნოსტირება და მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა იყოს, რაც მასწავლებელს მიმართულებას მისცემს, თუ როგორ წარმართოს სწავლება, რა შეცვალოს და რაზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე შესაძლოა, ტესტით გვსურდეს განსაკუთრებით ძლიერი მოსწავლეების გამოვლენა; ან მას უფრო შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდეს, რათა შევაფასოთ ქულებით და მშობლებს მათი შვილების მოსწრების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ.

მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ უკვე მზა ტესტი გამოიყენონ. თუმცა, ხშირად მისი შედგენა თავად უწევთ. ტესტის შედგენა არ არის მარტივი პროცესი და ბევრი დეტალის გათვალისწინებას მოითხოვს, მაგრამ თუკი რამოდენიმე ძირითად პრინციპს გავითვალისწინებთ, ამ საქმეს გაცილებით ადვილად გავართმევთ თავს. ამჯერად სასწავლო მიზნებისა და ტესტური დავალებების შესაბამისობაზე და სამი სხვადასხვა სპეციფიკის ტესტური დავალებების შექმნაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ტესტის შედგენისას დავალებების სხვადასხვა ფორმატს ვიყენებთ, მაგალითად:

- არჩევით პასუხიანი დავალებები
- სწორი-მცდარი
- დაწყვილება/მისადაგება
- წინადადების დასრულება/ცარიელი ადგილების შევსება
- მოკლე პასუხი
- ესეს ტიპის ტესტური დავალება

ტესტური დავალების ფორმატს ვარჩევთ სასწავლო მიზნიდან გამომდინარე. სასწავლო მიზანი ტესტირების მიზანში არ უნდა აგვერიოს. სასწავლო მიზანი ტესტის შედგენამდე გვაქვს განსაზღვრული. ყველა სასწავლო მიზანი სხვადასხვა დონისაა, ზოგი უფრო დაბალ კოგნიტურ შესაძლებლობას ზომავს, ზოგი კი უფრო მაღალს (ბლუმის ტაქსონომია). მაგალითად, სასწავლო მიზანი შეიძლება იყოს ასეთი:

მოსწავლე შეძლებს იმ წილადების გამრავლებას, რომლებიც კლასში არ გაუვლიათ (გამოყენების დონის მიზანი).

თითოეული ტესტური დავალებაც სხვადასხვა დონისაა და ამა თუ იმ სასწავლო მიზანს ემსახურება. მაგალითად, თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქების გახსენებას ვთხოვთ მოსწავლეს, ეს შედარებით დაბალი კოგნიტური დონის (ცოდნის დონე) დავალებაა, მაგრამ თუ ვთხოვთ გაარჩიონ ფაქტები და მოსაზრება რომელიმე ავტორის ტექსტში ისტორიული მოვლენის აღწერისას, ეს უკვე შედარებით მაღალ კოგნიტური დონეა (ანალიზის დონე). ზოგიერთ სასწავლო მიზანს ერთზე მეტი ფორმატის ტესტური დავალება შეიძლება მოერგოს, ზოგიერთს კი მხოლოდ

შესაძლოა, ტესტის მიზანი მოსწავლეთა დიაგნოსტირება და მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა იყოს, რაც მასწავლებელს მიმართულებას მისცემს თუ როგორ წარმართოს სწავლება, რა შეცვალოს და რაზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე შესაძლოა, ტესტით გვსურდეს განსაკუთრებით ძლიერი მოსწავლეების გამოვლენა.

რომელიმე მათგანი. ზემოთ ჩამოთვლილი დავალებიდან, პირველი სამი შედარებით დაბალ, მომდევნო სამი კი მაღალ კოგნიტურ უნარებს ზომავს.

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გამოძებნოს ბალანსი, რამდენი ტესტური და როგორი სპეციფიკის დავალება უნდა გააკეთოს თითოეული დონის სასწავლო მიზნისათვის, რათა ადეკვატურად მოიცვას და შეაფასოს სასწავლო პროცესის შედეგი.

სწორი/მცდარი

ამ ტიპის დავალებაში მოცემულია პირობა, რომელიც ან სწორია, ან მცდარი. მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ სწორია იგი თუ მცდარი.

> წაიკითხეთ დავალება, აღნიშნეთ სწორია იგი თუ მცდარი შესაბამისი ასოს შემოხაზვით.
>
> 1) შაქრის მიღება იწვევს ადამიანის წონაში მომატებას. „ს“ „მ“
> 2) გალაქტიონ ტაბიძემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. „ს“ „მ“

ასეთი დავალების შექმნისას აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ დავალებაზე პასუხი ცალსახა უნდა იყოს. ასევე ინსტრუქციაში ზუსტად უნდა იყოს მოცემული რა აღნიშვნა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა. პირობა მაქსიმალურად მარტივად და შედარებით მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რადგან გრძელი პირობა უფრო ძნელი გასააზრებელია საპასუხოდ. წარმოდგენილ დავალებაში, პირველ კითხვაზე პასუხი არ არის ცალსახა, რადგან შაქრის მიღება ყოველთვის არ იწვევს წონაში მომატებას, ამიტომ მსგავსი შინაარსის ცოდნის შეფასება ასეთი დავალებით შეუძლებელია. მეორე დავალებაზე კი პასუხი ცალსახაა, შესაბამისად ეს დავალება უკეთაა შერჩეული.

სწორი/მცდარი ტიპის დავალების დადებითი მხარე ისაა, რომ ცოტა დრო სჭირდება შესასრულებლად. შესაბამისად მასწავლებელმა ესა თუ ის თემა შეიძლება საკმაოდ ფართოდ მოიცვას.

თუმცა ამ ტიპის დავალებებს თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. ასეთი დავალებების შესრულების დროს გამოცნობის შანსი სხვა ტიპის დავალებებთან შედარებით მაღალია.

მარტივად შეიძლება მოხდეს ასეთი შემთხვევა: მასწავლებელმა შეადგინოს 100 კითხვიანი ტესტი და სწორად ვერ განსაზღვროს ტესტის შესრულებისათვის საჭირო დრო: უფრო ცოტა დრო მისცეს მოსწავლეებს ვიდრე ამ ტესტის შევსებას სჭირდება. არის შანსი, რომ მოსწავლეები, რომლებიც დაიწყებენ ტესტის შევსებას და ვერ მოასწრებენ ყველა კითხვის წაკითხვას, მიიღებენ უფრო ნაკლებ ქულას, ვიდრე მოსწავლე, რომელიც კითხვებს წაუკითხავად შემოხაზავს და ტესტს ბოლომდე შეასრულებს. ანუ ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რომ პასუხი არ დარჩეს გაუცემელი არც ერთ კითხვაზე, ვიდრე ის, რომ დაკვირვებით წაიკითხოს და გაიაზროს ყველა კითხვა.

გარდა ამისა, უნდა მოვერიდოთ ისეთი სიტყვების გამოყენებას, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, გამოიცნოს სწორი პასუხები. მოსწავლე, რომელმაც კარგად იცის ტესტის შევსების ტექნიკა, ადვილად გამოიცნობს, რომ სიტყვები: „ყველა“, „ყოველთვის“, „არასდროს“, „შეუძლებელი“... ხშირად ისეთ პირობებშია, რომლებიც მცდარია. ხოლო, „ზოგჯერ“, „ხშირად“, „როგორც წესი...“-ს შემცველი პირობა, ძირითადად, სწორია.

ზოგადად მცდარი პირობის შემცველ დავალებებში დისკრიმინაცია (დავალების დისკრიმინაცია გულისხმობს, რამდენად შეუძლია მას რეალურად განასხვავოს მოსწავლეები გამოსაცდელი მასალის ცოდნის დონის მიხედვით) უფრო მაღალია, ამიტომ შესაძლებელია, ტესტის შედგენისას 10-15 პროცენტით მეტი მცდარი დავალება შევარჩიოთ სწორ დავალებასთან შედარებით.

ზოგჯერ მასწავლებლები სპეციალურად თხზავენ კითხვებს მოსწავლეთა დასაბნევად. ასეთი კითხვები არაა რეკომენდებული დაბალი დონის კოგნიტური უნარების შესამოწმებლად. მათი გამოყენება შეიძლება მაღალი დონის კოგნიტური უნარების, მაგ. კრიტიკული აზროვნების შესაფასებლად.

დასაწყვილებელი/ შესაბამისობის დავალებები:

მოსწავლემ უნდა დაადგინოს შესაბამისობა, მაგალითად სიმბოლოებსა და მათ მნიშვნელობებს, თარიღებსა და მოვლენებს, ცნებებსა და განმარტებებს, ადამიანებსა და მათ საქმიანობებს შორის.

ასეთ დავალებებში გვაქვს ორი სვეტი, რომლებიც შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვებს, ფრაზებს, ციფრებს თუ სიმბოლოებს, რომელთა დაწყვილებასაც ვთხოვთ მოსწავლეებს.

დავალების ინსტრუქციის შედგენისას, მოსწავლეებს შეიძლება „თხოვოთ სწორი პასუხები ხაზებით დაუკავშირონ ერთმანეთს, თუმცა ეს გასწორებისას მასწავლებელს საქმეს გაურთულებს და უფრო ბევრ დროს წაიღებს. ამიტომ უმჯობესია მივუთითოთ, რომ შესაბამისობა სიტყვებთან ასოებით მიწერით აღნიშნონ. მაგალითად:

დააწყვილეთ ქვემოთ მოცემული გამოგონებები მათ გამომგონებლებთან, დაწყვილების აღსანიშნავად მეორე სვეტის შესაბამისი ასო მიუთითეთ პირველ სვეტში მოცემული გამოგონების ბოლოს. თითოეული სახელი და გამოგონება გამოიყენეთ ერთხელ.

I		II
1) ელექტრო ნათურა	––	ა) იოჰან გუტენბერგი
2) სამედიცინო თერმომეტრი	––	ბ) ალექსანდრე ბელი
3) საბეჭდი მანქანა	––	გ) ტომას ედისონი
4) საყოფაცხოვრებო ტელეფონი	––	დ) ტომას ალბუტი
		ე) უილბურ ვრაითი
		ვ) ბენჯამენ ფრანკლინი

წაიკითხეთ პირობა და შემოხაზეთ სწორი პასუხის შესაბამისი ასო:

ექიმისათვის საავადმყოფო იგივე ადგილია, რაც –
ა) კრიმინალისთვის ციხე
ბ) ფეხბურთის გულშემატკივრისთვის სტადიონი
გ) ბავშვისთვის სკოლა
დ) პროფესორისთვის უნივერსიტეტი

გავითვალისწინოთ, რომ თუკი ორივე სვეტში ერთი და იმავე რაოდენობის სიტყვებსა თუ ფრაზებს ჩამოვწერთ, მოსწავლემ საჭიროა ერთით ნაკლები პასუხი იცოდეს სწორად, იმისათვის, რომ ყველა შესაბამისობა ზუსტად დაადგინოს. ანუ გამოცნობის შანსი იზრდება. ამიტომ სასურველია მეორე სვეტში ორი ან სამი პასუხით მეტი შევიტანოთ. ასევე, დავაკონკრეტოთ ინსტრუქციაში, შესაძლებელია თუ არა, რომელიმე სვეტიდან ერთჯერ მეტად გამოვიყენოთ დასაწყვილებელი სიტყვები.

ასევე, რეკომენდებულია, რომ თუ რომელიმე სვეტში შედარებით გრძელი ფრაზებია, ისინი პირველ სვეტში ჩავსვათ და მეორე სვეტში უფრო მოკლე ტექსტები შევიტანოთ. საქმე ისაა, რომ მოსწავლეებს გაუადვილდებათ და ნაკლებ დროსაც დახარჯავენ, თუ ჯერ უფრო ვრცელ ტექსტს წაიკითხავენ და შემდეგ მეორე რიგში მოკლე ტექსტს თვალს სწრაფად გააყოლებენ.

არჩევით პასუხიანი/ ბოლოიანი დავალებები

არჩევით ბოლოიანი დავალებები ყველაზე პოპულარულია, თუმცა მათ ნაკლებად გამოიყენებენ დაბალ კლასებში. ამ შემთხვევაში გვაქვს დავალება, რომლის პირობა, შესაძლოა, კითხვის სახით იყოს ფორმულირებული, ან არასრული წინადადება, მათემატიკური დავალება ან სიტუაციაა მოცემული რამდენიმე სავარაუდო პასუხით, რომელთაგანაც საუკეთესო უნდა ამოირჩიო. არის ერთი სწორი პასუხი და ეგრეთწოდებული დისტრაქტორები, ანუ არასწორი პასუხები.

ტექნიკურად რომ გამართული იყოს ასეთი დავალება:

1) ასარჩევი პასუხების რაოდენობა სასურველია არ იყოს ოთხზე მეტი ან ნაკლები. 2) არასწორი პასუხები (დისტრაქტორები) ისე უნდა შევარჩიოთ, რომ ისინი გავდეს სწორ პასუხებს და არ იყოს აბსურდული. 3) თუკი კითხვის სავარაუდო პასუხები არის წლები, რეკომენდებულია, რომ წლები დავალაგოთ ქრონოლოგიურად, სხვა შემთხვევაში პასუხების დალაგება რეკომენდებულია ანბანის მიხედვით. 6) დაუშვებელია, რომ მიმანიშნებელი სიტყვა მოცემული იყოს დავალების პირობაში. მაგალითად, თუ კითხვის ოთხი ასარჩევი პასუხიდან ერთ-ერთი პასუხი არის „თავისუფალი რადიკალები“, პირობაში არ შეიტანოთ სიტყვა „თავისუფალი“.

არსებობს მოსაზრება, რომ არჩევით ბოლოიანი დავალებებით ზომავენ მხოლოდ ცოდნის დონის კოგნიტურ უნარებს, თუმცა მათი საშუალებით შეიძლება გაიზომოს შედარებით მაღალი დონის კოგნიტური უნარებიც. მაგალითად:

აქ მოსწავლემ უნდა იცოდეს არა მხოლოდ სიტყვების ამოცნობა, არამედ თუ რა მიმართებები არსებობს სიტყვებს შორის (ეს დავალება გაგების დონეს წარმოაჩენს).

ასეთი დავალებების დადებითი მხარე ისაა, რომ უფრო მეტი მასალის შემოწმება შეიძლება უფრო ნაკლებ დროში. უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ რთულია შეამოწმო ისეთი მაღალი დონის კოგნიტური უნარები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნების, ანალიზის უნარი. ასევე, თუკი მოსწავლეს ესმის საკითხის რაღაც ნაწილი და სწორ პასუხს ვერ ამოიცნობს, ის ამას ვერ დაადასტურებს, რადგან მხოლოდ ერთი პასუხია სწორი, რის გამოც ნაწილობრივ შეფასებასაც ვერ მიიღებს.

როგორც წესი, ასეთ დავალებაში მოსწავლე არასწორ პასუხში ქულას ვერ იღებს, თუმცა არაფერი აკლდება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა არასწორ პასუხში მოსწავლეს ქულას აკლებენ. მსგავს სტრატეგიას მაშინ მიმართავენ, როცა სურთ, რომ გამოცნობის შანსები მაქსიმალურად შეამცირონ.

განსაზღვრეთ ტესტის მიზანი
↓
განსაზღვრეთ, რომელ სასწავლო მიზანს/მიზნებს აფასებს ტესტი
↓
განსაზღვრეთ, რომელი ფორმატის დავალებებს გამოიყენებთ
↓
ჩამოაყალიბეთ ზუსტი ინსტრუქციები მოსწავლეებისათვის
↓
განსაზღვრეთ, რა დრო უნდა გამოყოთ ტესტის შესასრულებლად

მოსწავლეთა სოციალური ქცევები

„ჩემს კლასში რთული ბავშვია...“, – ასეთ ჩივილს ნებისმიერი სკოლის სამასწავლებლოში გაიგებთ. როგორ უნდა გამონახოს მასწავლებელმა საერთო ენა ე.წ. „რთულ ბავშვთან“? როდის უნდა მიმართოს მან დახმარებისთვის ფსიქოლოგს? რა როლი ენიჭება მოზარდის ქცევების მართვაში სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას? რატომ ავლენს აგრესიას ბავშვი და რა შემთხვევაში იქცევა ჰიპერაქტიურობა ასოციალურობად? ამ თემებზე ისაუბრეს განათლების ექსპერტებმა, ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ჟურნალ „მასწავლებლის“ მიერ გამართულ მრგვალ მაგიდასთან.

ირმა კახურაშვილი

ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ დახმარებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს ბავშვთა და მოზარდთა ქცევითი პრობლემების შესწავლა წარმოადგენდა. ეს კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ადრეული ინტერვენციების დაგეგმარებისთვის. კვლევა ჩატარდა ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში. გამოკვლეულ იქნა 12-17 წლამდე ასაკის 1374 მოსწავლე, როგორც ქალაქის, ასევე რაიონის მცხოვრები.

მარინა გეგელაშვილი: როდესაც რთულ ბავშვებზე ვსაუბრობთ, ჩვენი ამოსავალი წერტილი კონკრეტული სიტუაცია უნდა იყოს. უნდა ვიცოდეთ, რას ვგულისხმობთ „სირთულეში“ – ბავშვის აკადემიურ მოსწრებას თუ არანორმირებულ ქცევებს? არცთუ დიდი ხნის წინ ჩატარდა კვლევა, რომლისთვისაც სპეციალურად შემუშავდა ფსიქო-სოციალური კითხვარი, რეი-ტეილორისა და სხვა ტესტები. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც პრობლემური ქცევის ასკობრივი დინამიკა, ასევე ზოგიერთი ფაქტორი, რომელთა ერთდროული თანამონაწილეობა სარწმუნოდ ზრდის ქცევების აღმოცენების რისკს: მამრობითი სქესი, მშობლების, და-ძმისა და მეგობრების ადიქტიური ქცევები, ოჯახის წევრთა ნასამართლეობა, კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, სკოლის გაცდენები. შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები ფსიქო-პრევენციის სამიზნე ჯგუფებისთვის: მშობლებისთვის, მოზარდებისთვის, სკოლის პედაგოგებისა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმებისთვის.

ნინო სხირტლაძე: სამი წლის წინ მეც მქონდა შედგენილი ემპათიის 42- კითხვიანი კითხვარი „კი-არა“ პასუხებით. კვლევა 27-ე, 29-ე სკოლებში და ერთ კერძო სკოლაში, უფროსკლასელებში ჩატარდა. მან სულ 150 მოსწავლე მოიცვა. ზოგადად, ემპათიურობის საშუალო მაჩვენებელი დაბალი იყო: ის ბიჭებში მეტი აღმოჩნდა, გოგონებში – ნაკლები.

მოზარდებში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული სტატისტიკა არასახარბიელოა, განსაკუთრებით სკოლებში, სადაც ბავშვი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში მასწავლებელი: გაკვეთილიდან გააძევოს „რთული ბავშვი“ თუ ეცადოს, შექმნილი სიტუაციიდან ალტერნატიული გამოსავალი მოძებნოს?

შეხვედრას ესწრებოდნენ:

სოფო გორგოძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი;

მარინა გეგელაშვილი
თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ფსიქიატრი;

თინათინ ალავიძე
თბილისის 175-ე საჯარო სკოლის დირექტორი;

ნინო სხირტლაძე
ფსიქოლოგი, აკ. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამეცნიერო ცენტრი;

ლია ჟურხული
ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგი, ავტორი წიგნისა „ბავშვთა აგრესია“;

ანა არგანაშვილი
სახალხო დამცველის ოფისი, ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის უფროსი;

იზა უგილავა
თბილისის 55-ე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

ნუგზარ ბარდაველიძე
თბილისის 123-ე საჯარო სკოლის ისტორიისა და ხელოვნების მასწავლებელი;

მაია ბაძრაძე
თბილისის 161-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი.

ირაკლი კაკაბაძე
ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი **ნატო ინგოროყვა**

თინათინ ალავიძე

თინათინ ალავიძე: ცხადია, ბავშვებში აგრესია უფრო მომძლავრებულია. ამას ის გარემო განაპირობებს, სადაც ისინი იზრდებიან. ჩემს სკოლაში ამ თემებზე საუბარი ხშირად გვიწევს. ფაქტია, უმეტესწილად მასწავლებელმა არც იცის, როგორ მიუდგეს რთულ ბავშვს, როგორ მართოს იგი. რთული ბავშვის თავიდან მოცილება და გაკვეთილიდან გაგდება ყველაზე იოლია, მაგრამ ყველას გვესმის, რომ ეს გამოსავალი არ არის. ხშირად ბავშვი თავად სარგებლობს ამით და სპეციალურად ისე იქცევა, რომ გაკვეთილიდან გააგდონ. მასწავლებელი ვალდებულია, ნებისმიერ სიტუაციაში მოძებნოს გამოსავალი. საუკეთესო გამოსავალი კი მოსწავლის დაინტერესებაა. თუმცა არსებობენ ძალიან რთული მოსწავლეებიც, ვისთანაც ფსიქოლოგმა უნდა იმუშავოს.

მარინა გეგელაშვილი: ნაწილობრივ დაგეთანხმებით, რადგან რთული ბავშვის ყველა ქმედებაზე მხოლოდ მასწავლებელი ვერ იქნება პასუხისმგებელი. ზოგჯერ მას მართლაც სხვა გამოსავალი არ რჩება და იძულებულია, ბავშვი გაკვეთილიდან დაითხოვოს. ამით იმის თქმა მსურს, რომ ეს საკითხი მხოლოდ საგანმანათლებლო ან სოციალურ პრობლემამდე არ უნდა დავიყვანოთ. ხშირად ეს სამედიცინო პრობლემაც გახლავთ. უკვე აღვნიშნე, რომ ბავშვის რთული ქცევის ამხსნელი ერთ-ერთი ჰიპოთეზა ნეიროფსიქიკური დარღვევებია. აგრესიული ბავშვი სწორად ვერ ითვისებს სიგნალებს. აქედან მოდის მისი აგრესიული რეაქციაც.

ლია ქურხული: არ შეიძლება დავივიწყოთ ის, რომ რთულ კატეგორიაში ჩაკეტილი ბავშვებიც მოიაზრებიან. მათ თითქოს არაფერი აინტერესებთ, არავისთან სურთ ურთიერთობა, არ აქტიურობენ გაკვეთილებზე. მასწავლებლებიც იგნორირებას უკეთებენ, რადგან ყურადღება უფრო აქტიურ ან აგრესიულ ბავშვებზე გადააქვთ. ჩაკეტილი ბავშვი მშობლებს ხშირად ერთი სკოლიდან მეორეში გადაჰყავთ, მაგრამ ამით პრობლემას პრობლემა ემატება. ამიტომ აუცილებელია, პედაგოგი კი არ გაერიდოს, არამედ კონტაქტი დაამყაროს ასეთი სირთულის ბავშვთან. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ მასწავლებელი მისი მეგობარია, ფასილიტატორი, სტიმულის მიმცემი. ასევე, ძალიან დიდი პრობლემაა სკოლებში, როცა ბავშვებს თანატოლების დაცინვის შიში აქვთ. მე უმაღლეს სასწავლებელშიც ვასწავლი და შემიმჩნევია, რომ სკოლიდან გამოყოლილი კომპლექსის გამო ახალგაზრდებს საჯარო მეტყველების შიში აქვთ.

ნუგზარ ბარდაველიძე: ისრაელში პედაგოგს უფლება აქვს, რთული ბავშვის მშობელს მედიკამენტური ჩარევა მოსთხოვოს. თუმცა ასეთ მიდგომებს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რადგან ბევრი მასწავლებელი ცდილობს რთული მოზარდით თავი არ შეიწუხოს. ჩემი აზრით, ბევრი რამ დამოკიდებულია პედაგოგისა და ბავშვის პირად ურთიერთობაზე, შემოქმედებით მიდგომაზე. მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ მოზარდობის ასაკში ბავშვებს უგროვდებათ ენერგია, აგრესია და ის უნდა დაიხარჯოს. ამას კი ისინი მხოლოდ ფიზკულტურის გაკვეთილზე ვერ მოახერხებენ.

ლია ქურხული: ბავშვის აგრესიულობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ჩვენ ტვინის დისფუნქცია დავასახელეთ, მაგრამ რა არის მისი წინაპირობა, როგორია რისკ-ფაქტორები? ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე ასეთი წინაპირობა გამოიკვეთა: დაბალი ეკონომიკური შეძლების მქონე ოჯახები, გაყრილი მშობლები, უცხოეთში სამუშაოდ წასული ოჯახის წევრები... ეს ყველაფერი ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობაზე მძიმედ აისახება. მნიშვნელოვანი დაღია ბავშვისთვის ოჯახური ძალადობაც. როგორც წესი, განტევების ვაცად სწორედ ბავშვი იქცევა ხოლმე. ამ დროს მასში თავადაც იმატებს აგრესიის ფონი.

ამ შემთხვევაში, რას გვირჩევდნენ ფსიქოლოგები: შესაძლებელია თუ არა სკოლაში ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობამ გადაწყვიტოს მოზარდების სოციალური ქცევის პრობლემები?

იზა უბილავა: სკოლის ფსიქოლოგის აუცილებლობის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მასწავლებლის როლიც ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებლმა უნდა დააჯეროს მოსწავლე, რომ სწავლა აუცილებელია. ამას მხოლოდ მაშინ მოახერხებს, თუ მოსწავლე და თავისი საქმე მართლაც ეყვარება. ნებისმიერი სირთულის ბავშვი მხოლოდ მაშინ მიჰყვება მასწავლებელს, მაშინ სჯერა მისი, როცა ის თვითონაა მაგალითი იმისა, რასაც ქადაგებს. მაგალითი კი ვერ იქნები, თუ არ ხარ თანამედროვე, დროსთან ფეხშეწყობილი მასწავლებელი. დღეს ძალიან კარგი თაობა გვყავს და მას არ სჭირდება ავტორიტარი. უბრალოდ, მასწავლებელმა მოსწავლე უნდა მიაჩ-

იზა უბილავა

ანა არგანაშვილი

ვიოს იმ აზრს, რომ სკოლა მისი საქმიანი გარემოა. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე საქმიანი პარტნიორები უნდა იყვნენ.

მაია ბაქრაძე: დავაზუსტებდი, ავტორიტარია ის მასწავლებელი, რომელიც ერთპიროვნულად აწესებს ნორმებს და მოითხოვს მათ შესრულებას. ის არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, თვითონ აყალიბებს კლასში ქცევის წესებს, თვითონ განსაზღვრავს, როდის რა გააკეთოს ბავშვმა. მოსწავლის ფუნქცია კი მხოლოდ მორჩილებაა.

ნინო სხირტლაძე: იგივე დაადასტურა კვლევამ, რომელმაც მასწავლებლის შემდეგი ტიპები გამოკვეთა: „ავტორიტარი“, „მეცნიერი“, „მეგობარი“ და „პარტნიორი“ პედაგოგი. „პარტნიორმა“ პედაგოგმა რთულ ბავშვთან ურთიერთობისას ყველაზე მეტად გაამართლა.

ანა არგანაშვილი: დეკლარირებულად ვაცხადებთ, რომ ბავშვი არის უფლებების სუბიექტი, მაგრამ ახლა ჩვენს შორის ბავშვი არ ზის. ჩვენთან ხშირად შემოდის იმ მშობლებისა და ბავშვების მხრიდან განაცხადები, რომელიც თქვენს მიერ რთულ ქცევად იდენტიფიცირებულ მოვლენად არის აღქმული. ამ თემაზე ბევრი მიმართულებით შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე გავამახვილებდი თქვენს ყურადღებას. ხომ შეიძლება სკოლა, როგორც სისტემა, სხვადასხვა ბავშვებს სხვადასხვა სერვისს სთვაზობდეს? მეორე – ძალიან საინტერესოა, რომ რთული ქცევა ყოველთვის მოიცავს რეაქციებს, მაგრამ კანონში ზოგადი განათლების შესახებ ძალადობა საკმაოდ უხეშად არის განსაზღვრული. ხშირად მისი იდენტიფიცირება თითქმის შეუძლებელია – ის ან უნდა იყოს ვერბალური, ან ფიზიკური. მე ახლა გეტყვით ვერბალურ ფრაზას, რომელიც დაწერილად არ ჟღერს. მაგალითად, ბავშვი წერს, რომ მასწავლებელმა ასე უთხრა – „შენ გგონია, რომ კარგად სწავლობ?“ მაგრამ რა ინტონაციით არის ნაქვამი ეს ფრაზა, ამას ვერავინ მეუბნება... როგორ დავამტკიცოთ ეს ფსიქოლოგიური ძალადობაა თუ არა? თუმცა, ამავე დროს, ამ მხრივ საქართველოში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა, რადგან ოჯახური ძალადობის შესახებ კანონში არსებობს ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობის სახეები. ჩვენი მხრიდან, მართლა მოსურნენი ვიქნებოდით, მეტად მოგვესმინა ბავშვებისთვის, გვეფიქრა იმაზე, ხომ არ აღიქვამს ის ჩვენს შენიშვნებს, და გაკიცხვას ძალადობად? ვთქვათ, ჩვენთან შემოვიდა საჩივარი ბავშვისგან, რომ ის გაკიცხეს, გააგდეს. ხომ შეიძლება, მასწავლებელმა წერილობითი შენიშვნა მისცეს ბავშვს და თუ რამეა, ამ წერილობითი შენიშვნის მერე მასწავლებელიც იტყვის, რომ ამის საფუძველი ჰქონდა?

მარინა გეგელაშვილი: ორიოდე სიტყვას გარიყულ მოზარდებზეც ვიტყოდი. მათ არ შეუძლიათ საკუთარი თავის გარიყულად აღიარება. სწორედ ამიტომ მასწავლებელმა მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს კონფლიქტურ ოჯახებში უწევთ ცხოვრება. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო ხანებში მოზარდისთვის ყველაზე მისაბაძი ადამიანი მშობელია. მშობლები კი სხვადასხვანაირები და ზოგჯერ არცთუ სამაგალითონი არიან.

ნუგზარ ბარდაველიძე: ჩემი დაკვირვებით, ბევრი მშობელი არც მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში. დღეს მოზარდის მეგობარი კომპიუტერი და ტელევიზორია. მისთვის ორივე უფრო ახლობელია, ვიდრე ბიოლოგიური მშობლები. ამას ემატება ოჯახის ზოგადი სოციალური მდგომარეობა. ჩემმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბავშვის ფსიქიკაზე ძალიან ცუდად აისახება გაყოფილი ოჯახი. უცხოეთში გადახვეწილი მშობლების ნაცვლად მას ბებიები და ძიძები ზრდიან. ბავშვს არ აქვს სიყვარული, მაგრამ აქვს ფული და ნელ-ნელა ის ჯერ ძნელად აღსაზრდელი, შემდეგ კი ასოციალური ხდება.

ნუგზარ ბარდაველიძე

მაია ბაქრაძე: ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ 5-6 წლამდე ბავშვს უნდა ჩამოუყალიბდეს ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – ვიღაცაზე მიჯაჭვულობა, მაგრამ ბავშვი არათუ საკუთარ მშობელზე, ძიძაზეც ვერ ხდება მიჯაჭვული, რადგან ძიძებს ხშირად იცვლის. ასე წყდება ბავშვის კავშირი ოჯახის წევრებთან. ეს მშობლების დაკარგვის ტოლფასია. გამოდის, რომ სოციალურად ხეიბარი ბავშვი სკოლაში უკვე პრობლემების თაიგულით შედის.

რა საქმიანობას ეწევიან სკოლაში ფსიქოლოგები და რომელ საფრთხეებს ეჯახებიან? რა გზით შეიძლება შეამციროს ძალადობის ფაქტები სკოლამ?

მაია ბაქრაძე: პირადად მიწევს მუშაობა სკოლაში ნაადრევ ასაკში შეყვანილ ბავშვებთან (ე.წ. არასრული ექვსწლიანები). ფიზიოლო-

მარინა გეგელაშვილი

გიურ-ასაკობრივი ჩამორჩენის გამო, ეს ბავშვები უნებურად მასწავლებელთა ძალადობის ქვეშ ხვდებიან. პედაგოგი აიძულებს მათ, აკეთონ ის დავალებები, რასაც მათზე უფროსი კლასელები აკეთებენ. ასეთი მოსწავლეები მალევე კარგავენ სწავლის მოტივაციას. თვალშისაცემად მომატებულია ჰიპერაქტიური, ყურადღების დეფიციტის მქონე, იმპულსური ბავშვების რიცხვი. სტატისტიკურად ასეთ ბავშვებში ბიჭები ჭარბობენ. ჩემი, როგორც სკოლის ფსიქოლოგის, ფუნქციაა, მასწავლებლის მომართვის შემდეგ ბავშვის კვლევა ჩავატარო. სწორედ ახლა ვატარებთ პედაგოგთა ტრენინგებს და ვუხსნით მათ, რომ ყველა ცელქი ბავშვი არ არის ჰიპერაქტიური. ჰიპერაქტიურობა გაცილებით იშვიათად გვხვდება. ეჭვის შემთხვევაში, მშობელს ეძლევა რეკომენდაცია, ბავშვი ეპილეფსიის პრევენციის ცენტრში გამოიკვლიოს. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ბავშვს უჭირს სწავლა და ამის გამო იქცევა ცუდად. მას შეგნებულად სურს კლასიდან გაგდება და გაკვეთილის გაცდენა. სასურველია, რომ სკოლამ, რომელსაც არ ჰყავს ფსიქოლოგი, ისარგებლოს სოციალური სამსახურების რეკომენდაციებით. სკოლას ხომ ორი ძირითადი ფუნქცია აქვს – სწავლება და აღზრდა.

თინათინ ალავიძე: სკოლაში მუშაობა რომ დავიწყე, ბავშვებს შორის კინკლაობა უფრო ხშირი იყო, ვიდრე ახლა. სკოლის ოპტიმიზაციის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა, ამიტომ მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა ვცადეთ, დაგვემეგობრებინა ბავშვები: ბევრი ერთობლივი ღონისძიება ჩავატარეთ, მათ შორის ინტელექტუალური თამაშები, დისკუსიები, ექსკურსიები. მას შემდეგ ბავშვებს შორის სერიოზული კონფლიქტური სიტუაციები არ გვქონია.

ნუგზარ ბარდაველიძე: ყველა სკოლაში გამოიძებნება რამდენიმე რთული ბავშვი, რომელსაც სკოლაში ყველა მასწავლებელი უჩივის. არც ისე დიდი ხნის წინ სწორედ ასეთ ბავშვებს მივაღებინეთ მონაწილეობა თამაშში „რა, სად, როდის“ და აღმოჩნდა, რომ ძალიანაც გონებამახვილნი არიან. ყველა ბავშვს აქვს რაღაც ინტერესი. იქნებ მათთვის ის კონკრეტული სფერო შეგვეთავაზებინა, სადაც თვითრეალიზაციას შეძლებდნენ? შესაძლოა, ეს ბავშვები აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევიან, მაგრამ თვითდამკვიდრების პერიოდი აქვთ და რთული ქცევის მიზეზიც ეს არის. ალბათ ასეთ შემთხვევაში სპორტი საუკეთესო გამოსავალია.

ნატო ინგოროყვა: ვფიქრობ, უფროსმა თაობამ ბავშვებთან კონტაქტი დავკარგეთ. ისინი გაგვიუცხოვდნენ და ერთმანეთში ნახეს მოკავშირეები. მართალია, მათი ძირითადი პრობლემები ოჯახიდან მოდის, მაგრამ ისინი არცთუ მცირე დროს ატარებენ სკოლაში. ბავშვი ვერ წყდება სკოლას. ის შინ ბრუნდება, ამზადებს გაკვეთილებს და კვლავ სასწავლო დაწესებულებას უბრუნდება. ამდენად, პედაგოგის პასუხისმგებლობა მშობლის პასუხისმგებლობას თითქმის არ ჩამოუვარდება. ვეცადე, ჩვენი შეხვედრის მთავარი შეტყობინებები შემეკრიბა და ჟურნალის საშუალებით, ჩვენი კოლეგებისა და მასწავლებლებისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, რომ მოსწავლის უფლებები დაცული უნდა იყოს. მათ უნდათ, რომ ჩვენ მოვუსმინოთ, დავუმეგობრდეთ და ამავდროულად ვასწავლოთ.

უსაფრთხო სკოლა

სკოლების რეაბილიტაციისა და ტექნიკური აღჭურვის პერიოდში გაჩნდა იდეა, რომ საქართველოში უსაფრთხო სკოლის პროექტი ამუშავებულიყო და ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებაში ვიდეოთვალის სისტემა დამონტაჟებულიყო. როგორც 51-ე სკოლის დირექტორი დავით ლაგვილავა იხსენებს, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ეს იდეა მოიწონა და მისი დანერგვის ინიციატივით გამოვიდა.

თამარ კაციტაძე

„ინფორმაციის არარსებობის გამო, გაურკვევლობა მართლაც იყო. თავდაპირველად როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების მხრიდან შეშფოთება გამოითქვა. მათ ეს იდეა გააპროტესტეს კიდეც. მოგეხსენებათ, საზოგადოება ნებისმიერ სიახლეს სკეპტიკურად უყურებს, მითუმეტეს, არ უყვარს, თუ სიახლე კონტროლს უკავშირდება. თავიდან მასწავლებლები და მოსწავლეები თვლიდნენ, რომ მათ ყველა ნაბიჯს აკონტროლებდნენ და უთვალთვალებდნენ – ეს წარმოდგენა, რა თქმა უნდა, გაზვიადებული იყო. ახსნა ადვილად მოვუძებნეთ: ვიდეოთვალები ქალაქშიც განთავსდა, მაგრამ ამას საზოგადოება არ აპროტესტებს, რადგან იქვე შესაბამისი ნიშანია და მისი არსებობა ყველასთვის ცნობილია," — ამბობს 51-ე სკოლის დირექტორი დავით ლაგვილავა.

51-ე სკოლაში, რომლის ფართობი 5700 კვადრატული მეტრია, სულ 25 ვიდეოთვალია დამონტაჟებული. კამერები ძირითადად სკოლის გარე პერიმეტრში, დერეფნებში, სასადილოსა და კიბის უჯრედებშია განლაგებული. ვიდეოთვალები 24 საათის განმავლობაში მუშაობს. ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, ისინი, სისტემური კვების ბლოკის მეშვეობით, სამუშაო რეჟიმს ინარჩუნებენ. 7 წუთში გენერატორი ავტომატურად ირთვება. ასე რომ, ჩანაწერების წყვეტა არ ხდება.

„მონიტორთან 24 საათის განმავლობაში არავინ ზის და ყოველ წუთს მას არავინ აკონტროლებს. აპარატურაში ჩაწერილი ინფორმაცია ორი კვირის განმავლობაში ინახება. ამ ხნის მანძილზე თუ ვერ გავიგეთ, რომ კანონდარღვევა მოხდა, საგანგაშოც არაფერი ყოფილა. თუმცა, პერიოდულად, ჩაწერილ მასალას მაინც ვამოწმებთ", – განმარტავს დავით ლაგვილავა.

სკოლაში მოსწავლის ძირითად დანაშაულად ითვლება: დაგვიანება, გაპარვა, ე.წ. „შატალო", სიგარეტის მოწევა, ფანჯრის გატეხვა, ფასადისა და მერხების დაზიანება, ჩხუბი და ასე შემდეგ. ეს დისციპლინური გადაცდომები, რა თქმა უნდა, 51-ე სკოლისთვის უცხო არ არის, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ვიდეოთვალების დაყენების შემდეგ სკოლის შიდაგანაწესის დარღვევა მინიმუმამდეა დასული.

„ჩვენი სკოლის ფასადი დაზიანებული არ არის.

არ გეგონოთ, რომ მას ყოველდღე ვღებავთ, უბრალოდ, ვიდეოთვალის დაყენების შემდეგ, აღარ აზიანებენ. ძალიან გაადვილებულია შიდაგანაწესის დამრღვევის დადგენა. გაფუჭებულის გამოსწორება საკუთარი ხელით და სახსრებით სწორედ იმ მოსწავლეს უწევს, ვინც ეს ჩაიდინა.. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობა და მოქალაქეობრივი განცდა ვიდოთვალების დამონტაჟების მერე აშკარად გაიზარდა“, — ამბობს დავით ლაგვილავა.

„როდესაც გაჩნდა მოსაზრება, რომ სკოლაში ვიდეოთვალი დამონტაჟდებოდა, ამან მასწავლებლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია“, – იხსენებს 51-ე სკოლის ისტორიის მასწავლებელი თამარ ჯავახიშვილი, –

„ყველას ეგონა, რომ ეს იქნებოდა თვალთვალის მექანიზმი, რაც ნებისმიერს დააკომპლექსებდა და დაძაბავდა. მაგრამ როდესაც ნახეს, სად იყო კამერები დამონტაჟებული, პროტესტიც განელდა. დღეს უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ კამერები საქმეს თუ არ აკეთებს, არც არაფერს აფუჭებს“.

დღეს 51-ე სკოლის მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც აღიარებენ, რომ ვიდეოთვალის დაყენების შემდეგ თავს გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობენ.

„ვიდეოთვალი ძალიან კარგი და საჭიროა, როგორც სკოლისთვის, ასევე ბავშვებისთვის. მართალია, ზოგიერთ მოსწავლეს განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ ამ სიახლეს ყველა შეეჩვია. თანაც, უკვე ყველა ხედავს, რომ წესრიგი უკეთესია“,
– ამბობს 51-ე სკოლის მოსწავლე დათო მარგველიშვილი.

სკოლა ბავშვური სიცელქის გარეშე მაინც წარმოუდგენელია. ანა კაკაბაძე გვიხსნის, რომ მის მეგობრებს, განსაკუთრებით ბიჭებს, ვიდეოთვალი არ მოსწონთ:

„ისინი თვლიან, რომ კამერები საჭირო არ არის. მართალია, თვითონ არაფერს აშავებენ, მაგრამ ამტკიცებენ, თავისუფლად ვერ ვმოძრაობთო. ძირითადად სიგარეტის მოწევის პრობლემა აქვთ. მე და მოსწავლეების უმრავლესობას პრობლემა არ გვაქვს. პირიქით, ძალიან მოგვწონს, რომ მეტი წესრიგია“.

ვიდეოთვალის არსებობა გამართლებულად მიაჩნია 51-ე სკოლის მოსწავლის მშობელს, შორენა ქვლივიშვილსაც:

„ისეთი ბავშვიც კი, რომელიც ცუდ ქცევაში არ არის შემჩნეული, როდესაც ვიღაცის მიერ კონტროლდება, რეჟიმს უფრო მეტად ეჩვევა. ბავშვებში, განსაკუთრებით გარდამავალ ასაკში, ყოველთვის არის რაღაც დარღვევებისკენ მიდრეკილება. ჩემი ორი შვილი დადის 51-ე სკოლაში და მათ ამ კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით პრეტენზიები ჯერ არ გამოუთქვამთ“.

51-ე საჯარო სკოლაში ვიდეოთვალის არსებობა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხრიდან, უმთავრესად დადებითად ფასდება, მაგრამ განსხვავებული მოსაზრება მაინც არსებობს. საწინააღმდეგო აზრის მქონე მოსწავლეები ტექნიკური კონტროლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ფსიქოლოგიური პრობლემებით ხსნიან.

თავად პროფესიონალი ფსიქოლოგის, დიტო ნადირაშვილის დამოკიდებულება კი ასეთია:

„როდესაც ვიდეოთვალზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისეთ პრობლემაზე ვმსჯელობთ, რომლის შესახებაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. იმისათვის, რომ ვთქვათ, ვიდეოთვალი კარგია თუ ცუდი, სრულიად სხვა სფეროში უნდა ჩავიხედოთ. მთავარია, როგორი არის თვითონ სკოლა, სადაც ვიდეოთვალია დამონტაჟებული, როგორია დირექცია, მასწავლებელი და საერთოდ, რა გარემოა ამ დაწესებულებაში. ერთ სკოლაში, რომელიც ჰუმანური პრინციპებით იმართება, შეიძლება ვიდეოთვალს სხვა ეფექტი ჰქონდეს და მეორე სკოლაში, რომელშიც დიქტატორული მართვის სტილია, შეიძლება მან განსხვავებული დანიშნულება შეიძინოს. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, ვინ და როგორ იყენებს კონტროლის ამ მექანიზმს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ვიდეოთვალს მოსწავლეები – როგორც წესრიგის დამცავ, მათ დამხმარე ობიექტს თუ სისტემას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დასჯისთვის არსებობს. თუ იგი დამთრგუნველი ობიექტი ხდება, მაშინ მისადმი მოსწავლის დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება: მოზარდს პროტესტის განცდა უჩნდება და შედეგიც საწინააღმდეგოა. თუ ბავშვს დავარწმუნებთ, რომ ვიდეოთვალის სისტემა მის ინტერესს ემსახურება, მაშინ შედეგიც პოზიტიური იქნება“.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

სამოქალაქო გაკვეთილი:

უფლებათა შეზღუდვა და აივ ინფექცია

საგანი: სამოქალაქო განათლება

თემა: უფლებათა შეზღუდვა და აივ ინფექცია

მასწავლებლები: ნუნუ სარჯველაძე, ვიოლეტა ნიკოლეიშვილი (სსიპ სამტრედიის რაიონის, სოფ. კორმაღლის სკოლა)

ინტეგრირებული: სამოქალაქო განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ისტ, მათემატიკა

სწავლების საფეხური: საბაზო, IX კლ.

გაკვეთილის სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეების მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება ნაცნობი სოციალური ჯგუფის (ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, მეგობრები და ა.შ.) წინაშე;
- მარტივი სამომხმარებლო და ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება;
- ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესწავლა; თავისუფლების პასუხისმგებლობის გაზიარება;
- სხვადასხვა სოციალურ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების ცოდნა;
- სხვისი მოსმენის უნარისა და განსხვავებული აზრის პატივისცემის განვითარება;
- ინფორმაციის მოპოვებისა და მისი კრიტიკულად შეფასების უნარის განვითარება, ისტ-ის გამოყენების ცოდნა.

გაკვეთილის მიზანია, ასევე, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და ეთიკური ქცევის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემის, ტოლერანტობის, სამართლიანობისა და კანონის პატივისცემის განვითარებას.

ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები:

სამოქალაქო განათლება:

მიმართულება: მოქალაქეობა

მოქ.IX.2. მოსწავლე შეისწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის მონაწილეობის ფორმებსა და საშუალებებს;

- მსჯელობს, არის თუ არა კლასში დემოკრატიული გარემო;
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად გაითამაშებს ისეთ სიტუაციას, როდესაც ილახება ადამიანის ღირსება ან თავისუფლება; გამოთქვამს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას ამ ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ; გადმოსცემს საკუთარ განცდებს.

მოქ.IX.3. მოსწავლე იკვლევს საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობების ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებს;

- თანაკლასელებთან ერთად ქმნის მშვიდობიანი გარემოსთვის საჭირო ქცევის სახელმძღვანელო დოკუმენტს (მაგ: ბუკლეტი, პლაკატი, სამახსოვრო ბარათი).

მოქ.IX.4. მოსწავლე აფასებს ადამიანისა და საზოგადოების როლს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში;

- აღწერს იმ საშიშროებებს, რაც მოსდევს მოზარდების მიერ თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებას; განიხილავს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოსათვის; ასახელებს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების მაგალითებს.

მათემატიკა:

მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა.

მათ.IX.11. მოსწავლე აწესრიგებს და წარმოადგენს მონაცემებს დასმული ამოცანის ამოსახსნელად;

- აჯგუფებს რაოდენობრივ მონაცემებს ინტერვალთა კლასებში და აგებს შესაბამის ცხრილს/პიქტოგრამას (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით);
- არჩევს დაჯგუფებულ რაოდენობრივ მონაცემთა შესაფერის გრაფიკულ ფორმას, ასაბუთებს არჩევანს და ქმნის ცხრილს/დიაგრამას (ტექნოლოგიების გამოყენებით ან მათ გარეშე).

მათ.IX.13. მოსწავლე აკეთებს მონაცემთა ანალიზს და აყალიბებს დასკვნებს.

- იყენებს გრაფიკული ფორმით წარმოდგენილ მონაცემებს სტატისტიკური შინაარსის მოსაზრებების/არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად ან შესაფასებლად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

ბუნ.IX.1. მოსწავლე მსჯელობს ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურების შესახებ;

- იყენებს გაზომვებს, მოსმენას, დინამომეტრს, ვიზუალურ დაკვირვებას ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის შესაფასებლად; დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს ცდის ოქმის სახით;
- საკუთარ თავზე აკვირდება სხვადასხვა სიტუაციაში მომხდარ ფიზიკურ ცვლილებებს (მაგ: პულსის აჩქარება-შენელება, გუგის გაფართოება-შევიწროება, ოფლიანობა), მსჯელობს ნერვული და ენდოკრინული სისტემების მოქმედების შესახებ.
- მოიპოვებს ინფორმაციას ორგანიზმის თავდაცვით შესაძლებლობებზე (მაგ: კანი, ლორწოვანი გარსები, ღვიძლი, ტემპერატურის მატება, ფაგოციტები) და მსჯელობს მათი დარღვევის სავარაუდო შედეგების შესახებ.

ისტ:

- იყენებს ისტ-ის საშუალებებს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის (ელექტრონულ ფორმატში ბეჭდვა, კომუნიკაცია, საგამომცემლო და შემოქმედებითი საქმიანობა, საგანმანათლებლო ღირებულების მქონე პროდუქტების შექმნა, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებული აუდიტორიისთვის (ლიტერატურული პროექტები) (3,4)).

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1

შესავალი (დრო: 5 წთ.):
მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე მიცემული დავალების წარმოდგენას სთხოვს. მოსწავლეებს უნდა მოეგროვებინათ სტატიები, გამოკვლევები, აუდიო/ვიდეო მასალები შემდეგ თემასთან დაკავშირებით: „აივ ინფექციის კლინიკური გამოვლინებები და მისი კლასიფიკაციის სისტემა“.

II. მასწავლებელი მოკლედ ესაუბრება მოსწავლეებს ინფექციებზე, იმუნოდეფიციტის ვირუსზე, გადადების გზებზე, სიფრთხილის ზომებზე, ადამიანის ცნობიერებაში გაჩენილ სტერეოტიპებზე („შიდსიანთან ურთიერთობა, მეგობრობა არ შეიძლება“) და აივ ინფექციების პროფილაქტიკაზე.

აქტივობა 2

ჯგუფებში მუშაობა (დრო: 20 წთ.):
მასწავლებელი კლასს ჰყოფს ექსპერტთა ექვს ჯგუფად:
I. მკვლევარები;
II. ჟურნალისტები;
III. მხატვრები;

IV. სამართალმცოდნეები;
V. სტატისტიკოსები;
VI. ექსპერტები.

თითოეულ ჯგუფში 4 მოსწავლეა. ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც ერთობლივ ნამუშევარს წარმოადგენს.

ჯგუფები სხვადასხვა თემასა და სხვადასხვა წყაროზე მუშაობენ.

I.მკვლევართა ჯგუფი ამუშავებს, განიხილავს მოპოვებულ ტექსტებს, აუდიო/ვიდეო მასალებს და ამის მიხედვით ამზადებს პრეზენტაციას თემაზე: „აივ ინფექციის კლინიკური გამოვლინებები და მისი კლასიფიკაციის სისტემა“.

II. ჟურნალისტების ჯგუფი ამუშავებს ამონარიდებს საგაზეთო სტატიებიდან და ამზადებს პრეზენტაციას თემაზე: „შიდსის სოციალური ასპექტები; აივ ინფექციაზე გამოკვლევამდე და გამოკვლევის შემდეგ კონსულტირების მოკლე ალგორითმი“.

III. მხატვრების ჯგუფი ამუშავებს საგაზეთო, სასტენდო ფოტოებს:

- ამზადებს ვირუსის ფოტოებს, ფოტოკოლაჟს შიდსის თემაზე და ემზადება „პოსტერული სესიისათვის“;
- ხატავს პლაკატს თემაზე: „გიყვარდეს ცხოვრება! შეაჩერე შიდსი!“;
- აწყობს ნახატების გამოფენას თემაზე: „შიდსი მეგობრობით არ გადადის! ნუ გავწირავთ ერთმანეთს!“; მზადდება ბუკლეტები.

IV. სამართალმცოდნეთა ჯგუფი განიხილავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას; აკეთებს მოხსენებას თემაზე: „როგორ გესმით ადამიანის უფლებათა დეკლარაცია (1948. 10 დეკემბერი), (მუხლი:3,25).

V. სტატისტიკოსთა ჯგუფი აწარმოებს კვლევას, აჯგუფებს რაოდენობრივ მონაცემებს, აგებს ცხრილს, პიქტოგრამებს; განიხილავს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოსათვის; ასახელებს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების მაგალითებს; ამზადებს პრეზენტაციას თემაზე: „შიდსი!“

VI. ექსპერტთა ჯგუფი აჯამებს ხუთივე ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს, განიხილავს მათ და ამზადებს დასკვნით პრეზენტაციას: „მზე ყველასთვის ანათებს!“

აქტივობა 3

ჯგუფების ნამუშევართა პრეზენტაცია (დრო: 15 წთ.)

საშინაო დავალება (დრო: 5 წთ.):

ა) მომდევნო გაკვეთილისთვის მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ მოხსენება და პრეზენტაცია: „სისხლის გზით გადამდები B და C ჰეპატიტები“ (ინფორმაციის მოძიება და კვლევა; ინფიცირებული ადამიანის უფლებების განსაზღვრა; ინტერნეტ-რესურსების მოძიება).
ბ) მათ უნდა გაავრცელონ ბუკლეტები სკოლის საზოგადოებაში.

შეფასების სქემას თითოეული პედაგოგი ინდივიდუალურად ადგენს.

გაკვეთილის გეგმა მათემატიკაში:
მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სივრცეში

ზაურ პაპიაშვილი
გაკვეთილი მოგვაწოდა პროექტ „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილემ

თემა: მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სივრცეში

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ კოორდინატების მიხედვით განსაზღვრონ ობიექტის (წერტილის) ადგილმდებარეობა სივრცეში და პირიქით, სივრცეში ნებისმიერ წერტილს შეუსაბამონ კოორდინატები.

ბაზა: იციან მართკუთხა კოორდინატების მიხედვით წერტილის პოვნა სიბრტყეზე.

აქტივობა 1: ბაზის, ანუ წინასწარი ცოდნის შემოწმება

დრო: 8 წუთი
მუშაობის ფორმა: კლასთან და ინდივიდუალური
შეფასება: ინდივიდუალური, განმავითარებელი
რესურსები: მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე წარმოდგენილი პლაკატის სახით



მსვლელობა:

ვიხსენებთ, რომ ნებისმიერ წერტილს სიბრტყეზე შეესაბამება ორი კოორდინატი. წარმოვადგენთ მართკუთხა კოორდინატთა სისტემას პლაკატის სახით. მოცემული კოორდინატებით ვპოულობთ წერტილს სიბრტყეზე. შემოწმების მიზნით, მოსწავლეებს ვაძლევთ კოორდინატებს და ისინი პოულობენ წერტილს. შესაძლებელია პირიქითაც – ვაძლევთ წერტილს და მოსწავლეები გვაძლევენ ამ წერტილის შესაბამის კოორდინატებს.

აქტივობა 2: ობიექტის პოვნა სივრცეში

დრო: 17 წუთი
მუშაობის ფორმა: მთელ კლასთან
შეფასება: არ ხდება





რესურსები:

1. მოხუცი კაცის მიერ დაწერილი წერილის ასლები (თითო მოსწავლეს თითო ასლი)

შენიშვნა: წერილი ძნელად იკითხება.

მსვლელობა:

ყოველ მოსწავლეს ვურიგებ წერილის ასლს. ისინი ეცნობიან მას. მასში აღწერილ ვითარებას პლაკატის სახით წარმოვადგენ: საწყისი წერტილი მუხის ძირია, მუხას ვუკავშირებთ ძ ღერძს, წყაროს – X ღერძს, ხოლო

მუხის ძირში გავლებული X ღერძის მართობული ღერძი იქნება Y. ჩავთვალოთ, რომ ერთი ნაბიჯის სიგრძე ერთი ერთეულია. მოხუცის მიერ ნახსენები განძის ადგილმდებარეობის დასადგენად გვჭირდება საწყისი წერტილი (მუხის ძირი) და სამი პარამეტრი, ანუ სამი კოორდინატი X ღერძზე (ნაკადულის გასწვრივ), Y ღერძზე (ნაკადულიდან მარჯვნივ) და ძ ღერძზე (სიღრმეში თხრა). ამრიგად, ვასკვნით, რომ სივრცეში რაიმე ობიექტის (წერტილის) მდებარეობის დასადგენად გვჭირდება ათვლის სათავე (საწყისი წერტილი) და სამი კოორდინატი. თუ საძიებელ წერტილს აღვნიშნავთ M-ით, მაშინ მისი კოორდინატები იქნება: X=7; Y=-4,5; Z=-1,5.

აქტივობა 3: ჯგუფური მუშაობა მდებარეობის დასადგენად

დრო: 12 წუთი
მუშაობის ფორმა: ჯგუფური
შეფასება: ჯგუფური, განმავითარებელი
რესურსები: წითელ ნაჭერში გახვეული მოხუცის წერილის ორიგინალი და მანძილის საზომი რულეტი

მსვლელობა:

წითელ ნაჭერში გახვეულ წერილს საკლასო ოთახის ჭაღში შეუმჩნევლად ვმალავ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ეს არ იცოდნენ. შემდეგ მათ ჯგუფებად ვყოფ და ვეუბნები: „საკლასო ოთახის ერთ-ერთი კუთხე ჩათვალეთ საწყის წერტილად, ხოლო მისგან გამომავალი სამი წიბო, შესაბამისად, X, Y, Z ღერძებად“. თითოეულ ჯგუფს ვაძლევ კოორდინატებს და ვავალებ, მათი მიხედვით განსაზღვრონ დამალული საგნის ადგილმდებარეობა. ამასთან ვუთითებ, რომ დამალული საგანი წითელ ნაჭერშია გახვეული. მოცემული კოორდინატები, სინამდვილეში, ნათურის კოორდინატებია, რაც მოსწავლეებმა არ იციან. თითოეულ ჯგუფს მოსაფიქრებლად 5 წუთს ვაძლევ. შემდეგ რომელი ჯგუფიც მზად იქნება, მას შეეძლება საზომი რულეტის დახმარებით „X“, „Y“ და „Z“ ღერძებზე ზუსტად გადაზომოს კოორდინატები და იპოვოს დამალული საგანი. წერილის ორიგინალის პოვნა, ვფიქრობ, მოულოდნელი იქნება მათთვის, რაც, თავის მხრივ, შთაბეჭდილებას მოახდენს მთელ კლასზე. რაც შეეხება ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობას და ჯგუფების რაოდენობას, ამის განსაზღვრა მთელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით შეგვიძლია. სასურველი იქნება, თუ თითო ჯგუფში სამი-ხუთი მოსწავლე გვეყოლება.

აქტივობა 4: დასკვნა და შემოწმება, თუ როგორ გაიგეს მასალა

დრო: 8 წუთი
მუშაობის ფორმა: კლასთან და ინდივიდუალური
შეფასება: ინდივიდუალური და განმავითარებელი
რესურსები: ცარცი და დაფა

მსვლელობა:

დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ სივრცეში ნებისმიერ წერტილს შეესაბამება მკაცრად განსაზღვრული სამი კოორდინატი, ხოლო მოცემულ სამ კოორდინატს – მათი შესაბამისი სივრცის განსაზღვრული წერტილი. ერთ ან ორ მოსწავლეს ინდივიდუალურად ვკითხავ, როგორ გაიგეს ახსნილი მასალა. მათ ვაძლევ კოორდინატებს და ისინი პოულობენ წერტილს, ან პირიქით – წერტილს შეუსაბამებენ სამ კოორდინატს.

ჯგუფის მუშაობას ვაფასებ შემდეგი კრიტერიუმებით:

- როგორ გაიგო ჯგუფმა პრობლემის არსი;
- როგორ წარმოადგინა პრობლემა;
- რამდენად სწორად გადაჭრა იგი.

ჯგუფის წევრებს ვაფასებ კრიტერიუმებით:

- რამდენად იყვნენ ჯგუფის მუშაობაში ჩართული (აქტიურობა);
- რა წვლილი შეიტანეს ჯგუფის მუშაობაში;
- როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან.

აგრეთვე შესაძლებელია სხვა ჯგუფებს შევაფასებინოთ იმ ჯგუფის მუშაობა, რომელმაც ამოცანა ამოხსნა.

მასწავლებელთა თვითშეფასება

ნელი ნასყიდაშვილი

ტრენინგზე ერთ-ერთმა მასწავლებელმა მითხრა, საკუთარი თავი მე კი არ უნდა შევაფასო, არამედ სხვამ უნდა შემაფასოსო. ვუთხარი, რომ მის აზრს არ ვეთანხმებოდი. მას კარლ როჯერსის „სწავლის თავისუფლების“ წაკითხვა შევთავაზე. როცა ამ პედაგოგს ვუსმენდი, ჩემი მოსწავლეები გამახსენდა, რომლებმაც შეკითხვას: „როგორ ფიქრობთ, მოსწავლემ თავად უნდა შეაფასოს საკუთარი თავი თუ მასწავლებელმა უნდა შეაფასოს იგი?“ სამი განსხვავებული პასუხი გასცეს. ზოგი თვლიდა, რომ მოსწავლეებს თავად უნდა შეეფასებინათ საკუთარი თავი, რადგან მასწავლებლები მათ ობიექტურად არ აფასებდნენ. მათი მხრიდან, ეს ძალიან გაბედული გადაწყვეტილება იყო. ზოგი თვლიდა, რომ მოსწავლეებს არ შეეძლოთ საკუთარი თავის დამოუკიდებლად შეფასება და მასწავლებელ-მოსწავლის ერთობლივ შეფასებას ანიჭებდა უპირატესობას. დანარჩენების აზრით, მოსწავლემ არ იცოდა, როგორ უნდა შეეფასებინა საკუთარი თავი. მე მათ, აზრის შეცვლის შემთხვევაში, ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის საშუალება მივეცი. მესამე ჯგუფში მოსწავლეების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა სხვა ჯგუფებში რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. თუ მოსწავლეთა უმრავლესობამ თვითშეფასებას დაუჭირა მხარი, მასწავლებლებს მით უფრო გაუიოლდებათ ეს პროცესი სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში.

მოვუსმინოთ მათემატიკის მასწავლებელს, რომელიც გახსნილად საუბრობს საკუთარი გაკვეთილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე: **„იმისათვის, რომ გამეგო, რამდენად სახალისო და საინტერესო იყო მათემატიკის გაკვეთილები, გადავწყვიტე, თავისუფალი გაკვეთილი ჩამეტარებინა, ანუ მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა, ის ეკეთებინათ, რაც მოესურვებოდათ. კაბინეტი წინასწარ მოვამზადე: გამოვფინე მათემატიკური თვალსაჩინოებები, ასაწყობი გეომეტრიული ფიგურები, მათემატიკური წიგნები, ენციკლოპედიები, ჭადრაკის დაფა, ფერადი ქაღალდები, გეომეტრიული ხელსაწყოები, წებო, მაკრატელი, დიდი ფორმატის ფურცლები, მარკერები და ა.შ.**

დაიწყო გაკვეთილი. კლასს ვაჩვენე, რომელი მათგანი სად იდო და გამოვუცხადე, რომ შეეძლოთ ის ეკეთებინათ, რაც სურდათ. მე თვითშეფასების აღრიცხვის ფურცლების ხაზვა დავიწყე, პარალელურად თითოეულ მოსწავლეს ვაკვირდებოდი და ჩანაწერებს ვაკეთებდი.

მოსწავლეთა სრულმა უმრავლესობამ „ქალაქობანას“ თამაში დაიწყო, პერიოდულად ქალაქების, ცხოველებისა და ფრინველების სახელებს მეც მეკითხებოდნენ. რამდენიმე მოსწავლემ ვერ გაიგო, რა ხდებოდა გაკვეთილზე და მათემატიკის მაგალითების ამოხსნას შეუდგა. მათ ჩემთვის არ მოუმართავთ. მომეჩვენა, რომ დრო გაჰყავდათ და დაკავებულების იმიჯს იქმნიდნენ.

როგორც მივხვდი, მასწავლებლებს სულ სხვა მოლოდინები გვაქვს მოსწავლეების ქცევებთან მიმართებაში, სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. მათ ერთად ყოფნა და თამაში სიამოვნებდათ და არა მათემატიკის ამოცანების ამოხსნა.

გადავწყვიტე, მათემატიკის გაკვეთილები სიტუაციური თამაშებით ჩამეტარებინა. ამგვარად მოსწავლეებს ჯგუფებში პრობლემების ერთობლივად გადაჭრა მოუწევდათ. როგორმე უნდა მომეხერხებინა გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების გაკეთებაც, რათა უკეთესად შემეფასებინა საკუთარი თავი და მოსწავლეებსაც თვითშეფასების საშუალება ჰქონოდათ“.

ჩვეულებრივ, დირექტორი მასწავლებელს გაკვეთილზე ესწრება (ან სხვას გზავნის), იწერს შენიშვნებს და შემდეგ კი პედაგოგთან ერთად განიხილავს მათ. გაკვეთილზე პირველად შესვლის დღიდან მასწავლებელი მუდმივად სხვას ეკითხება: „როგორ მიდის ჩემი საქმეები?“ ამგვარი კონტროლი ყოველთვის ზედაპირულია და მნიშვნელოვნად არ აისახება პედაგოგის

პროფესიულ განვითარებაზე. **იმისათვის, რომ სრულფასოვან პროფესიონალად ჩამოყალიბდეს, ადამიანს დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი სჭირდება.**

მუდმივად იმაზე დამოკიდებულება, თუ რას იტყვიან სხვები შენზე, შენს საქციელზე, ხელს უშლის პიროვნულ ზრდას. სერიოზული ცვლილებები მაშინ არის შესაძლებელი, როცა კითხვებზე პასუხების მოსაძებნად საკუთარი თავის შიგნით ვიხედებით და ჩვენი საქმიანობის შეფასებას ვახდენთ.

რატომ, რა მიზნით კეთდება შეფასება? რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ გავაანალიზოთ ახლანდელი მდგომარეობა და ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უნდა გავაუმჯობესოთ.

მასწავლებლისათვის საგაკვეთილო პროცესის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერების გაკეთება გაკვეთილის შეფასების კარგი საშუალებაა. თუ თქვენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას ანიჭებთ უპირატესობას და თქვენი საუბარი გაკვეთილის 60-70%-ს იკავებს, ეს სრულიად გაუმართლებელია.

დამეთანხმებით, რომ იოლი არ არის იმის განსაზღვრა, გაუმჯობესდა თუ არა სწავლების ხარისხი. ამ პრობლემის გადაჭრა სკოლებში სადისკუსიო ჯგუფების შექმნითაა შესაძლებელი. კოლეგებს შორის აზრების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა გულახდილობის ატმოსფეროს ქმნის. „წარუმატებლობა“ საგაკვეთილო პროცესში დანაშაული არ არის. მთავარია, მასწავლებელმა პრობლემის იდენტიფიცირება და მისი დაძლევის გზების განსაზღვრა შეძლოს. ბუნებრივია, ეს მიდგომა სკოლის ადმინისტრაციამ უნდა წაახალისოს. სკოლაში ისეთი გარემო უნდა იყოს შექმნილი, რომ მასწავლებელს საკუთარი პრაქტიკის შეფასება გაუადვილდეს, ამასთანავე შეეძლოს რჩევისთვის პედაგოგთა გუნდის კვალიფიციურ წევრს მიმართოს.

საგაკვეთილო პროცესი საკმაოდ მრავალფეროვანია. ის სხვადასხვა ეტაპს მოიცავს. იმისათვის, რომ მასწავლებელმა თვითშეფასება აწარმოოს, უნდა იცოდეს, რის შეფასებას აპირებს და რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება შეფასება შედეგზე ორიენტირებული, შედეგი კი მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება იქნება.

პროფესიული განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს საკუთარ თავზე მუშაობის სურვილი მუდმივად ჰქონდეს. მისი წარმატება შეუძლებელია ჯანსაღი თვითშეფასების გარეშე.

მშობლებთან, კოლეგებსა და მოსწავლეებთან კონსტრუქციული ურთიერთობა ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მასწავლებლის თვითრეალიზაციას, წარმატებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

ნიმუში 1

ურთიერთობა მოსწავლეებთან გაკვეთილზე

რუბრიკები	არასდროს	იშვიათად	ხშირად
ერთპიროვნულად ვიღებ გადაწყვეტილებებს (მაგალითად, თავად შევიმუშავე კლასში ქცევის წესები, მოსწავლეებს ვაძლევ წინასწარ შერჩეულ დავალებებს, მათ არა აქვთ უფლება, ის დავალება აირჩიონ, რომელსაც სიამოვნებით შეასრულებდნენ და სხვა).			
პასუხისმგებელი ვარ მოსწავლეების ორგანიზებაზე დავალების შესრულების დროს.			
კლასში დისციპლინის დამყარებაზე პასუხისმგებლები მოსწავლეები არიან.			
ყველა მოსწავლეს ვაძლევ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კლასის მართვაში.			
თითოეულ მოსწავლეს ვუქმნი გამოხატვის თავისუფლებისათვის საჭირო გარემოს.			
მოსწავლეების ქცევებს გავიაზრებ მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე.			
უპირატესობას ვანიჭებ მოსწავლეების წახალისებას.			
მოსწავლეებს შორის არ გამოვყოფ „განსაკუთრებულ“ მოსწავლეებს.			
უპირატესობას ვანიჭებ მასწავლებელ-ფასილიტატორის როლს.			
მჯერა მოსწავლეების შესაძლებლობების.			

შეფასების სქემა
კოლეგებთან ურთიერთობა

რუბრიკები	დიახ	არა
ინიციატივას ვიჩენ, რომ კოლეგებთან განვიხილო სწავლა/სწავლების საჭირბოროტო საკითხები.		
კათედრაზე მხარს ვუჭერ გადაწყვეტილებების მიღებას თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე.		
ვაღიარებ ყველას წვლილს პრობლემის გადაჭრაში.		
აზრის გამოხატვისას ვარ კორექტული და ვცდილობ, კოლეგამ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს.		
კოლეგასთან ვკამათობ იდეის და არა პიროვნების შესახებ.		
მხარს ვუჭერ ღია და გამჭვირვალე ურთიერთობებს.		
ვუსმენ კოლეგას და ვითვალისწინებ მის აზრს.		
საკუთარ გამოცდილებს ვუზიარებ სხვებს.		

შეფასების სქემა
თანამშრომლობა მშობლებთან

რუბრიკები	1	2	3	4
მშობლებს იშვიათად ვიბარებ სკოლაში.				
ვაწყობ საინფორმაციო შეკრებებს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გაცნობის მიზნით.				
ყველა მშობელთან ერთნაირად ვთანამშრომლობ.				
მშობლებს მათივე სახლებშიც ვხვდები.				
მშობლები მონაწილეობენ კლასგარეშე ღონისძიებების თემატიკის შერჩევასა და ორგანიზებაში.				
მშობლები მონაწილეობენ სკოლის შეფასების პროცესში.				
ვხვდები მშობლებს სკოლაში დანერგილი სწავლა-სწავლებისა და შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით.				

კვლევა, როგორც რესურსი

ლელა ჩახაია

პრაქტიკული საკლასო კვლევა

განათლების სფეროში საერთაშორისო დონეზე შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემების, ან სისტემის კონკრეტული მახასიათებლების შედარება. ეროვნულ დონეზე ხშირად იკვლევენ გატარებული რეფორმების ეფექტურობას, აფასებენ განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას და ა.შ. ასეთივე კვლევების ჩატარება შესაძლებელია რეგიონის დონეზეც: შეგვიძლია სხვადასხვა რეგიონის შედარება სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით და ა.შ.

კვლევის ჩატარება შესაძლებელია სკოლის, ან თუნდაც კლასის დონეზეც. ასეთი ტიპის კვლევას პრაქტიკული საკლასო კვლევა ეწოდება და მისი ჩატარება შეუძლია როგორც ერთ მასწავლებელს, ასევე რამდენიმეს ერთად. შესაბამისად, ასეთ კვლევას თავად პედაგოგები გეგმავენ და ახორციელებენ.

პრაქტიკული საკლასო კვლევის მიზნები

პრაქტიკული კვლევა კლასში მასწავლებლის მიერ გარკვეული მიზნით ინფორმაციის შეგროვებისა და შემდგომი გაანალიზების პროცესია. მის უმთავრეს მიზანს, როგორც წესი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება, მათი სოციალური და სხვა უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნების მისაღწევად მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სტრატეგიის დასახვა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. როგორც წესი, მათ ხშირად უწევთ სწავლების მრავალი სტრატეგიიდან ერთ-ერთის ამორჩევა, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია არა-ერთ ფაქტორზე (მოსწავლეთა რაოდენობაზე, საგანზე და ა.შ.) კვლევა სწორედ იმისთვის ტარდება, რომ ახალი სტრატეგია და მეთოდები მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგოს, გათვალისწინებული იყოს მათი გამოყენების მოსალოდნელი რისკები და საფრთხეები. მასწავლებლებს პრაქტიკული კვლევის საშუალებით შეუძლიათ დაადგინონ, რა მუშაობს კლასში და რა – არა. პრაქტიკული კვლევა მათ საშუალებას აძლევს, სწავლების პროცესში საფუძვლიანი და დასაბუთებული, ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება

იმისათვის, რომ კარგად ჩამოაყალიბოთ საკვლევი საკითხი, დაფიქ-

პრაქტიკული კვლევა კლასში მასწავლებლის მიერ გარკვეული მიზნით ინფორმაციის შეგროვებისა და შემდგომი გაანალიზების პროცესია. მის უმთავრეს მიზანს, როგორც წესი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება, მათი სოციალური და სხვა უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს.

რდით: რა სახის პრობლემებია ყველაზე მეტად თვალშისაცემი თქვენს კლასში? რისი გაუმჯობესება გინდათ? შეგიძლიათ ჩამოწეროთ ასეთი პრობლემების/გამოწვევების/სუსტი მხარეების სია და შემდეგ შეარჩიოთ ყველაზე პრიორიტეტული.

კარგ საკვლევ საკითხს სამი ძირითადი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს: 1. საკითხი მნიშვნელოვანი უნდა იყოს თქვენი საგნისათვის და სასწავლო პრაქტიკისათვის; 2. კვლევის შედეგებმა აუცილებლად უნდა მიგიყვანოთ კონკრეტულ ქმედებამდე, უნდა შეცვალოთ ან შეინარჩუნოთ სწავლების არჩეული სტრატეგია; 3. საკვლევი საკითხი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ კვლევის განხორციელება შესაძლებელი იყოს დროის, რესურსებისა და ძალისხმევის ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით.

საკვლევი საკითხი შეიძლება აღწერილობითი ხასიათის იყოს, მაგალითად: „რამდენი მოსწავლე ასრულებს მიცემულ დავალებებს რეგულარულად, დროულად და ხარისხიანად?“ ზოგიერთი საკვლევი საკითხი შესაძლოა მიზნად ისახავდეს განსხვავებულ ფაქტორებს შორის დამოკიდებულებების შესწავლას. მაგალითად, „ის ბავშვები, რომლებიც კლასში აქტიურობენ, იღებენ თუ არა საკონტროლო ნაშრომებსა და ტესტებში პასიურ ბავშვებზე უკეთეს ნიშნებს?“ ხშირად მასწავლებლების მიერ ჩატარებული კვლევა პასუხობს შეკითხვას: „რა გავლენას ახდენს X ფაქტორი მოსწავლის აკადემიურ მიღწევაზე?“ X ფაქტორი შეიძლება იყოს მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო, მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და ა.შ.

კვლევის გამოყენება, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლების სტრატეგიის, ახალი მეთოდის გამოსაცდელად. ამ შემთხვევაში, საკვლევი საკითხი შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს. მაგალითად, თუ თქვენ უცხო ენის მასწავლებელი ხართ და ამჩნევთ, რომ ბავშვებმა გრამატიკული წესები კარგად იციან, მაგრამ უცხო ენაზე ზეპირ კომუნიკაციას ვერ ახერხებენ, საკვლევი საკითხი ასე განსაზღვრეთ: „როგორ შემიძლია მოსწავლეებს განვუვითარო უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები?“, „ავითარებს თუ არა დიალოგების ზეპირად სწავლა უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს?”

განსჯა, განხილვა

მას შემდეგ, რაც საკვლევი საკითხი ჩამოყალიბებულია, მოაგროვეთ ინფორმაცია საკვლევი საკითხის ირგვლივ. შეგიძლიათ მოიფიქროთ სავარაუდო პასუხი/პასუხები საკვლევ შეკითხვაზე. მაგალითად, თუ თქვენი საკვლევი საკითხია: „ის ბავშვები, რომლებიც კლასში აქტიურობენ, იღებენ თუ არა საკონტროლო ნაშრომებსა და ტესტებში პასიურ ბავშვებზე უკეთეს ნიშნებს?“, მოიძიეთ პროფესიული ლიტერატურა კლასში აქტიურობასა და ტესტებში მიღებულ ქულებს შორის კავშირზე; შეეცადეთ, გაარკვიოთ, ჩატარებულა თუ არა მსგავსი კვლევა საქართველოში; ჰკითხეთ აზრი კოლეგებს და გაიზიარეთ მათი გამოცდილება.

თუ თქვენს საკვლევ ინტერესს სწავლების რომელიმე სტრატეგიის ეფექტურობის შესწავლა წარმოადგენს (მაგალითად, დიალოგების დაზეპირება უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გასავითარებლად), მოიძიეთ პროფესიული ლიტერატურა ამ საკითხის ირგვლივ, განიხილეთ ეს საკითხი უცხო ენის სხვა მასწავლებლებთან ერთად. შეგიძლიათ მოიძიოთ, გამოუყენებიათ თუ არა ეს მეთოდი სხვა სკოლებში, სხვა მასწავლებლებს და ა.შ.

კვლევის დაგეგმვა

შეადგინეთ კვლევის გეგმა, სადაც ჩამოაყალიბებთ საკვლევ შეკითხვას და ასევე იმას, თუ როგორ აპირებთ სასურველი მონაცემების შეგროვებას. აუცილებლად დაფიქრდით შემდეგ კითხვებზე: რამდენი დრო დასჭირდება მონაცემების შეგროვებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებთ კვლევის დროს? როგორ შეინახავთ მონაცემებს?

კვლევის ჩატარების არაერთი გზა არსებობს. მაგალითად, შეგიძლიათ უბრალოდ ჩაიწეროთ თქვენი მოსაზრებები თითოეული გაკვეთილის შემდეგ, შეადგინოთ კითხვარები, ჩაატაროთ საკლასო დაკვირვება, ჩაიწეროთ აუდიო-მასალა და ა.შ. სანამ უშუალოდ მონაცემების მოგროვებაზე გადახვალთ, აუცილებლად კარგად ჩამოაყალიბეთ, რა ტიპის მონაცემები გჭირდებათ, რა სიხშირით უნდა შეაგროვოთ ისინი და ა.შ.

თუ სწავლების ახალი მეთოდის, ან სტრატეგიის ეფექტურობის კვლევა გსურთ, ახალი მასალის ახსნის დროს შეგიძლიათ ერთი მეთოდი ერთ კლასში გამოიყენოთ, მეორეში კი ახსნა ძველი მეთოდით განაგრძოთ. ის კლასი, სადაც ახალ მეთოდს იყენებთ, ექსპერიმენტული კლასი იქნება, ხოლო ის, სადაც ძველი მეთოდით აგრძელებთ მუშაობას, საკონტროლო კლასად დარჩება. ახალი მასალის დამუშავების შემდეგ შეადარეთ ერთმანეთს ექსპერიმენტული და საკონტროლო კლასის მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების დონე და სათანადო დასკვნაც გამოიტენეთ: გაამართლა თუ არა სწავლების ახალმა მეთოდმა? უნდა გახსოვდეთ,

რომ ექსპერიმენტულ და საკონტროლო კლასებში მოსწავლეებს დაახლოებით ერთნაირი აკადემიური მოსწრება და მოტივაცია უნდა ჰქონდეთ.

ასევე შეგიძლიათ ახალი მიდგომები სხვადასხვა პერიოდში გამოიკვლიოთ. მაგალითად, თუ გინდათ, გამოსცადოთ, რამდენად ამართლებს ჯგუფური მუშაობის პრინციპი ამა თუ იმ საგანში, ეს მიდგომა ერთი თვის განმავლობაში გამოიყენეთ, მომდევნო თვეში კი – არა. შემდეგ შედეგები ერთმანეთს შეადარეთ.

მონაცემების შეგროვება

საკლასო კვლევის დროს მონაცემები შესაძლოა იყოს რაოდენობრივი (მაგ. ტესტებში მიღებული ნიშნები, გამოკითხვის შედეგები) ან თვისებრივი (მაგ. დიალოგები, ფოკუს-ჯგუფებსა თუ კლასში ჩატარებული განხილვების ჩანაწერები). შეგიძლიათ კვლევა იმ მონაცემებით დაიწყოთ, რომლებიც უკვე გაქვთ: საშინაო დავალებების ნიშნები, ბავშვთა დასწრების მაჩვენებლები, საკლასო წერის ნიშნები და ა.შ. თუ დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ, ისეთი მონაცემები შეარჩიეთ, რომელთა შეგროვება და გაანალიზებაც შედარებით მარტივია. მაგალითად, თუ გინდათ, დაადგინოთ, რა გავლენას ახდენს ოჯახური პირობები ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე, დაუსვით შეკითხვები მშობლებს. თუ გსურთ კლასში აქტიურობასა და ტესტებში მიღებულ ქულებს შორის კავშირის დადგენა, შეადგინეთ ბავშვებზე დაკვირვების ფორმა, რომლის მიხედვითაც გაარკვევთ, რამდენად აქტიურად ებმებიან ისინი საკლასო განხილვებში (მოსწავლის აქტიური მონაწილეობა შეგიძლიათ გაზომოთ არა მხოლოდ იმით, თუ რა სიხშირით პასუხობს იგი დასმულ შეკითხვებს, ან თავად სვამს მათ, არამედ იმით, თუ რა ტიპის შეკითხვებს სვამს და რამდენად კარგად პასუხობს).

ზოგადად, უნდა შეეცადოთ, სხვადასხვა ტიპის მონაცემები შეაგროვოთ, რათა დარწმუნდეთ, რომ თანმიმდევრული ხართ. ეს საშუალებას მოგცემთ, შედეგი სხვადასხვა წყაროდან გადაამოწმოთ, რაც თქვენს კვლევას მეტ სანდოობას შესძენს. მაგალითად, თუ გსურთ, გამოიკვლიოთ, რამდენად ეფექტური იყო სწავლების ესა თუ ის მეთოდი, შეგიძლიათ დასკვნა გამოიტანოთ საგამოცდო ნიშნებზე, გაკვეთილის განმავლობაში აქტიურობაზე, დასმულ შეკითხვებზე, მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვების შედეგად. ასევე საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ, თუ მოსწავლეებს სწავლების მეთოდის შეფასებას სთხოვთ.

მონაცემების გაანალიზება

მონაცემთა ანალიზის მიზანს საინტერესო ტენდენციების აღმოჩენა წარმოადგენს, მაგალითად, სწავლების ახალი მეთოდის გამოყენების შედეგად გაუმჯობესდა თუ არა მოსწავლეების შედეგები? არის თუ არა კავშირი სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობასა და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას შორის? მონაცემთა ანალიზის შედეგად თქვენ კვლევის დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე პასუხი უნდა მიიღოთ.

მოქმედება

მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები შესაბამისი ზომების მიღებისას გაითვალისწინეთ. გახსოვდეთ, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები აუცილებლად უნდა გამოიყენოთ პრაქტიკაში. მაგალითად, თუ სწავლების ახალი მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ზრდის, განაგრძეთ ამ მეთოდის გამოყენება და უფრო ფართოდ დანერგეთ იგი. თუ აღმოჩნდა, რომ ესა თუ ის მეთოდი არ ამართლებს და მისი დახმარებით ვერ აღწევთ იმ მიზანს, რომელიც დასახული გქონდათ, დაუბრუნდით ძველ მეთოდებს.

განხილვა და გაზიარება

გაუზიარეთ თქვენი დასკვნები კოლეგებს. შეგიძლიათ კვლევის შედეგების განხილვა მოაწყოთ საგნობრივ კათედრებზე, სხდომებზე, მშობლებთან და ბავშვებთან. ამ ეტაპზე კარგი იქნება, თუ საკუთარ კვლევას გადახედავთ და ნახავთ, რამ იმუშავა კარგად და რამ – არა. შესაძლოა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სხვა, ახალი კვლევის საჭიროებაც გაჩნდეს. კვლევის პროცესი ციკლურია და ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ახალი ეტაპი იწყება.

რაც მთავარია, პრაქტიკული საკლასო კვლევის ჩატარება ძალიან ადვილია. სინამდვილეში, ამას ბევრი მასწავლებელი ყოველდღიურად აკეთებს (მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემების შეგროვება და შენახვა, მოსწავლეებზე დაკვირვება, ახალი სასწავლო მეთოდების გამოცდა). როცა ამ მოქმედებებს ორგანიზებული და სტრუქტურირებული სახე აქვს, გაცილებით მეტი სასარგებლო ინფორმაციის მიღება შეიძლება, რომელსაც მასწავლებელი გააანალიზებს და სასწავლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად გამოიყენებს.

„ჩვენ ვცხოვრობთ და ვარსებობთ ერთმანეთისთვის“

იაპონია და განათლება

ირაკლი კაკაბაძე

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში ყოფნის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ მქონდა, სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ უზომოდ შემყვარებოდა ეს ქვეყანა. დაუვიწყარია შეხვედრები იაპონელ ბავშვებთან, განათლების ექსპერტებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და შეხვედრა „იაპონური ფონდის” თანამშრომლებთან, რომელთა წყალობითაც შევძელი, გავცნობოდი იაპონიას და მის საგანმანათლებლო სისტემას. ერთიცაა, რაც უფრო მეტს და ახლოს ვეცნობოდი იაპონიას, მით უფრო მეტი მინდოდა მცოდნოდა მის შესახებ.

> **დატვირთვით, იაპონელი მშობლები და მასწავლებლები, მოსწავლეებს შრომისმოყვარეობასა და სიზარმაცის დაძლევის უნარს უვითარებენ. მათ სწამთ, რომ ბავშვის წარმატება დამოკიდებულია სწავლასა და მის მონდომებაზე, ხოლო სკოლამ და მასწავლებელმა ამ მონდომებას სწორი მიმართულება უნდა მისცეს.**

ყველგან, სკოლებში, ოჯახებში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე, ვეძებდი პასუხს კითხვაზე, თუ როგორ მოახერხა ამ ხალხმა ასე მცირე დროში შეექმნა ის სასწაული, რომელიც ვნახე და რომელსაც თანამედროვე იაპონია ჰქვია და რა ადგილი უჭირავს ამ წარმატებაში განათლებას?

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაში, ყველაზე პრიორიტეტული და აქტუალური განათლების ახალი სისტემის შექმნა, ჩამოყალიბება და ძირეული რეფორმა იყო. მორალურად თუ ფიზიკურად დამარცხებულ და დაზიანებულ ქვეყანას მომავლის საიმედო ბაზისებზე დაშენება სჭირდებოდა. ყველაზე მყარ და საიმედო ბაზისად, ახალი სახელმწიფო მშენებლობისთვის, განათლების სისტემა იქნა მიჩნეული, რომლის რეფორმირებაში, პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში უდიდესი დახმარება იაპონელ ხალხს ამერიკის სახელმწიფომ აღმოუჩინა. განათლების პოლიტიკა ადამიანის უფლებების პატივისცემასა და დაცვას, სიტყვის, შეკრებისა და აღმსარებლობის თავისუფლებას დაეფუძნა. ომის შემდეგ განათლების სისტემაში გაჩნდა ასეთი დევიზი: „ჩვენ ვცხოვრობთ და ვარსებობთ ერთმანეთისთვის“. ამ სულისკვეთებას ადამიანი თანამედროვე იაპონიაში ყველგან იგრძნობს.

რას წარმოადგენს იაპონური სკოლა დღეს?

სასწავლო პროგრამებსა და განათლების ორიენტირებას სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს. რომლის მონიტორინგსა და განახლებაზე ყოველ 10 წელიწადში ზრუნავს განათლების სამინისტრო. რეფორმის ფარგლებში ხდება ყველა საკითხისა და პრობლემის დამუშავება, რაც, შესაძლოა, რამდენიმე წელი გაგრძელდეს, რის შემდეგაც ცვლილებებს საკანონმდებლო ხელისუფლება ამტკიცებს. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია იაპონიის განათლების სისტემის მიზნები, აღზარდოს:

- სიცოცხლის მოყვარული;
- ფიზიკურად ჯანმრთელი და განვითარებული;
- აკადემიურად წარმატებული;
- სულიერად განვითარებული და მორალური;

- საზოგადოებრივად მოაზროვნე და თვითკრიტიკული პიროვნება.

პრეფექტურებს (რეგიონულ მმართველობებს), ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, შეუძლიათ, განსაზღვრონ საკუთარი საგანმანათლებლო პოლიტიკაც. პრეფეფექტურის გეოგრაფიული, ეკოლოგიური ან ტრადიციული სპეციფიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ პრეფექტურის განათლების დეპარტამენტებს მინიჭებული აქვთ მასწავლებლობის სერტიფიკატის გაცემის, ადამიანური რესურსების მოძიებისა და დასაქმების უფლება.

მასწავლებელს იაპონიაში დიდი ავტორიტეტი აქვს, ალბათ ამას ისიც განაპირობებს, რომ ძალიან რთულია, ადამიანმა მასწავლებლობის უფლება მოიპოვოს. უნივერსიტეტში 4 წლის სწავლის შემდეგ, სადაც ახალგაზრდები კონკრეტულ მეცნიერებასთან ერთად, პედაგოგიურ მეცნიერებებს, ფსიქოლოგიასა და სკოლის სასწავლო პროგრამის ზოგად კურსს ეუფლებიან, მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და დასაქმებისთვის, აბარებენ სამ ურთულეს გამოცდას პედაგოგიურ უნარ-ჩვევებში, კონკრეტულ საგანსა და ზოგად განათლებაში.

განათლების მიხედვით ხდება პედაგოგთა განაწილება სკოლებშიც. იაპონური სკოლა დაყოფილია საფეხურების მიხედვით. დაწყებითი სკოლა (1-6 კლასი); საბაზო სკოლა (7-9 კლასი); საშუალო სკოლა (10-12 კლასი). ყველაზე დიდი მოთხოვნები და რთული კონკურსი საშუალო სკოლის მასწავლებლების მიმართ ხორციელდება. დაწყებითი და საბაზო სკოლებისგან განსხვავებით, საშუალო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად, მოსწავლეებიც 5 გამოცდას აბარებენ, რაშიც გასაუბრებაც შედის. საშუალო სკოლაში სწავლა ფასიანია. გადასახადის ოდენობა კი განისაზღვრება სკოლის პროფილის მიხედვით, რასაც მოსწავლეები ზოგადი განათლების პარალელურად ეუფლებიან. მაგალითად, თანამედროვე ახალგაზრდებში ყველაზე პოპულარულია ტექნიკის, სოფლის მეურნეობისა და კომერციის პროფილის სკოლები. საშუალო სკოლაში მათემატიკური და ტექნიკური საგნები განსაკუთრებული სირთულით ისწავლება. საბაზო სკოლაში კი მეტი დათვირთვა აქვს იაპონურ ენასა და ლიტერატურას, ასევე, საფუძვლიანად ისწავლება იაპონიისა და მსოფლიოს ისტორია და გეოგრაფია, პოლიტეკონომია და ესთეტიკური მეცნიერებები. ხოლო დაწყებით სკოლაში მთელი აქცენტი გადატანილია იეროგლიფების შესწავლასა და კალიგრაფიაზე, საყოფაცხოვრებო კულტურის ჩამოყალიბებასა და ფიზიკურ განვითარებაზე.

სამივე საფეხურზე ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ესთეტიკურ აღზრდასა და ფიზკულტურას. მოსწავლეები საფუძვლიანად ეუფლებიან ხატვას, მუსიკას, ძერწვასა და ტრადიციული ხელოვნების დარგებს. საშუალოდ, ყველა სკოლაში 15 სახეობის სპორტული წრეა, მოსწავლე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, ვალდებულია, გაწევრიანებული იყოს რომელიმე სპორტულ წრეში. წრის ხელმძღვანელები ჩვეულებრივი მასწავლებლები არიან, რომლებიც გაკვეთილების შემდეგ ითავსებენ ამ, ყველა პედაგოგისთვის სავალდებულო საქმიანობას. ერთ კონკრეტულ სპორტის სახეობას მასწავლებლები უნივერსიტეტში სწავლისას ეუფლებიან. ესთეტიკური და სპორტული განათლების კუთხით, იმდენად სერიოზული მოთხოვნებია, რომ ერთ სკოლაში, თავად ვიხილე მე-9 კლასის ყველა მოსწავლე როგორ უკრავდა მუსიკის გაკვეთილზე პერსონალურ, ელექტროპიანინოზე. ხოლო იაპონური ენის მასწავლებელი ქალბატონი, გაკვეთილების შემდეგ, როგორ ამზადებდა სკოლის მოსწავლე ბიჭების ნაკრებს კალათბურთში, სკოლების ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა იმისა, რომ ყველა სკოლას აქვს საკუთარი ტრადიციები, ასევე, ბევრ მათგანს აქვს საკუთარი მეურნეობა, სახელოსნო და მაღაზია. სკოლის კუთვნილ მაღაზიაში მოსწავლეები ყიდიან თავიანთ ნაკეთობებს და ნაწარმს, საიდანაც მოგებას თავადაც იღებენ და მნიშვნელოვან ნაწილს ქველმოქმედებას ახმარენ. ერთ-ერთ ასეთ მაღაზიაში სამახსოვრო საჩუქრები მეც ვიყიდე და ჩემი გადახდილი თანხის 50% შიდსით დაავადებული აფრიკელი ბავშვების ფონდში გადაირიცხა.

აღსანიშნავია, რომ იაპონელი მოსწავლეები ძალიან ბევრს მოგზაურობენ საკუთარ ქვეყანაში, რის ორგა-

ნიზებასაც მშობლებთან ერთად სკოლა ანხორციელებს. ყველა ქალაქის აეროპორტებსა თუ რკინიგზის სადგურებში შეხვდებით სასკოლო ფორმაში გამოწყობილ მოსწავლეებს, მასწავლებლებთან ერთად. სკოლაში ყოველი შაბათი ასეთი ღონისძიებებით არის დატვირთული და გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამაში. იაპონელი ბავშვები ზაფხულში სამი თვის ნაცვლად, 40 დღეს ისვენებენ. ისინი 240 დღეს ატარებენ სკოლაში, სადაც, გარდა იმისა, რომ სწავლით არიან დაკავებულები, მასწავლებელთა დახმარებითა და მეთვალყურეობით, თავად ასუფთავებენ და ალაგებენ საკლასო ოთახებს, დერეფნებს, ეზოსა და საპირფარეშოებსაც კი. ამიტომაც არის, რომ გარშემო ყველაფერზე და ყველგან იგრძნობა მზრუნველი ხელი.

დროის სიმცირის მიუხედავად, ბავშვები სკოლაშივე ემზადებიან სახელმწიფო გამოცდებისთვის, რომლებიც სხვადასხვა საგანსა და ხელობაში ყოველწლიურად ტარდება. გამოცდები ნებაყოფლობითია და მოსწავლეები ცდილობენ, ბევრი ამგვარი გამოცდა ჩააბარონ, რათა სერტიფიკატები მოიპოვონ. ამგვარი

სერტიფიკატები მომავალში მათ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოსახვედრად და დასაქმებაში ეხმარებათ. მაგალითად, არსებობს გამოცდა სწრაფი ბეჭდვის ტექნიკაში, ბუღალტერიაში, კალიგრაფიაში, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში და ა.შ.

ამგვარი დატვირთვით, იაპონელი მშობლები და მასწავლებლები, მოსწავლეებს შრომისმოყვარეობასა და სიზარმაცის დაძლევის უნარს უვითარებენ. მათ სწამთ, რომ ბავშვის წარმატება დამოკიდებულია სწავლასა და მის მონდომებაზე, ხოლო სკოლამ და მასწავლებელმა ამ მონდომებას სწორი მიმართულება უნდა მისცეს. ამიტომაც არის, რომ იაპონიაში არ არის მუსიკალური, მათემატიკური ან ე.წ. „ნიჭიერ ბავშვთა“ სკოლები. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებიც ჩვეულებრივ სკოლებში სწავლობენ. ქალაქ ფუჯის სკოლაში მიღებისას, ჩვენს საპატივსაცემოდ, 500 მოსწავლე სიმღერას ჟესტების ენის პარალელურად ასრულებდა, რადგან სკოლაში ყრუ-მუნჯი ბავშვებიც სწავლობდნენ.

თუმცა არსებობს სპეციალური სკოლებიც, სადაც მძიმედ დაავადებული ბავშვები სწავლობენ. ასეთ ბავშვებს სახელმწიფო ყველა დონეზე აფინანსებს და მთელი ცხოვრების განმავლობაში მეურვეობს. სპეციალურ სკოლებში მოსწავლეები სპეციალური პროგრამებით სწავლობენ ყოფით უნარებს, მაგალითად: ჩაცმას, გახდას, დაბანას, ჭამას და ა.შ. თუმცა იაპონურიც, მათემატიკაც და ფიზკულტურაც აუცილებელი საგნებია. ამ შემთხვევაში სკოლის მთავარი ამოცანაა, მათთვის დამოუკიდებელი ცხოვრების სწავლება და შრომის უნარის განვითარება. იაპონური სპეციალური სკოლების დიდი მიღწევაა, რომ საშუალო სკოლის ასაკში მოსწავლეთა უმრავლესობას შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება. ასეთი ბავშვები წელიწადში ორჯერ, ერთი თვის განმავლობაში, გადიან სწავლებასა და პრაქტიკას ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში, სადაც სკოლის დამთავრების შემდეგ საქმდებიან კიდეც. ერთ-ერთი სპეციალური სკოლიდან ჩემი ქართველი მოსწავლეებისთვის, იაპონელმა ბავშვებმა საკუთარი ხელით გაკეთებული „ორიგამები“ გამომატანეს. „ორიგამი“ – ეს არის ქაღალდის გაკეთების ხელოვნება; ყველაზე პოპულარული ფიგურა კი ხელით გაკეთებული იაპონური წეროებია, რომელიც ბედნიერების სიმბოლოდ ითვლება.

საინტერესოა, რომ იაპონელები სკოლამდელი აღზრდის თვალსაზრისითაც გამოირჩევიან, რადგან იაპონელი ბავშვების 80% საბავშვო ბაღში დადის, რაც მსოფლიო პრაქტიკაში, ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მაგალითად, ინგლისში 40%-ია, ხოლო ამერიკაში ეს მაჩვენებელი 30%-მდე დავიდა. სამაგიეროდ, ამ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება დაკვეთა ძიძების ინსტიტუტზე. იაპონური საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით კი, როგორც სკოლაში, ასევე საბავშვო ბაღებში ბავშვებს ასწავლიან და უვითარებენ ჯგუფური მუშაობისა და საზოგადოებაში ცხოვრების უნარებს. მაგალითად, სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე, ყველა კლასში, მოსწავლეებს თვეში ორჯერ უტარდებათ გაკვეთილი ადამიანის უფლებების შესახებ, ხოლო კვირაში 2 გაკვეთილი „საკლასო საათი“ აქვთ, რომლის დროსაც მოსწავლეები დისკუსიებსა და პრეზენტაციებს მართავენ. ამასთან ერთად, მოსწავლეები სწავლობენ „საზოგადოებათმცოდნეობასა“ და „მორალს“.

დამერწმუნებით, შემთხვევითი არ არის, რომ იაპონურ სკოლას მრავალი ქვეყნის მეცნიერი იკვლევს. უამრავი ფაქტი მოწმობს, თუ რა დიდ როლს ასრულებს განათლება იაპონიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებაში. ამ ქვეყანაში, მაღალი ეკონომიკური განვითარების პარალელურად, მაღალი ხარისხის განათლება ხორციელდება და თვალნათელია, რომ „იაპონური სასწაულის“ საიდუმლო განათლებაშია.

სწავლისა და სწავლების შემოქმედებითი აქტივობები

მასწავლებელმა კლასში უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სწავლების შემოქმედებითი აქტივობები მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვისათვის საჭირო ეფექტური და მნიშვნელოვანი ხერხებია. შემოქმედებითი აქტივობები მოიცავს: თამაშებს, როლების გათამაშებას, გამოცანებს, კითხვასა და წერას, გონებრივ იერიშს, გონებრივი რუკების შედგენას და სხვა.

აი-გერლ ტანი

თარგმანი: სოფო ხვედელიძე

მუსიკა, თამაში, სიმღერა, ხატვა და თვალსაჩინოებები წარმოადგენს საკმაოდ მოქნილ საშუალებებს, რომლებიც ბავშვებს ეხმარება სამყაროს აღქმასა და შესწავლაში.

სწავლების ამგვარი მიდგომის მთავარი არსი გახლავთ ის, რომ, სიმღერისა და სხვა აქტივობების თანხლებით, სწავლის პროცესი გაცილებით მარტივია. გარდა ამისა, ასეთი აქტივობები ხელს უწყობს ბავშვებში ახალი უნარების განვითარებას, სტრესისა და დაძაბულობის მოხსნას, მაქსიმალურ კონცენტრაციას საგაკვეთილო პროცესზე და სწავლის პროცესს უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდის.

თამაში

თამაში განიხილება, როგორც დინამიური და კვლევის ელემენტების შემცველი ქცევა, რომელიც, ასევე, მოიცავს გართობას. მისი საშუალებით, ბავშვები ჩართულნი არიან ერთგვარ კვლევის პროცესსა და სხვა თანატოლებთან ურთიერთობაში. აშკარაა, რომ, თამაშის საშუალებით, ბავშვი აღიქვამს და სწავლობს მის ირგვლივ მყოფ საგნებსა და ადამიანებს. ჯგუფური თამაში კი ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას. თამაშის დროს, ბავშვები, ასევე, სწავლობენ ფსიქოსოციალურ ცნებებს, როგორიცაა: თანამშრომლობა, ყურადღებით მოსმენა და კონკურენტულობა.

განათლების სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ თამაშის პრო-ცესს. თამაში მოსწავლეს უფრო თავდაჯერებულსა და მოტივირებულს ხდის საიმისოდ, რომ აქტიურად ჩაებას სწავლის პროცესში.

საბავშო ბაღებსა და დაწყებით კლასებში მასწავლებლებს შეუძლიათ, საკლასო ოთახში გამოყონ სპეციალური ადგილები ან სასწავლო კუთხეები, სადაც სხვადასხვა სახის თამაში, კითხვარები და თვალსაჩინოებები განთავსდება.

სწავლის კუთხეები

მსგავსი კუთხეების არსებობა საკლასო ოთახში ხელს უწყობს ახალი მასალის ათვისებას. მაგალითად: თემატურად, მასწავლებელმა საკლასო ოთახში შეიძლება მოაწყოს სამზარეულო, სამკითხველო, სამუშაო კუთხე და სხვა.

თვალსაჩინოებები

თვალსაჩინოება შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, რომელიც ბავშვს დაეხმარება ამა თუ იმ ცნების

გაგებაში. მაგალითად, საათი არის თვალსაჩინოება, რომლის საშუალებითაც ბავშვი იწყებს დროის აღქმას. მას შეუძლია, საკუთარი ხელით გადააადგილოს საათის ისრები და თვითონ დააფიქსიროს დროის ცვლილება.

მათემატიკის გაკვეთილზე, როდესაც მასწავლებელი წონის ერთეულებს განიხილავს, სასწორი არის თვალსაჩინოება. ის ათავსებს ფანქარს სასწორზე და მოსწავლეებს ურჩევს, დააკვირდნენ სასწორის ისრის მოძრაობას. შემდეგ ფანქარს სხვა საგნით ჩაანაცვლებს და მოსწავლეები იწერენ თითოეული საგნის წონას. ამ მონაცემებს კი იყენებენ წონის ერთეულების შესწავლის დროს.

შემოქმედებითი დრამა და როლების გათამაშება

პიესების სასწავლო აქტივობად გამოყენება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოხატონ თავიანთი გრძნობები და განცდები როლების გათამაშების დროს, რაც ხელს უწყობს კითხვის, მოსმენის, წერის, მეტყველებისა და ფიქრის უნარების განვითარებას. ასეთ შემთხვევებში ისინი გაცილებით თავდაჯერებულები ხდებიან. აღნიშნული აქტივობა განსაკუთრებით ეფექტურია უცხო ენის გაკვეთილზე.

მოსწავლეებს თავიანთი როლების შესრულების დროს ახასიათებთ იგივე ქცევა, რაც რეალურ პერსონაჟებს. ეს არის შემოქმედებითი პროცესი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება, გამოცდილების საშუალებით ისწავლონ ახალი ცნებები. იმისათვის რომ ეს მეთოდი ეფექტური იყოს, აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

- გამოიყენოს მოსწავლისათვის ნაცნობი სასწავლო მასალები;
- გამოიყენოს საინტერესო და თვალისმომჭრელი პლაკატები, ჟურნალები და წიგნები;
- გამოიყენოს ადვილად აღსაქმელი და მარტივი თვალსაჩინოებები;
- ჩართოს მოსწავლეები მოსამზადებელ პროცესში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სასწავლო პროცესს;
- მისცეს სრული თავისუფლება მოსწავლეებს და ჩაერთოს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, რადგან ამ პროცესში მასწავლებლის ხშირმა ჩართვამ შეიძლება ხელი შეუშალოს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების გამომჟღავნებას.

დიდი წიგნების კითხვა

აღნიშნული აქტივობა აქტიურად გამოიყენება ენის შესწავლის პროცესში. დიდი წიგნების კითხვის დროს ბავშვები სხედან მასწავლებლის ირგვლივ. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და განმარტავს უცხო სიტყვებსა და ფრაზებს. ზოგჯერ ბავშვები შინაარსიდან გამომდინარე ხვდებიან უცხო სიტყვების მნიშვნელობებს. მასწავლებელმა, შესაძლოა, შეწყვიტოს კითხვა და სთხოვოს მოსწავლეებს, გამოიცნონ მოთხრობის სავარაუდო დასასრული.

ლექსიკის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ტექსტების მონაცვლეობით კითხვა: მხატვრული, სამეცნიერო, დოკუმენტური, ბიოგრაფიული და სხვა. არსებობს ლექსიკის განვითარების სხვა საშუალებებიც: კროსვორდები, ასაწყობი სიტყვები, ვიზუალური მასალები.

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიშის გამოყენება ერთ-ერთი სუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობისათვის. ის ხელს უწყობს ახალი და ინოვაციური იდეების გაჩენას. გონებრივი იერიშის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი აზრის მოგროვება. ის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი იდეები და ახდენს მათი ფიქრის პროცესის სტიმულირებას. გონებრივი იერიში შეიძლება ჩატარდეს 5-12 კაცისაგან შემდგარ ჯგუფში და გაგრძელდეს, დაახლოებით, 20 წუთი. პირველ ეტაპზე მასწავლებელი დაფაზე წერს ყველა წარმოთქმულ იდეასა და ინფორმაციას, ხოლო მეორე ეტაპზე ხდება ამ აზრების კლასიფიკაცია და ორგანიზება. გონებრივი იერიშის დროს დაუშვებელია დისკუსია, ერთმანეთის აზრების განხილვა და გაკრიტიკება.

გონებრივი იერიშის ტექნიკას შეიძლება ჯგუფებში მუშაობის დროსაც მივმართოთ. მოსწავლეები დაყავით რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ჯგუფში გამოყავით ლიდერი, რომელიც გონებრივი იერიშის დროს წარმოთქმულ აზრებს ჩაწერს.

აუცილებელია გონებრივი იერიშის ძირითადი წესების დაცვა:

- ყველა იდეა არის კარგი იდეა;
- ჩაინიშნეთ ყველა აზრი;
- მოერიდეთ შეფასებებს;
- მოერიდეთ უარყოფით კომენტარებს;
- ყველა მოსწავლის ჩართულობა სავალდებულოა.

გონებრივი იერიში არის ვერბალური ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ ის შეიძლება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს შედარებით წყნარი და პასიური მოსწავლეებისათვის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი აზრების წერილობითი ფორმით გამოხატვას. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია მიმართოს გონებრივი იერიშის წერილობით ფორმას. მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ გონებრივი იერიშის ვარიანტებს. ორივე მათგანის მთავარი არსი გახლავთ ის, რომ ყველა მონაწილე გამოთქვამს აზრს და ისინი წერილობით ფიქსირდება.

როგორ ვწეროთ ესე

„ცდა ბედის მონახევრეა“

ქართული ანდაზა

"les essais" – ასეთი სახელწოდება შეურჩია თავის გულწრფელ წიგნს ქალაქ ბორდოს მერმა მიშელ მონტენმა. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა – XVI საუკუნეში. ფრანგი ინტელექტუალები წიგნის გამოქვეყნებას ორჭოფულად შეხვდნენ. ზოგმა აღფრთოვანება ვერ დამალა, ზოგმა – ფარული აგრესია და ირონიული დამოკიდებულება.



ნიკოლოზ ჩუბინიძე

რადგან **essai** – ფრანგული სიტყვაა და ქართულად ცდას ნიშნავს, მონტენმაც გადაწყვიტა, მტკიცე ნაბიჯი გადაედგა და ყველაფერი ეცადა საკუთარი თავის შესაცნობად, რათა ამ გზით მაინც ამოეცნო ადამიანური ბუნების საიდუმლო.

კაცობრიობის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს შეეხო ამ გამჭრიახი ადამიანის გონება. პედაგოგიკაც არ გამორჩენია და თავის წიგნში „ბავშვის აღზრდას“ მთელი თავი დაუთმო: „მე არ მსურს, რომ მხოლოდ მასწავლებელი წყვეტდეს ყველაფერს, მხოლოდ ის საუბრობდეს – მოძღვარმა თავის შეგირდსაც უნდა მოუსმინოს“. ეს აზრიც XVI საუკუნისა და მონტენის კუთვნილებაა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონტენის „ცდებს“ უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან თანამედროვე კულტურა დღესაც აქტიურად იყენებს მწერლის გაკვეთილებს.

სწორედ მონტენის წერისა და აზროვნების მანერას უკავშირდება ესეს, როგორც ლიტერატურული ჟანრის წარმოშობა.

მაგრამ რას ნიშნავს მონტენის წერისა და აზროვნების მანერა? რით განსხვავდება მონტენის ესეები სხვა ლიტერატურული ტექსტებისგან? შეგვიძლია თუ არა ვისწავლოთ და ვასწავლოთ კიდეც ესეს წერა? ამ კითხვებზე პასუხი იქნებ თავად მონტენმა გვიკარნახოს. ლოგიკური გამოსავალია, თანაც შეიძლება გაამართლოს კიდეც ამ მეთოდმა...

ვცადოთ...

აი, მონტენის პასუხიც: „მავანნი და მავანნი ადამიანს ქმნიან, მე კი მხოლოდ მოგითხრობთ მის შესახებ, მის პიროვნებას აღვწერ. მე რომ მისი თავიდან გამოძერწვა შემეძლოს, სიმართლე გითხრათ, სრულიად სხვაგვარად შევასრულებდი ამ საქმეს. მაგრამ ყოველივე უკვე აღსრულებულია და ამაზე ფიქრიც ნაგვიანევია.

ჩემი ნახატის შტრიხები ჭეშმარიტებას არაფრით ამახინჯებენ, თუმცა გამუდმებულ ცვლილებას კი განიცდიან.

ჩემ მიერ აღწერილ საგანს ისეთად აღვწერ, როგორც იმ წუთში ვხედავ... მოძრაობაში... უნდა გვახსოვდეს, ჩემი მონათხრობი გარკვეულ ჟამს შეეხება – მე ხომ შეიძლება უცბად შევიცვალო... ჩემს ნაწერებში კი საგანი ზუსტად ისე აღინუსხება, როგორც ოქმში – ცვალებადობის მიზეზი ხან ჩემშივეა, ხანაც განსხვავებულ სიტუაციაში – რის გამოც სხვადასხვაგვარად წარმოჩნდებიან საგნები, ანდა, იმ განსხვავებულ

> **რა უფრო არსებითია, – წერის ტექნიკის დაუფლება თუ შემოქმედებითი აზროვნება და თავისუფლება? რას ვანიჭებთ უპირატესობას, დამოუკიდებელ, არასტანდარტულ აზროვნებას თუ ენობრივ ნორმებსა და ესეს სტრუქტურის ცოდნას?**

თვალსაზრისებში, რომლითაც მივუდგები ხოლმე ამ საგანს. და აი, გამოდის, რომ ზოგჯერ ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები, ჭეშმარიტებას კი – არასოდეს... მხოლოდ ჩემსავე თავს“.

დაგვეთანხმებით, რომ ეს პასუხი, ერთი შეხედვით, საკმაოდ სუბიექტურია, ზოგადი. ძალიან ლაღად, მსუბუქად და თავისუფლად საუბრობს მონტენი ადამიანზე, შემოქმედებასა და ჭეშმარიტებაზე.

გულწრფელად რომ ვთქვათ, არააკადემიური განმარტებაა. თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, უთუოდ აღმოვაჩენთ, რომ მონტენის გამონათქვამი დაინტერესებულ მკითხველს ფიქრისა და აზროვნებისთვის განაწყობს, თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ მწერალი, ფაქტობრივად, საკუთარი წერისა და აზროვნების მანერასაც ახასიათებს...

მონტენის „ცდებმა“, ბიბლიასა და მარკუს ავრელიუსს თუ არ ჩავთვლით, სათავე დაუდო ევროპული და ამერიკული ესეისტიკის განვითარებას. სწორედ მისმა არააკადემიურმა – ლაკონურმა, ექსპრესიულმა და ასოციაციურმა აზროვნებამ შექმნა ლიტერატურული სტილი, რომელსაც დღეს ესეს ვუწოდებთ.

რაც შეეხება შეკითხვას – როგორ ვწეროთ ესე? – მარტივად შგვიძლია ვუპასუხოთ – მივბაძოთ მონტენს და არა მარტო მას! დაწვრილებით შევისწავლოთ და გავაანალიზოთ თანამედროვე ესეისტთა ტექსტების სტრუქტურა; დავაკვირდეთ მათი აზროვნების მანერას, წერის სტილს; ანალიზის შემდეგ კი შევქმნათ სტრუქტურული სქემა, რომელსაც მოსწავლეებს შევთავაზებთ; მოსწავლეები კი, თავის მხრივ, მოცემული სქემის მიხედვით, ადვილად შეძლებენ წერის ტექნიკის დაუფლებას.

არც თუ ურიგო მეთოდია, საკმაოდ პრაქტიკული და, პედაგოგიკური თვალსაზრისითაც, ერთი შეხედვით, სრულყოფილი. მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გვრჩება უყურადღებოდ. კერძოდ, რა უფრო არსებითია, – წერის ტექნიკის დაუფლება თუ შემოქმედებითი აზროვნება და თავისუფლება? რას ვანიჭებთ უპირატესობას, დამოუკიდებელ, არასტანდარტულ აზროვნებას თუ ენობრივ ნორმებსა და ესეს სტრუქტურის ცოდნას? თუ ეს საკითხები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და გაუმართლებელია რომელიმე მათგანზე აქცენტირება?

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ განსხვავებული აზრისთვის მას არავინ გაკიცხავს; მისი თავისუფალი, ზოგჯერ პარადოქსული, მაგრამ გულწრფელი მოსაზრებები არ გახდება აღშფოთების საგანი.

ბოლო შეკითხვა ახალი მსჯელობის თემაა, ზოგადად, ლიტერატურის სწავლების თავისებურებას ეხება და ამიტომ სხვა დროისთვის გადავდოთ, ისედაც ბევრი შეკითხვები დაგვიგროვდა...

მონტენის შემდეგ ესემ, როგორც ლიტერატურულმა ჟანრმა დიდი ცვლილება განიცადა, გამრავალფეროვნდა თემატური და სტილისტური თვალსაზრისით, მაგრამ ყველაზე მთავარი – აზროვნების მანერის სუბიექტურობა და თავისუფლება უცვლელად შეინარჩუნა. რას ნიშნავს ეს?

ჩვენ შემთხვევაში – სრულ შემოქმედებით თავისუფლებას. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ განსხვავებული აზრისთვის მას არავინ გაკიცხავს; მისი თავისუფალი, ზოგჯერ პარადოქსული, მაგრამ გულწრფელი მოსაზრებები არ გახდება აღშფოთების საგანი. მონტენი ხომ თავის ნაშრომს გულწრფელ წიგნს უწოდებდა და გულახდილობას ძალიან აფასებდა.

მაშ ასე, მოსწავლე თვითონ ირჩევს მისთვის სასურველ თემას და თავადვე განსაზღვრავს საკუთარი ნაწერის სტილს.

ესეში მოსწავლემ უპირველესად საკუთარი ინდივიდუალური ფასეულობები უნდა წარმოაჩინოს. ნაწერში უნდა ჩანდეს მისი პიროვნული დამოკიდებულება სამყაროსთან. სწორედ გამოხატვის ეს ფორმა განასხვავებს ესეს ტრადიციული თხზულებისაგან, რომელშიც მოსწავლემ ობიექტური მსჯელობა კონკრეტულ მოთხოვნას – მოცემული ტექსტის ლიტერატურულ ანალიზს უნდა შეუსაბამოს.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესე ირაციონალური ტექსტია. მას აქვს თავისი სუბიექტური ლოგიკა, რომელიც ყოველთვის უნდა ჩანდეს ესეს ავტორის აზრებში, შთაბეჭდილებებსა და განცდებში. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ სრული თავისუფლება არ ნიშნავს ქაოსურ და ეკლექტურ მსჯელობას. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ აუცილებელია:

- ნებისმიერ საკითხე მსჯელობისას, ორიგინალური მოსაზრებებისა და ინდივიდუალური პოზიციის გამოხატვა, მაშინაც კი, თუ ესე ტრადიციულ თემაზე იწერება;
- განსახილველი პრობლემის არასტანდარტული ინტერპრეტაცია, მიუხედავად იმისა (და სწორედ იმის გამო), რომ არავინ მოითხოვს მისგან ობიექტური ჭეშმარიტების ძიებას;
- ტექსტი გამოირჩეოდეს ლექსიკური მრავალფეროვნებითა და ხატოვანებით. გამოთქმული მოსაზრებები კი – ლოგიკური და სტილური გამართულობით.
- ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ისტორიულ-ლიტერატურული პარალელების გამოყენება და მათი ბუნებრივად დაკავშირება ტექსტის ძირითად იდეასთან, ავტორის პოზიციასთან.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს იმ მოსწავლის ესე, რომელიც ბავშვობის ასაკიდან კითხულობს, წერს, ფიქრობს და აზროვნებას სწავლობს, ცხადია, მასწავლებლის დახმარებით.



პრაქტიკული რჩევები მოსწავლეებისთვის

ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

I. შესავალი

იმისათვის, რომ ესეს შესავალი ეფექტური და საინტერესო გამოვიდეს, სასურველია რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

1. ტექსტის შესავალ ნაწილში მკაფიოდ გამოკვეთეთ მიზანი, ანუ თავიდანვე გააცანით მკითხველს განსახილველი საკითხი.
2. დასვით ისეთი შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძლება ისაუბროთ ესეში;
3. შესავალი დაიწყეთ მკითხველისათვის ნაცნობი, ადვილად აღსაქმელი სიტუაციის (ფაქტი; ამბავი; ინფორმაცია) აღწერით, რათა დააინტერესოთ მკითხველი.

II. ძირითადი ნაწილი

ძირითად ნაწილში გადმოეცით თქვენი მთავარი სათქმელი, განმარტეთ და დაასაბუთეთ თქვენ მიერ გამოთქმული დებულებები და მოსაზრებები.

მსჯელობა ააგეთ ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წარმოაჩინეთ თქვენი პირადი დამოკიდებულება და პოზიცია განსახილველი საკითხისადმი.

III. დასკვნითი ნაწილი

დასკვნით ნაწილში შეაჯამეთ ესეში გადმოცემული მოსაზრებები, მკითხველს კიდევ ერთხელ დაუკონკრეტეთ თქვენი მთავარი სათქმელი და დაასაბუთეთ შერჩეული თემის აქტუალობა.

ფორმის თვალსაზრისით, გვხვდება ორი სახის ესე:

1. ახსნითი (განმარტებითი), ინფორმაციული ესე;
2. არგუმენტირებული ესე.

ახსნითი ესე

ახსნითი ესეს ფუნქციაა ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის აღწერა, ზოგადი ანალიზი ან ახსნა. შესაბამისად, ამ ტიპის ესე არ გულისხმობს საკითხის სიღრმისეულ ანალიზს ან გარკვეული პრობლემის გადაჭრას. ახსნითი ესე აწვდის მკითხველს გარკვეულ ონფორმაციას, ეხმარება მას ამა თუ იმ საკითხზე ზოგადი ცოდნის მიღებაში.

არგუმენტირებული ესე

არგუმენტირებულ ესეში ავტორი წარმოაჩენს თავის სუბიექტურ მოსაზრებებს, გვთავაზობს საკუთარ პოზიციას და კონკრეტული არგუმენტებით ლოგიკურად ასაბუთებს თავის სათქმელს.

მსჯელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია არგუმენტაცია, ანუ პოზიციის დასაბუთება და ადეკვატური არგუმენტებით გამყარება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ესე რამდენიმე სახეობად იყოფა: ლიტერატურულ-პუბლიცისტური; კრიტიკული; ფილოსოფიური; ისტორიული; სამეცნიერო; ბიოგრაფიული; ფსიქოლოგიური; სოციოლოგიური და ა.შ.

დეტალური გეგმის შედგენა

ტექსტის შესაქმნელად, დეტალური გეგმის შედგენა გაგიადვილებთ ესეს წერას, რადგან სწორად შედგენილ გეგმას ეყრდნობა მთელი ტექსტი.

დეტალური გეგმა საშუალებას მოგცემთ, მკაფიოდ და გამართულად ჩამოაყალიბოთ სათქმელი, ლოგიკურად წარმართოთ მსჯელობა და არ გადატვირთოთ იგი ზედმეტი ინფორმაციით.

გეგმის პირველი ვარიანტი შეიძლება ჩაასწოროთ მუშაობის პროცესში, დაუმატოთ ახალი პუნქტები ან პირიქით – ამოიღოთ ან გადაადგილოთ მისი შემადგენელი ნაწილები.

ჟანა კნაჭაძე

ინკლუზიური განათლება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებას და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მათ ინტეგრაციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

> **დღეს განათლების სისტემა ცდილობს, სკოლების ორგანიზება და სწავლების სტილი იმგვარად შეცვალოს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალობა დაფასდეს და მათი განსხვავებული საჭიროებები დაკმაყოფილდეს**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის ყველა ის მოსწავლე, რომელიც ხასიათდება: 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომლებსაც სჭირდებათ გრძელვადიანი მკურნალობა/ჰოსპიტალიზაცია; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ.

არცთუ შორეულ წარსულში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ფორმალურ განათლებას მხოლოდ ინსტიტუციურ დაწესებულებებში, კერძოდ, სკოლა-ინტერნატებში იღებდნენ. მათი უმრავლესობა ყოველგვარი განათლების გარეშე რჩებოდა. ძალიან იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობდნენ.

დღეს დემოკრატიული საზოგადოება მიზნად ისახავს, რომ ყველა მოზარდს ხარისხიანი განათლება მისცეს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს, ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თანატოლებთან ერთად მიიღოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს ყველა დემოკრატიული სახელმწიფო მიზნად ისახავს ინკლუზიური განათლების დანერგვას.

ინკლუზიური განათლება ხშირად განიხილება, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრაცია, რაც, სინამდვილეში, ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი, და არა ერთადერთი მიმართულებაა. დღეს ინკლუზიურ განათლებას განმარტავენ, როგორც იდეას, მრწამსსა თუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა ტიპის საჭიროებებისა. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იმ ბავშვებზე, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საფრთხე ემუქრებათ. ისინი შეიძლება იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები: განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები, უსახლკარო ბავშვები; ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელები და ა.შ.

ინკლუზიური განათლება ეფუძნება მიდგომას, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა თავისი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით და არა კონკრეტული საგანი თუ პროგრამა. ხარისხიანი განათლების მიღება მაშინ

არის შესაძლებელი, როცა სწავლების მეთოდები და სტრატეგიები მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა მორგებული და არა პირიქით. შესაბამისად, ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვი სკოლაში განიცდის, სკოლის და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზების, სწავლების მეთოდიკის ნაკლად განიხილება და არა მოსწავლის სისუსტედ.

ეს მიდგომა არსებითად განსხვავდება წარსულში არსებული მიდგომისგან, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საჭიროება ინდივიდის „ნაკლოვანებად" ითვლებოდა და პედაგოგთა მთელი ძალისხმევა ასეთი მოსწავლეების რეაბილიტაციაზე – მათი ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და უნარების „აღდგენაზე" იხარჯებოდა. მათი აზრით, ეს ყველაფერი საშუალებას აძლევდა მოზარდს, რომ სკოლის გარემოს მორგებოდა და იმ მოთხოვნებისა თუ მიზნებისათვის ეპასუხა, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა უსახავდა. მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამგვარი მიდგომა ადამიანის უფლებების დარღვევაა და თან არაეფექტურია სასწავლო შედეგების მიღწევის თვალსაზრისითაც.

დღეს განათლების სისტემა ცდილობს, სკოლების ორგანიზება და სწავლების სტილი იმგვარად შეცვალოს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალობა დაფასდეს და მათი განსხვავებული საჭიროებები დაკმაყოფილდეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემოღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, კერძოდ, მათთვის, ვისაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა არ შეუძლია. სკოლა იღებს ვალდებულებას, შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის. ასეთი გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით იქმნება და მათში სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში აუცილებლად მონაწილეობს მოსწავლის მშობელი, კლასის დამრიგებელი და სხვა სპეციალისტები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელიც მონაწილეობას იღებს როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, ასევე ზოგადად, ინკლუზიური განათლების დანერგვასა და უზრუნველყოფაში, სპეციალური მასწავლებელია. მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლების კომპეტენცია და ასევე შეუძლია დაეხმაროს მათ მშობლებს, მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ამ მოზარდების ინტეგრაციის პროცესში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება კლასის დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, მისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მორგებისა თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების დროს. ის მათ რეკომენდაციებს აძლევს მოსწავლის განათლებასთან, ქცევის მართვასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დღეს ბევრი სირთულეა ინკლუზიური განათლების სფეროში. საკმაოდ ცოტაა სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი, ვისაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება აქვს. არ არსებობს სპეციალური მასწავლებლის სტანდარტიც. ეს ყველაფერი მცირე ნაწილია იმ პრობლემური საკითხებისა, რომელთა გადაჭრა აუცილებლია იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა შესაძლებელი გახდეს.

ასეთი სირთულეების არსებობამ განაპირობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ინკლუზიური განთლების ცალკე მიმართულებად გამოყოფა. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელზეც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მუშაობს, სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი და სამუშაოს აღწერილობაა – ის როლი და პასუხისმგებლობა, რომელიც სპეციალურ მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა თუ კლასში, სპეციალურ კლასსა თუ ნებისმიერ სხვა საგანმანათლებლო სივრცეში. მომავალში ამ სტანდარტის და სამუშაოს აღწერილობის მიხედვით მოხდება როგორც უკვე დასაქმებული სპეციალური მასწავლებლების გადამზადება, ასევე ამ სფეროში საუნივერსიტეტო განათლების დაგეგმვაც.

ადამიანური რესურსების სიმცირის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ყველა იმ ადამიანის ცოდნა და გამოცდილება, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან წლების მანძილზე მუშაობენ. საქართველოში სპეციალიზებული პროფილის მქონე 13 სკოლაა. ასეთი სკოლების განვითარება ისე უნდა მოხდეს, რომ საკუთარ რეგიონებში მათ ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშემწყობი ცენტრის ფუნქცია შეითავსონ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სპეციალურ სკოლებში, პედაგოგთა სპეციალური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგებს გეგმავს. პარალელურად ამ სკოლების მასწავლებლები მომზადდებიან, როგორც კონსულტანტები, რომლებიც რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ითანამშრომლებენ და დაეხმარებიან მათ სსსმ მოსწავლეების შეფასების, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის და კლასში ჩართვის პროცესში.

სპეციალურ სკოლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საკუთარ რეგიონის მოსახლეობის ინფორმირების პროცესში. ინკლუზიური და სპეციალური განათლებისადმი მიძღვნილი სემინარები ყველა რეგიონში მოეწყობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით. მათზე განხილული იქნება, თუ რა გზებსა და საშუალებებს უნდა მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლება უზრუნველყოს.

ვფიქრობ, აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვას და დაეხმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

ეკა მამაცაშვილი

მასწავლებლობის მაძიებლობა და მენტორობა – პირველი ნაბიჯი პროფესიაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემაში ბოლო პერიოდში ორი პრიორიტეტული მიმართულება გამოიკვეთა. ერთი მხრივ, გაიზარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების მიზნობრიობის, ხარისხის კონტროლი და დაფინანსება. ამ ტრენინგებში მონაწილეობა მასწავლებელთა სულ უფრო მზარდ რაოდენობას შეუძლია, მეორე მხრივ, დიდი ყურადღება ეთმობა პროფესიაში ახალი, კვალიფიციური და მომზადებული კადრების მოზიდვას, რაც ასევე მნიშვნელოვანწილად უკავშირდება არსებული, გამოცდილი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციას.

> მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტის მიზანია, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის რეგულირების მიზნით, მოამზადოს საფუძველი საქართველოში მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარებისთვის;

სკოლაში გამოცდილი მასწავლებლები დამწყებ კოლეგებს სხვადასხვა ფორმით ეხმარებიან. შექება, წახალისება, პრაქტიკული რჩევები, მაგალითების დემონსტრირება, ლიტერატურა, სპეციალისტებთან დაკავშირება, მეგობრული შენიშვნები მხარდაჭერის ის მაგალითებია, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები დაუგეგმავად, სახელდახელოდ მიმართავენ; ზოგჯერ კი ისინი კარგად დაგეგმილი სქემის და სტრატეგიის მიხედვით მოქმედებენ.

მენტორობა კვალიფიციური, გამოცდილი მასწავლებლის მიერ მაძიებლისთვის, დამწყები ან ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლისთვის გაწეული მიზანმიმართული და გააზრებული დახმარებაა. მენტორის მიზანია, დაეხმაროს დამწყებ მასწავლებელს პროფესიონალ პედაგოგად ჩამოყალიბებაში, კერძოდ, ხელი შეუწყოს მას ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული პედაგოგიური უნარ-ჩვევების შეძენაში, საკუთარი პედაგოგიური პოტენციალის გამოვლენაში, გამოცდილების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში. ამ ამოცანების შესრულება ძალიან რთულია, თუ მენტორი ზრდასრულთა სწავლების კომპეტენციებს არ ფლობს.

უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარებული კვლევების თანახმად, მენტორობის ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამწყები მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის, არამედ თავად მენტორი-მასწავლებლისთვისაც. როგორც წესი, ასეთი გამოცდილების შემდეგ უმჯობესდება სწავლების ხარისხი: მენტორები თავის მოსწავლეებთან აქტიურად იყენებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა მოსმენა, შეკითხვების დასმა, რჩევების მიცემა. ისინი კლასის მართვის ახლებურ სტრატეგიებსაც მიმართავენ.

მენტორები აღნიშნავენ, რომ დამწყებ მასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათ ახალ იდეებს შთააგონებს სასწავლო გეგმასა და ზოგადად, სწავლებასთან დაკავშირებით, ხელს უწყობს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებისა და სწავლა-სწავლებასთან დამოკიდებულების გააზრებაში.

მაძიებლობის პერიოდის წარმატება მხოლოდ მენტორზე არ არის დამოკიდებული. მაძიებლობის პროცესში არსებითია მაძიებლის მოტივაცია, საუნივერსიტეტო მომზადების მაღალი დონე და ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური კოლექტივის ჩართულობა, რესურსების ხელმისაწვდომობა და სხვა.

აშშ-სა და ევროპაში მენტორობის ინსტიტუტი მოქმედებს არა მარტო განათლების სფეროში, არამედ ბიზნესსა და მედიცინაშიც.

მენტორობა-მაძიებლობის მიმართულებით მუშაობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყო და უკვე მეორე წელია, იგი მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტს ახორციელებს.

საპილოტე პროექტის მიზანია:

- გამოავლინოს მაძიებლობასთან/ მენტორობასთან დაკავშირებული ტენდენციები;
- მასწავლებლის პროფესიაში შესვლის რეგულირების მიზნით, მოამზადოს საფუძველი საქართველოში მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარებისთვის;
- ხელი შეუწყოს დამწყები მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებას.

2008-2009 სასწავლო წელს პროექტის პირველ ეტაპზე ჩართული იყო 48 მაძიებელი და 28 მენტორი 24 საჯარო სკოლიდან (თბილისის, თელავის, გორის, ახალციხის, ქუთაისისა და ბათუმის, ასევე ქობულეთის რ-ნის სოფ. ჩაისუბნისა და ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ზოტის სკოლებიდან).

პროექტის განხორციელების დაწყებამდე, ინტენსიური ტრენინგების შედეგად, მენტორებმა გააცნობიერეს მენტორობის არსი და შეიძინეს აუცილებელი კომპეტენციები.

მაძიებლობის ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში მაძიებლები საფუძვლიანად გაეცნენ მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას, ეროვნულ სასწავლო გეგმას, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, სწავლისა და სწავლების თეორიებს; შეიძინეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვასა და შეფასებასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები. თავიდან ისინი საგაკვეთილო პროცესში მენტორებთან ერთად მონაწილეობდნენ, ხოლო მაძიებლობის პერიოდის ბოლოს უკვე დამოუკიდებლად ატარებდნენ გაკვეთილებს. მათ რამდენიმე სადემონსტრაციო გაკვეთილიც ჩაატარეს.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ხორციელდებოდა მაძიებლებისა და მენტორების შუალედური ტრენინგები, მონაწილეთა აზრის კვლევა და მონიტორინგი. პროექტის ფარგლებში მომზადდა ტრენინგ-პროგრამა მენტორებისთვის, მაძიებლებისა და მენტორების შუალედური ტრენინგ-პროგრამები, გაიწერა მენტორისა და მაძიებლის უფლება-მოვალეობები და შემუშავდა მენტორის სახელმძღვანელო.

საქმიანობის წარმატებაზე შედეგების მიხედვით მსჯელობენ. ასეა მაძიებლობის საპილოტე პროექტის შემთხვევაშიც. პროექტის შედეგი ციფრებში ასე გამოიყურება: პროექტის მონაწილე 48 მაძიებლიდან 15 მასწავლებლად დასაქმდა სხვადასხვა სკოლაში. მათი უმრავლესობა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელია.

პროექტის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დასაქმებულთა რიცხვი სასურველზე ბევრად მცირეა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი ქალაქის სკოლებში თითქმის არ არსებობს ვაკანსიები, მით უმეტეს ახალბედა, გამოუცდელი მასწავლებლისთვის.

მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მაძიებელი მონაწილეობს პროექტში „ასწავლე საქართველოსთვის“ და ამჟამად წარმატებით ასწავლის დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. საბათლოს სკოლაში. „ასწავლე საქართველოსთვის“ ცენტრის მიერ ინიცირებული კიდევ ერთი პროექტია, რომლის მიზანია ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება იმ სკოლებში, სადაც კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა შეინიშნება (ეს განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებს ეხება).

2009 წლის ივნისში, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე, პროექტის მეორე ეტაპი დაიგეგმა. შეიქმნა პროექტის მონიტორინგის გეგმა, დაიხვეწა მენტორისა და მაძიებლისთვის განკუთვნილი კითხვარები, მომზადდა სკოლის დირექტორის, პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარები. დაიხვეწა და უფრო შინაარსობრივი გახდა გაკვეთილზე დაკვირვებისა და მაძიებლის საქმიანობის შეფასების ფორმა.

პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება 2009-2010 სასწავლო წელს დაიწყო თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 23 საჯარო სკოლაში, მათგან 10 სკოლა უკვე მეორე წელია, პროექტში მონაწილეობს, ხოლო 13 პირველად ჩაერთო. აღსანიშნავია სკოლების მხრიდან დიდი დაინტერესება, რაც, სავარაუდოდ, პროექტის დადებითმა რეზონანსმა გამოიწვია. სკოლები მოტივაციისა და ცენტრში წარმოდგენილი მენტორების კანდიდატურების კვალიფიკაციის მიხედვით შეირჩა.

ძირითადი აქცენტი მენტორების რაოდენობის გაზრდასა და შერჩევა-მომზადებაზე გაკეთდა. გაიზარდა კონკურსის წესით შერჩეული მაძიებლების რაოდენობაც. ამჟამად პროექტის მე-2 ეტაპზე მონაწილეობს 30 მენტორი და თბილისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების, თბილისის ილია ჭავჭავაძის, თელავის იაკობ გოგებაშვილის, ქუთაისის აკაკი წერეთლისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების 52 მაძიებელი.

აღსანიშნავია რომ პროექტის მე-2 ეტაპზე მოხდა ინკლუზიური განათლების კომპონენტის ინტეგრირება. მაძიებლობის პროექტში მენტორის სტატუსით შეირჩა ორი სპეციალური მასწავლებელი და ოთხი მაძიებელი. სპეციალურ მასწავლებელს გააჩნია კომპეტენცია, ასწავლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და დახმარება გაუწიოს მათ მშობლებს, მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში სსსმ მოსწავლეების ინტეგრაციის პროცესში.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: მზადდება 2010-2011 სასწავლო წლის მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა, მაძიებლის სახელმძღვანელო და მენტორის სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია.

მენტორისა და მაძიებლის სახელმძღვანელოები მაძიებლებისა და მენტორების ყოველდღიური გზამკვლევი /სამაგიდო წიგნია, რომლის მიზანია, დაეხმაროს პროგრამის მონაწილეებს მაძიებლობის პროცესის ეფექტურად წარმართვაში. ეს სახელმძღვანელოები უახლოეს მომავალში გამოიცემა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

მაძიებლობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს მაძიებლობის ინსტიტუტის ეფექტურად დანერგვა და შესაბამისი ნორმატიული და ინსტიტუციური ბაზა, რათა მაძიებლობის მასშტაბები გაფართოვდეს. პროგრამის ფარგლებში შეირჩევა 500-600 მაძიებელი – პედაგოგიური განათლების მქონე პირი და საგნის სპეციალისტი, რომლებსაც სკოლაში მუშაობის გამოცდილება არ აქვთ. ისინი მაძიებლობის ერთწლიან პერიოდს საქართველოს სხვადასხვა სკოლაში გაივლიან 120 მენტორის ხელმძღვანელობით, რომლებიც სპეციალური ტრენინგ-პროგრამის მიხედვით მომზადდებიან.

პაატა ჩორგოლაშვილი

ეფექტური სკოლა

თანამედროვე განათლების მიზანი მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა კი არ არის, არამედ შემოქმედებითი თვითგანვითარების ხელშეწყობა და გაცილებით ფართო, პრაქტიკულად გამოსაყენებელი ცოდნის მიცემა.

> **მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტის მიზანია, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის რეგულირების მიზნით, მოამზადოს საფუძველი საქართველოში მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარებისთვის;**

თანამედროვე გამოწვევების ფონზე მასწავლებელმა მედიატორის ფუნქცია უნდა იტვირთოს მოზარდსა და საზოგადოებას შორის. მან ბავშვის მოქალაქედ ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი უნდა ითამაშოს. ეს ერთგვარი მისიაც არის და პასუხისმგებლობაც. მოგეხსენებათ, მისიის ქონა ეფექტური სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

მისია მოიცავს:

ა) საერთო ფასეულობების ჩამოყალიბებას;
ბ) მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით მოქმედებას;
გ) ხელმძღვანელობასა და ინსტრუქციების მიცემას.

ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა მოსწავლეს ცოდნას აძლევს ცალკეული საგნების მიხედვით, მაგრამ აღზრდის, პიროვნების განვითარების მხრივ სასურველ შედეგს ყოველთვის ვერ აღწევს. ამიტომაა მნიშვნელოვანი, სასწავლო გეგმები მარადიულ ფასეულობებს ეყრდნობოდეს. ამავდროულად თანამედროვე აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის ადაპტირებაც უნდა მოხდეს. არ შეიძლება, სკოლა მოწყვეტილი იყოს საზოგადოებას. მოზარდს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, როგორი საზოგადოების წევრი უნდა იყოს მომავალში და რა ევალება მას, როგორც მოქალაქეს.

ჩვენ ცვლილებებისა და გარდატეხის პერიოდში ვცხოვრობთ. ყოველი ცვლილება მტკივნეულად აღიქმება. ამ დროს:

- საჭიროა, მკაფიო წარმოდგენა გქონდეს ცვლილებებზე;
- საჭიროა ერთგვარი ზეწოლა ცვლილების განსახორციელებლად;
- ცვლილება მოითხოვს პატარა საქმეების წამოწყებას დიდი ჩანაფიქრით;
- შედეგების მოლოდინში საჭიროა მოთმინება და თანმიმდევრულობა;
- ასევე საჭიროა გეგმის მიხედვით მოქმედება და თან მოქნილობა.

ცვლილება, როგორც წესი, ყველა საზოგადოებასა და ფორმირებაში კონფლიქტს იწვევს, ყველგან არის მისი მომხრეც და მოწინააღმდეგეც. ცვლილების მართვა კონფლიქტის მართვას გულისხმობს.

ცვლილების მიუღებლობა რამდენიმე ფორმით გამოიხატება:

- რწმენით, რომ „ყველაფერი ისედაც კარგად არის“;

- ინტერესისა და მოტივაციის უქონლობით: „რატომ უნდა გავაკეთო ეს ზედმეტი სამუშაო?“;
- კოლეგების რეაქციის შიშით: „მესმის, მაგრამ ეს გააღიზიანებს ჩემს კოლეგებს“, ან „ჩემი სკოლის დირექტორი ამას არაფრით დათანხმდება“;
- მასალების, წყაროებისა და დროის ნაკლებობის ხაზგასმით: „ამას ვერ გავაკეთებ, რადგან საკმარისი მასალა არ მაქვს“;
- გარემოებების უნიკალურობის აღნიშვნით: „შეიძლება ეს სხვა სკოლებში მუშაობს, მაგრამ ჩემს სკოლაში (უბანში, რეგიონში, ქვეყანაში) ეს არ გამოვა. აქ სულ სხვა სიტუაციაა“.

სასურველია, ნებისმიერი ცვლილება თუ ექსპერიმენტი ისეთ ნიადაგზე განხორციელდეს, სადაც მოსამზადებელი სამუშაოებია ჩატარებული. ამიტომ როცა სიახლეების დანერგვაზეა საუბარი, სჯობს, ამ პროცესში თავად საზოგადოება ჩაერთოს. საგანმანათლებლო პროცესში კი საზოგადოება მართლაც დიდ როლს ასრულებს.

ეფექტური სკოლის მახასიათებლებია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, აქცენტი სასწავლო პროგრამასა და მეთოდოლოგიაზე, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების რეგულარული მონიტორინგი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია, კონტროლის მექანიზმი ყველგან არსებობს. რატომ ხდება ასე? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ რომ ქვეყნის მომავალი მომსახურე პერსონალის აღზრდა პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. საჭიროა ქმედითი კონცეფცია, რომელიც დაემყარება არა პოლიტიკურ-ეკონომიური ძალაუფლების განაწილებაზე ზრუნვას, არამედ:

1) საფუძვლიან გაგებას იმისა, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები და როგორ იქნებოდა უმჯობესი სასწავლო პროცესის წარმართვა;
2) თანამედროვე მოქალაქეთათვის სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გათვალისწინებას.

უნარ-ჩვევებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა და ინოვაციური აზროვნებაა. ინდივიდის წარმატება დამოკიდებულია ახალ სიტუაციებში ცოდნის შეძენის, შენახვისა და გამოყენების უნარზე, გუნდის წევრად მუშაობის უნარზე. ამდენად, მოთხოვნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: გონების სიფხიზლე და სიმკვირცხლე, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი, სწრაფად ცვალებად სიტუაციებსა და არამდგრად გარემოსთან შეგუების უნარი, გუნდური მუშაობის უნარი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ვაღწევთ წარმატებას, სწავლების ის მოძველებული მოდელია, რომელიც მოსწავლეებს რამდენიმე ნაკლს უტოვებს, კერძოდ:

- ცოდნის ნაკლებობა (მათ რაღაცა უბრალოდ არ იციან);
- ინერტული ცოდნა (მათ არ შეუძლიათ მიღებული ცოდნის სრულად გამოყენება);
- მიამიტური ცოდნა (ზოგჯერ მათი ცოდნა ზედაპირულია);
- რიტუალური ცოდნა (მათი ცოდნა მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში გამოიყენება).

სასწავლო პროცესი, უპირველესად, მაღალკვალიფიციურ მასწავლებელს მოითხოვს, რომელიც მოსწავლეთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს და თითოეულ მათგანს შინაარსიანი შემეცნებითი კავშირების დამყარებაში, ცოდნის გააზრებულად გამოყენებაში დაეხმარება.

პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებითი უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიურობის ხელშემწყობი ხერხები. ინტერაქტიური სწავლების დროს საკლასო ოთახში ხალისიანი, ხმაურიანი ატმოსფერო იქმნება. სწორედ ეს არის ნამდვილი სასწავლო გარემო, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სწავლების პროცესი სწორადაა წარმართული.

საჭიროა აგრეთვე სასწავლო კულტურის გაღრმავებაც. ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესის წარმმართველ პირებს. თუ მასწავლებელი და მშობელი თავად არ სწავლობენ, მაშინ ეს პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობს. ასე რომ, განათლების მთელი სისტემა სასწავლო ორგანიზაციად უნდა მოიაზრებოდეს.

ამ ყველაფრის ფონზე, ცალსახად აუცილებელია მასწავლებელთა სერტიფიცირება და სერტიფიკატის განახლების პროცესი, რაც უდავოდ სასურველი შედეგის მომტანი იქნება.

ეფექტური სკოლის კიდევ ერთი მახასიათებელი შესაფერისი სასწავლო კლიმატია, რომლის შესაქმნელადაც სასწავლო პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობაა საჭირო. მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრებაში მშობლების აქტიურად ჩართვა, მათი პასუხისმგებლობის გაზრდა, პრობლემური საკითხების გადაჭრაში მათი როლის განსაზღვრა.

მიზანშეწონილი იქნება, თუ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო მასალების შედგენაში. მათი სასწავლო პრაქტიკა, სკოლის სპეციფიკის ცოდნა, გამოცდილება ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას.

ამგვარად, გამოვკვეთეთ შემდეგი ასპექტები: განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, ცვლილებების აუცილებლობა, საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი განათლების სისტემის რეფორმის წარმატებით განვითარებას შეუწყობს ხელს.

სასკოლო ბიბლიოთეკები – აწმყო და მომავალი

სასკოლო ბიბლიოთეკების მოდერნიზების აუცილებლობის საკითხი დღის წესრიგში განათლების რეფორმის მიმდინარეობისას დადგა, თუმცა კონკრეტული პროგრამების განხორციელებას ხელი 2008 წლის აგვისტოს ომმა შეუშალა. ამიტომ საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები დღესაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. მხოლოდ ზოგიერთ კერძო სკოლაში შეიძლება ნახოთ, როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის შესაფერისი ბიბლიოთეკა.

ალეკო ცქიტიშვილი

საქართველოში სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარებაზე ზრუნვა – აუცილებლობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა სრულყოფილად ვერ შეასრულებს იმ მისიას, რასაც მას ბოლოდროინდელი გამოწვევები აკისრებს. თანამედროვედ მოწყობილ, ტექნიკურად გამართულ სასკოლო ბიბლიოთეკებს სოფლებსა და პატარა მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მასშტაბის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დატვირთვაც კი ექნებათ, თუკი მათ განახლებას თავი მოებმება.

2008 წლიდან, თბილისის მერიისა და საკრებულოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დედაქალაქის სასკოლო ბიბლიოთეკების ახალი წიგნებით მომარაგება დაიწყო. კომპეტენტურმა ჯგუფმა თითოეული სკოლისთვის 1000 ლარის ღირებულების ახალი წიგნები შეარჩია. „უკვე ათი წელია, ამ სკოლაში ვარ და მსგავსი დახმარება ჯერ არ მიგვიღია. ეს ჩვენთვის მართლაც ძვირფასი საჩუქარია“, – განაცხადა თბილისის 143-ე საჯარო სკოლის დირექტორმა მაია მელქაძემ, როცა ბიბლიოთეკისათვის 200-მდე ახალი წიგნი გადასცეს.

„გასულ წელს 200-მდე წიგნი ჩვენმა ბიბლიოთეკამაც მიიღო. შერჩევისას კარგად გაუთვალისწინებიათ როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების ინტერესები, აგრეთვე, საპროგრამო მასალაც. ძირითადად შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა მივიღეთ, მათ შორის, ინგლისურენოვანი ენციკლოპედიური გამოცემებიც, რომლებიც ბავშვებს ძალიან მოსწონთ“, – გვითხრა 64-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარმა ციცინო მაღალთაძემ.

მოძველებული ავეჯი, სახელდახელოდ შეკეთებული თაროები, ჩამოწერილი თუ ჩამოსაწერი გამოცემები, წლობით გაურემონტებელი ინტერიერი, არანაირი ტექნიკა... ეს მხოლოდ თბილისის 64-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხვედრი არ არის. საქართველოს საჯარო სკოლების უმრავლესობაში მსგავსი სურათია.

„ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდი 14 300 წიგნს მოიცავს, აქედან 2538 გამზადებულია ჩამოსაწერად, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრო ამ პროცესს ინვენტარიზაციას უკავშირებს და აჩერებს. არადა, ეს არის საბჭოთა პერიოდის მეთოდური სახელმძღვანელოები პედაგოგებისათვის – გასული საუკუნის 60-იანი, 70-იანი, 80-იანი წლების გამოცემები, რომლებიც დღეს აღარავის სჭირდება, რადგან სრულიად სხვა სასწავლო პროგრამებია და მასწავლებლებიც სხვა მეთოდებით ასწავლიან. თუმცა ყველა ამ გამოცემის ორ-ორ ეგზემპლარს მაინც ვიტოვებ – თუკი პედაგოგს დაჭირდება, სხვაგან რომ არ დაიწყოს ძებნა“, – ამბობს ბიბლიოთეკარი და გვთხოვს, მივაწვდინოთ ხმა ეკონომიკის მინისტრს, დროულად გადაწყვიტოს ჩამოსაწერად გამზადებული საბჭოთა მეთოდური სახელმძღვანელოების საკითხი.

„21-ე საუკუნეში ბიბლიოთეკები აღარ განიხილება მხოლოდ წიგნების საცავად. სასკოლო ბიბლიოთეკა, თანამედროვე რეალობაში, საგანმანათლებლო ცენტრია. იგი სკოლის მეორეხარისხოვანი დანამატი კი არ არის, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ ავანგარდი სასწავლო ფრონტის წინა ხაზზე“, – ამბობს თბილისში გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი, ინტერდისციპლინარული კურსის მასწავლებელი თამარ გვარამაძე. მისი თქმით, საკლასო ოთახებში დაწყებული სწავლის პროცესი სკოლის ბიბლიოთეკაში გრძელდება. აქ მოსწავლეები და მასწავლებლები მხოლოდ ინფორმაციას კი არ იღებენ, არამედ რჩევებსაც ამ ინფორმაციის მოხმარების შესახებ.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, სკოლა ქართულია, ქართველი ბავშვებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამითა და გარემოთი. აკადემია ამაყობს თავისი ბიბლიოთეკით, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით არის მოწყობილი. ბიბლიოთეკის ინტერიერი “Bibliotech Corporation”-ის წარმომადგენელმა, კეროლაინ მარკუსონმა მოაწყო. წიგნების პირველი კოლექციაც მან გამოიწერა.

ამერიკული აკადემიის საწიგნო ფონდი ამჟამად 6000-მდე წიგნს მოიცავს. წიგნები დარბაზის კედლებზე მოწყობილ თაროებში დიუის საკატალოგო სისტემით არის დალაგებული. ეს სისტემა გულისხმობს წიგნების დანომრვას საგნის მიხედვით, რაც მოზარდებს მათ მოძებნას უადვილებს. კედლებიდან ორი მეტრის მოშორებით, სიგრძეზე, სამკითხველო მაგიდებია ჩარიგებული. ეს სივრცე დარბაზის შუაგულისგან თხელი მიჯნით არის გამოყოფილი. მიჯნის მეორე მხარეს კომპიუტერებით აღჭურვილი მაგიდებია. დარბაზის შუაგულში დიდი ოვალური მაგიდაა, დისკუსიებისა და ტრენინგებისთვის. ბიბლიოთეკის ერთ კუთხეში ძველებური უჯრებიანი საბარათეა მოთავსებული, რომელსაც აღარავინ იყენებს, რადგან წიგნების მოძებნა კომპიუტერიზებული კატალოგით გაცილებით იოლია.

თამარ გვარამაძე, *გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი*: „წიგნების გარდა, ბიბლიოთეკას პერიოდული ჟურნალ-გაზეთებიც სჭირდება. პერიოდიკას ცალ-ცალკე ვერ ვიწერთ, მაგრამ სამაგიეროდ გამოწერილი გვაქვს ინტერნეტ-ციფრული რესურსი – SIRS Researcher (ProQuest). ეს არის ფასიანი ელექტრონული ბაზა, რომელიც თავს უყრის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1800 დასახელების ჟურნალ-გაზეთის პუბლიკაციებს და ყოველდღიურად მდიდრდება ახალი სტატიებით. გარდა ამისა, ინტერნეტი გვეხმარება, მოვიძიოთ უამრავი სხვა მასალა, რაც ჩვენს მოსწავლეებს სჭირდებათ სხვადასხვა დავალების შესასრულებლად“.

„ჩვენს ბიბლიოთეკაში ხშირად მოდიან კონსულტაციისათვის სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლად დანიშნული ბიბლიოთეკარები. ეს განათლებული, ჭკვიანი და მონდომებული ადამიანები, უმთავრესად, სხვა დარგების სპეციალისტები არიან. ისინი გრძნობენ, რომ სპეციალური ცოდნა სჭირდებათ ბიბლიოთეკის საქმეში და ამიტომაც გვთხოვენ დახმარებას. ვცდილობთ, მაქსიმალურად გავუზიაროთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, თუმცა შეზღუდულ დროში ყოვლისმომცველი და ამომწურავი კონსულტაცია შეუძლებელია“, – ამბობს თამარ გვარამაძე, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთი ასეთი „ბიბლიოთეკარი“ იყო, სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 2004 წელს კი მან აშშ-ში, სიმონს კოლეჯის მეცნიერებათა მაგისტრის წოდება მიიღო საბიბლიოთეკო საქმისა და საინფორმაციო მეცნიერების მიმართულებით. როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რამდენი რამ არ იცოდა და ალბათ ვერც ისწავლიდა, სპეციალური განათლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში რომ არ მიეღო. სიმონს კოლეჯი სწორედ საბიბლიოთეკო საქმის მაღალ დონეზე სწავლებით არის ცნობილი.

როგორც ჩანს, სასკოლო ბიბლიოთეკების გამოცოცხლებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად გადაქცევას, სულ ცოტა, რამდენიმე წელი მაინც დასჭირდება. მთავარია, აღნიშნულ დარგს სახელმწიფო სხვადასხვა სპეციალური პროგრამით დაეხმაროს, თუნდაც – დასავლეთის სასწავლებლებში კადრების მომზადებით. სასკოლო ბიბლიოთეკების მტვრიანი თაროები მზრუნველ ხელს ელის.

სასკოლო წრეები - ცოცხალი გაკვეთილი და თავისუფალი აზროვნება

ზოგიერთ საჯარო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების პარარელურად, ტექნიკური, ენობრივი, საგნობრივი, მხატვრული შემოქმედების წრეები ფუნქციონირებს. წრეების ჩამოყალიბებამ კითხვას გადაჩვეული ბავშვები წიგნებისკენ მოაბრუნა. სიახლისადმი ინტერესი, ცოცხალი გაკვეთილები, თავისუფალი აზროვნება – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რის გამოც მოსწავლეები აქტიურად წევრიანდებიან სხვადასხვა კლუბებსა თუ წრეებში.

თამარ შველიძე

ეს არ არის ჩვეულებრივი გაკვეთილები, აქ ფანტაზიის თავისუფლება, არჩევანის უფლება გვაქვს. დასკვნებს თავად ვაკეთებთ, ვმოგზაურობთ დროსა და სივრცეში.

რუსუდან მეგრელიშვილი, *21-ე საჯარო სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:* ჩემი წრე „ცივილიზაციათა დიალოგი, კულტუროლოგია და ჟურნალისტიკა" ხელს უწყობს თანამედროვე კულტურულ სივრცეში ყველაზე არსებითს – დიალოგს, კომუნიკაციას სხვადასხვა დროსა და სივრცის ცივილიზაციათა შორის. სასურველია მოზარდმა საკუთარი პიროვნება სწორედ ამ ჭრილში გაიაზროს. ვცდილობთ, ახალგაზრდებს განვუვითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გააანალიზონ ესა თუ ის საკითხი და ვერბალურად თუ წერილობით აზრის გადმოცემა თავისუფლად შეძლონ. ჩვენი მიზანია მოსწავლეთა აზროვნების დიაპაზონის გაფართოება, მათი ინტეგრაცია თანამედროვე და კლასიკურ ლიტერატურასთან, ცივილიზაციათა შორის პარალელების გავლება, მოსწავლემ უნდა შეძლოს თავისი დამოკიდებულება გამოხატოს მარადიულ ღირებულებებსა თუ ესთეტიურ ფასეულობებზე. ამ წრის ჩამოყალიბების იდეა შემეცნების გამდიდრებასთან ერთად ისიცაა, რომ მკითხველი წიგნს დაუბრუნდეს.

სასკოლო საგნის სწავლებისას ბავშვი უფრო შეზღუდულია, მას პიროვნების ჩამოყალიბებისთვის სჭირდება თუნდაც კამიუს წაკითხვა, რასაც ჩვეულებრივ გაკვეთილზე ვერ მასწრებს და ვერ ისწავლის. წრე გაკვეთილისგან განსხვავებით დიდ თავისუფლებასა და თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აქ არ არის დასწავლის მომენტი და ბავშვი ერთგვარი ინტელექტუალური თანამშრომლობის სიამოვნებასაც იღებს. რაც ყველაზე სასიხარულოა ეს თაობა ისეთი ინფანტილური არ არის, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს.

ნინო ბატიაშვილი, *მე-11 კლასის მოსწავლე:* ეს არ არის ჩვეულებრივი გაკვეთილები, აქ ფანტაზიის თავისუფლება, არჩევანის უფლება გვაქვს. დასკვნებს თავად ვაკეთებთ, ვმოგზაურობთ დროსა და სივრცეში, თავად ვხდებით ნაწარმოებების პერსონაჟები. ვეცნობით როგორც ქართულ და უცხოურ ლიტერატურას. თუმცა, არ ვსწავლობთ მხოლოდ ლიტერატურას, არამედ ცხოვრებას, ზნეობას, მორალს, ადამიანურ ურთიერთობებს. ვპოულობთ ერთმანეთს და საკუთარ თავს. ეს წრე რომ არ არსებობდეს ძალიან ბევრს დავკარგავდი. აქედან გასული არცერთი ბავშვი არ შემოალაგებს ცოდნას თაროზე, ამ ცოდნას ცხოვრებაში გამოვიყენებთ.

ეკა კობიძე, *მე-11კლასის მოსწავლე:* პირველ რიგში ლიტერატურის სიყვარული და მისი სწორად აღქმა

ვისწავლე. განსხვავაებული აზრისა და იდეების მოსმენა გვეხმარება ნაწარმოებში არსებული პრობლემის გააზრებაში. სკოლის საგნები კონკრეტულ წიგნებსა და პარაგრაფების შესწავლას მოიცავს, წრეზე კი არჩევანის თავისუფლება გვაქვს.

21-ე საჯარო სკოლაში კიდევ ერთი „დისკუსიების კლუბია“ გახსნილი, რომელსაც ისტორიის პედაგოგი **მაგდა ჯანელიძე** ხელმძღვანელობს:

წრე 2007 წლიდან მოქმედებს. მინდა მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ დისკუსია ურთიერთობის ფორმაა, როცა კი არ იმარჯვებ, არამედ მიდიხარ კონსესუსამდე. წრის ძირითადი მიმართულებებია – არგუმენტაციის შექმნის გზები და სტრატეგია; ეფექტური კომუნიკაცია და უშუალოდ ურთიერთობა საზოგადოებასთან და კონფლიქტების მოგვარების გზები და საშუალებები. მოსწავლე სწავლობს, თუ რა განსხვავებაა დიალოგსა და დებატებს შორის.

მაია გოგიჩაიშვილი, *მე-12 კლასის მოსწავლე:* წრე ბევრად მეტს მაძლევს, ვიდრე სკოლის გაკვეთილები. აქ არამარტო თეორიულ ცოდნას ვიძენთ, არამედ პრაქტიკაში ვიყენებთ მას. ხდება ჩვენი როგორც მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბება და ინტერესების გაღრმავება. ასევე, ვისწავლეთ არგუმენტირებულად ჩვენი აზრის ჩამოყალიბება, ვმართავთ საინტერესო დისკუსიებს, რასაც გაკვეთილებზე მოკლებული ვართ. რაც მთავარია ვსწავლობთ ერთმანეთთან ურთიერთობას, მოსმენას, რისი დეფიციტიცაა დღეს.

ასეთივე სპეციფიკის წრე 55-ე საჯარო სკოლაშიც ფუნქციონირებს, რომელსაც **ლელა მათიაშვილი** ხელმძღვანელობს: „აქტიურობა დიდია, თავიდან წრეზე 11 ბავშვი დადიოდა, ახლა 22 მოსწავლეა. ვასწავლი, რომ მათი მსჯელობა კონკრეტულ საკითხზე არგუმენტირებული უნდა იყოს. ეს წრე ხელს უწყობს თავისუფალი აზროვნების განვითარებას, ასევე ენობრივი ბარიერის გადალახვასაც, მხედველობაში მაქვს წინადადებების გრამატიკული თანწყობა. მოსწავლეებს ეძლევათ მეტი გასაქანი თავისუფლად ჩამოაყალიბონ აზრი ამა თუ იმ პრობლემაზე. მსჯელობას, დისკუსიას ეჩვევა მოსწავლე, ასევე ეხსნება კომპლექსი, რომელიც საკუთარი აზრის გამოთქმის შიშში გამოიხატება. ასეთი წრეები სკოლის ცხოვრებას გაცილებით საინტერესოს ხდის.

53-ე საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგს, **მედეა მეტრეველს** 2008 წლიდან სკოლაში „ეკოლოგიური კლუბი“ აქვს გახსნილი:

კლუბის მიზანი მოსწავლის ეკოლოგიური აზროვნების ამაღლებაა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ რა გარემოში ცხოვრობენ და რა ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანის მოქმედებას გარემოზე. კლუბის წევრებმა იციან, რომ თითო მოჭრილი ხე ჟანგბადის ნაკლებობას ნიშნავს. კლუბის ეგიდით ეწყობა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, სხვადასხვა შეხვედრები, გვინდა ეკოლოგიური მოძრაობა მასშტაბური გახდეს, რათა თითოეულმა მოსწავლემ იცოდეს რამდენად ღირებულია სამყარო, სადაც იგი ცხოვრობს. ეკო-კლუბის ყველა წევრმა იცის, რომ ქუჩაში გასაყიდად გამოტანილი პროდუქტი მავნეა და მათი მიღება არ შეიძლება იმიტომ, რომ მავნე ნივთიერებას – ტყვიას შეიცავს, რადგან ქუჩაში გამონაბოლქვი ბევრია. ასევე, იციან რა საფრთხის შემცველია ცელოფნის პარკი წვისას. ვაპირებთ სემინარების ჩატარებას სხვა სკოლებში, რათა მათაც გავუზიაროთ დაგროვილი ცოდნა. 2009 წელს საქართველოში ბაღის ფრინველთა საათი ჩატარდა და სერთიფიკატი მოგვენიჭა.

სკოლებში ხშირია ენობრივი წრეებიც, რომელთაც სასკოლო საგნისგან განსხვავებული დატვირთვა აქვთ. 50-ე საჯარო სკოლაში „ინგლისური ენის კლუბი“ ფუნქციონირებს. რომელსაც პედაგოგი ხელმძღვანელობს **ნინო გუდაშვილი:**

კლუბის ჩამოყალიბების იდეა მომდინარეობს ამერიკელი და უცხოელი მოსწავლეების უკეთ გაცნობის სურვილიდან. ინგლისურს გაკვეთილზეც ვასწავლი, თუმცა იქ არ არის ისეთი თავისუფლება, როგორც კლუბში და სწავლება აბსოლუტურად სხვა კუთხით მიმდინარეობს. ის, რომ ამერიკაში 50 შტატია, კლუბში გაწევრიანებამდე ბევრმა არ იცოდა, ანუ ინფორმაციული თვალსაზრისითაც მდიდრდებიან ბავშვები. ვაპირებთ გავაკეთოთ თბილისის დაგეგმარება ინგლისუ-

რად, ბავშვები მოიპოვებენ ინფორმაციებს ქუჩების შესახებ, ვისი სახელობისაა, რა შენობა-ნაგებობებია და ა. შ. გარდა ამისა, ინგლისურ წიგნს ვთარგმნით ქართულად, რაც მათ ენასთან მუშაობის გამოცდილებას ზრდის. ერთ-ერთი მოსწავლე დაინტერესდა მოიპოვოს ინფორმაცია ამერიკის პრეზიდენტებზე.

ნიკა ფცქიალაძე, *მე-10 კლასის მოსწავლე:* ძალიან საინტერესო პროექტებზე ვმუშაობთ, ვთარგმნით წიგნებს, რაც ცოდნას გვიღრმავებს. კლუბში ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ, გაკვეთილის სტრუქტურა გაცილებით მოსაწყენია.

55-ე საჯარო სკოლაში ირანის საელჩოს ინიციატივით ისწავლება სპარსული ენა, რომელსაც **ქეთევან მეგრელიშვილი** ასწავლის და რომელიც ასევე ხელმძღვანელობს სკოლაში არსებულ „სპარსულ კლუბს“: კლუბი ირანის საელჩოს ინიციატივით ჩამოყალიბდა: ირანის საელჩო 6 თებერვალს ატარებს ბავშვთა სამხატვრო გალერეაში ღონისძიებას, სადაც მონაწილეობას ჩვენი წრის ბავშვებიც მიიღებენ. აქ ხდება არამარტო ენის შესწავლა, არამედ ბავშვებს ვაცნობ ირანის კულტურას, ისტორიას, მოსწავლეებმა უკვე იციან ირანელი პოეტების ლექსებიც.

სკოლებში ჩვენ სახელოვნებო წრეებიც ვნახეთ. 47-ე საჯარო საჯარო სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელს, **ნინო ალექსიძეს** სკოლაში ხელოვნების სალონი აქვს გახსნილი: სალონში ვასწავლით მხატვრულ კითხვას, გვაქვს შეხვედრები ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან. მოსწავლეებს გაკეთებული აქვთ ილუსტრაციებით გაფორმებული 5 ხელნაწერი წიგნი, რომლის ყდები თექითაა დამზადებული. აღსანიშნავია, რომ ვთანამშრომლობთ ნიუ-იორკის ბადის უნივერსიტეტის კინო-ხელოვნების ფაკულტეტთან. მათ მოგვაწოდეს ფილმი „თეთრი დროშა“, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი გოგონას ერთი დღის ისტორიას აღწერს, ფილმში გამოყენებულია სოხუმის დაცემის დოკუმენტური კადრები და მივიღეთ ექსკლუზიური უფლება ფილმის ქართულად თარგმნის. ჩვენი სალონის მოსწავლეები ამ ფილმს სინქრონში გაახმოვანებენ, როგორც მსახიობები, შედგება პრეზენტაცია. ცოცხალი მეცადინეობა დიდ სტიმულს აძლევს ბავშვებს. წრე დიდ თავისუფლებას და ბავშვის შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას უწყობს ხელს.

ნელი ჟუჟუნაშვილი, *50-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:* „ჩემი წრის სახელწოდება წიგნის მოყვარულთა კლუბია“. იდეა სამი წლის წინ დაიბადა, ქართულის გაკვეთილებზე ვითხოვთ და ვაიძულებთ ისწავლონ და წიგნები წაიკითხონ, მაგრამ ოჯახების დიდ ნაწილში ეს კულტურა დაკარგულია. მთავარია ბავშვმა იგრძნოს რომ ლიტერატურა განყენებული არ არის და რასაც წაიკითხავს მის ცხოვრებად უნდა იქცეს, ანუ ზნეობრივი მაგალითი ლიტერატურიდან უნდა აიღოს და გაიზარდოს მოქალაქედ. ბავშვების ინტერესი მეცადინეობის ჩატარების პირველივე დღიდან წამოვიდა, ბედნიერი დღე იყო, როცა ყველას ანტიგონე ეკავა ხელში. „მოსწავლეთა სასახლის“ სამართლის წრიდან მოსამართლე და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი მოვიწვიე, რომლებიც დისკუსიაში მონაწილეობდნენ. ამ ნაწარმოებში ზნეობა და სამართალი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ახლა, ვაპირებთ „ჰამლეტი“ წავიკითხოთ და თემა ზნეობა და სახელმწიფოს მართვა იქნება. ბავშვებს უფრო ისეთი ნაწარმოებები აინტერესებთ, სადაც მოქმედება ხდება, რათა შემდეგ იმსჯელონ, საპროგრამო ლიტარატურაში ასეთი ნაწარმოებების ნაკლებობაა.

მარი გაბელია, *მე-8 კლასის მოსწავლე:* ამ კლუბით ჩემი დაინტერესება ლიტერატურის სიყვარულმა გადამაწყვეტინა, თანაც კლუბში ყურადღებას ვამახვილებთ ადამიანის ზნეობასა და მოქალაქეობაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის აკრედიტაციის კოორდინატორი **პაატა პაპავა** ამბობს რომ, სასკოლო წრეების ერთ-ერთი საკვანძო მახასიათებელია ამ კლუბებში გაწევრიანებისა და მონაწილეობის ნებაყოფლობითობა, საერთო ინტერესის მიხედვით.

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ:

- უკეთ გააცნობიერონ საკუთარი ინტერესები, ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი მიდრეკილებები, პროფესიული ორიენტირები და სხვ.
- გაიჩინონ ახალი მეგობრები და დაამყარონ მათთან საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობა.
- შეხვდნენ განსხვავებული შეხედულებების, პოზიციების მქონე მოსწავლეებს. გაუზიარონ მათ საკუთარი მოსაზრებები და დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხების მიმართ. გადალახონ ურთიერთობაში არსებული ბარიერები.
- თავად გამოთქვან იდეები და ინიციატივები, შექმნან და სხვებთან ერთად განახორციელონ ახალი პროექტები, განივითარონ გუნდური მუშაობისა და ლიდერობის უნარ-ჩვევები.
- ნაყოფიერად გამოიყენონ თავისუფალი დრო.

სასურველია, სკოლა გულისხმიერად მოეკიდოს ამგვარ ინიციატივებს და სხვადასხვა რესურსებით უზრუნველყოს წრეებისა და კლუბების საქმიანობა. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში კლუბების საქმიანობა ნაბეჭდი ან ონ-ლაინ გამოცემების დამზადებას და გავრცელებასაც გულისხმობს, რასაც მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან. კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება ინფორმაციის სწრაფად და უფასოდ გამოქვეყნების საშუალებას იძლევა. ზოგიერთ ქვეყანაში მოსწავლის ამა თუ იმ კლასგარეშე პროგრამაში მონაწილეობა მის დახასიათებაში/პორტფოლიოში აისახება და განათლების მომდევნო საფეხურზე ან დასაქმების დროს ყურადღება ექცევა.

45 წელი სკოლაში

საქართველოს სკოლებში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, მოსწავლეს თუ მასწავლებელს, გიპასუხებთ, რომ დღეს ყველაზე პოლულარული სასკოლო საგანი უცხო ენაა, განსაკუთრებით კი – ინგლისური ენა.

ბელა ჩეკურიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უცხო ენის სწავლაზე დაძალება აღარავის სჭირდება, სასწავლო პროცესი საინტერესო და ცოცხალი რომ იყოს, სკოლის პედაგოგებს სხვადასხვა მეთოდის მოფიქრება უწევთ – კედლის გაზეთით დაწყებული და უცხოენოვანი მხატვრული საღამოებით დამთავრებული.

162-ე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ეთერ თალაკვაძე 45 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და უცხო ენის ეფექტურად სწავლებისათვის თავისი მეთოდები აქვს უკვე შემუშავებული. ეთერი მასწავლებელი ამ პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრული საღამოების ჩატარებას, რომელიც სახალისოცაა, შემეცნებითიც და ენის გასაწაფიც.

„პედაგოგობის 45 წლის განმავლობაში სკოლა კი არა, თეატრი არ დარჩა, ღონისძიება რომ არ ჩამეტარებინა, – ამბობს ეთერი მასწავლებელი და იხსენებს:

რუსთაველის თეატრი, მუსკომედიის, თოჯინების, თავისუფლების მოედანზე, ვაკის პარკში, სომხურ სკოლაში, აზერბაიჯანულ სკოლაში, სად არ დავატარებდი ჩემს მოსწავლეებს და სხვადასხვა თემატიკის საღამოებს ვმართავდით. ჩვენი პროგრამით მივდიოდით მუზეუმებში.

გასულ წელს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაზე რომ ჩავატარე საღამო, მაშინ ვთქვი, ეს ბოლოა-მეთქი და წელს მოსაწვევები რომ მიმქონდა დასაბეჭდად, აკი ბოლო იყოო? – მითხრეს. არა, ეს უკვე ნამდვილად ბოლოა-მეთქი. მაგრამ ჩემი მოსწავლეები უკვე ახალი ღონისძიებისათვის ემზადებიან, არჩევანი თავისუფალი აქვთ, რა თემაც უნდათ, იმას აირჩევენ ხელოვნებაზე, იქნება ეს კინო, მხატვრობა თუ ქანდაკება“..

მორიგი ინგლისურენოვანი საღამო კი, რომელიც 162 სკოლაში ჩატარდა, ინგლისელი და ამერიკელი მწერლების შემოქმედებას ეძღვნებოდა და

„ჩემი მოსწავლეებისგან მეც ბევრს ვსწავლობ. და სწავლა სიბერემდეო, მართალი ყოფილა“.



მასში მე-8-9-10 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ინგლისურის მასწავლებელმა მათ მისცა დავალება, მოეგროვებინათ მასალა იმ მწერალთა შესახებ, ვის შემოქმედებასაც იცნობდნენ. ეთერი მასწავლებელთან ერთად მათ 8 მწერლის ბიგრაფია და შემოქმედება დაამუშავეს. და მიწვეული სტუმრების – მშობლებისა და მასწავლებლების წინაშე სპეციალური პროგრამით წარდგნენ:

შექსპირის ბიოგრაფიაზე მარი დათუსანმა ისაუბრა, შემოქმედებაზე – თამთა ბრეგვაძემ, ხოლო „რომეო და ჯულიეტადან“ პროლოგი ორიგინალში წაიკითხა მე-10 კლასის მოსწავლემ სალომე ფხაკაძემ.

„ბრეგვაძემ თქვა, მე შექსპირს გავაკეთებო. ვკითხე, შექსპირიდან რა გავარჩიოთ-მეთქი? – „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტიო“. მოძებნა ინფორმაცია, როგორ დაიდგა პირველად სცენაზე შქსპირი, ვინ შეასრულეს როლები და ა.შ.“ – გვიხსნის ეთერი მასწავლებელი.

თამთა ბრეგვაძემ, მარი დათუსანმა, ვოვა ტერაშვილმა და მარი კერესელიძემ მოამზადეს ოსკარ უალიდის ბიოგრაფია და მოთხრობა „ვარსკვლავთბიჭუნა“. დანიელ დეფოს ბიოგრაფია და შემოქმედება, სადაც „რობინზონ კრუზოც“ შედიოდა, მე-8 კლასელებმა თინიკო თავბერიძემ და ნიკა სიხარულიძემ წარმოგვიდგინეს. მოვისმინეთ ჯეკ ლონდონის ბიოგრაფია, ჯონათან სვიფტის ცხოვრების ეპიზოდები – ამაზე სალომე ჩილაჩავამ ისაუბრა. ჩარლზ დიკენსის შესახებ მე-9 კლასელმა თინიკო გუბაურმა ისაუბრა. მარკ ტვენის ბიოგრაფია სანდრო ქვათაძემ გაგვაცნო, თემურ მაღლაკელიძე კი მოგვიყვა, როგორ შეიქმნა ტომ სოიერი. მარკ ტვენის ცხოვრებიდან მოსწავლეებმა სხვადასხვა ეპიზოდები მოიძიეს.



ეთერი მასწავლებელი მათ მოსაწვევი ბარათების შედგენასაც ასწავლის, რაც ასევე ღონისძიების ნაწილია – იმასაც ხომ ცოდნა უნდა, როგორ მოიპატიჟო სტუმარი! ინგლისელი და ამერიკელი მწერლების შემოქმედების საღამოს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ავტორი ტატიანა ბუკიაც ესწრებოდა, რომელმაც გულწრფელად გვითხრა: „ისეთი ინგლისურით იყო „ინვითეიშენი“ შედგენილი, როგორ არ მოვიდოდიო“.

ეთერ თალაკვაძე: „ამით არა მხოლოდ ინგლისური ენის, ზოგადად, ინგლისური კულტურისადმი ინტერესიც ღვივდება. რასაკვირველია, ინგლისური ენა აღარ არის ის საგანი, რომელსაც „ძალით“ ასწავლიდნენ. მოსწავლეთა ინტერესი ძალიან დიდია, მათ იციან რომ უნდა ისწავლონ.

„მეც მომეცით მასწ, რამე, მეც ვისწავლი“ – ისეთმა ბავშვმა მთხოვა ეს, რომელიც ინგლისურს საერთოდ არ სწავლობს. მე არ შევდივარ მე-10 კლასში, მასწავლებელი შევცვალე შემთხვევით და რომ გაიგეს მე-8-9 კლასებთან ერთად ინგლისელი და ამერიკელი მწერლების შემოქმედებით საღამოს ვამზადებდი, ნიკა კალანდაძემ, თეონა თუხარელმა, მანანა დუმბაძემ და სალომე ფხალაძემ მითხრეს: „მასწ, ჩვენც რომ მივიღოთ მონაწილეობა, შეიძლებაო“?

დაბალ კლასებში ზეპირმეტყველებას ვსწავლობთ ლექსებით, სიმღერებით და ცეკვებით. ისეთ ლექსებს ვარჩევ, სადაც ძველი ლექსიკა მეორდება და ახალიც ემატება. სემესტრის ბოლოს ეს ყველაფერი მშობლების და მასწავლებლების წინაშე გამოგვაქვს. სხვადასხვა კლასში სხვადასხვა სტილის ღონისძიებას ვატარებთ, გააჩნია, რა თემატიკას გავდივართ“.

ეთერი მასწავლებელს ახსოვს ის დროც, როცა ევროპულ ენებზე მეტად რუსული ენის სწავლა იყო პრესტიჟული, შესაბამისად, მაშინდელი პროგრამაც იოლი იყო. დღეს პროგრამაც გართულდა და მოთხოვნებიც. ენის სწავლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა მეთოდიკა, სახელმძღვანელოები და გაკვეთილის მსვლელობაც კი.

„ახლა ჯგუფებად სხედან 4-4 და ერთად არჩევენ ტექსტს, აქედან შეიძლება ერთმა იაქტიუროს და ოთხივეს ეთვლება. მაღალ კლასებში ასეთი მეთოდი ნაკლებად ამართლებს, გვიჭირს ასე მუშაობა. ამას დაწყებითი კლასიდანვე უნდა მიჩვევა. 25 მოსწავლიდან 5 სწავლობს მხოლოდ, დანარჩენი 20 მასწავლებლებს ჩვენი ნერვების ხარჯზე გვიჭირავს. ახალი მეთოდით ითვლება, რომ გაკვეთილზე ხმამაღალი სჯა-ბაასი უნდა იყოს, შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემთვის რთულია ამგვარი გაკვეთილი, თუნდაც სიტყვების გამოკითხვა“ – ამბობს ღვაწლმოსილი პედაგოგი.

შესაძლებელია სწავლების თანამედროვე მეთოდებით, სკოლის პირობებში უცხო ენის სრულყოფილად შესწავლა?

ეთერ თალაკვაძე თვლის, რომ თუკი მოსწავლე სასკოლო პროგრამას კეთილსინდისიერად მიჰყვება, ენას სრულყოფილად ისწავლის: „როცა ყველა ასო და ბგერა დამუშავებული გვაქვს, ლექსიკას დაეუფლება და კითხვას არ დაიზარებს, არ შეიძლება არ ისწავლოს“.

ხოლო იმისათვის რომ მოსწავლეებს ეს სიზარმაცე მოუხსნას, ეთერი მასწავლებელს მათთვის ენერგია და ფანტაზია უშრეტად აქვს.

ასეა თუ ისე, მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ სასწავლო პროცესი ცოცხალი და საინტერესო იყოს. მოსწავლეთა დაინტერესების საუკეთესო საშუალება კი კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებაა, რაც ბავშვებს ძალიან ახალისებთ.

შეიძინეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ **თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს, „პლანეტა ფორტე“-სა და „ელვა-სერვისის“ საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!**

გამოიწერეთ **ჟურნალი „მასწავალებელი“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში!**

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშწორებით.
ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარპრესა, 7 22 42;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;
ახალციხე	დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;
მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
სენაკი	რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46;
ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
ცაგერი	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
წალკა	ლენინის ქ. 68
წალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2›, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;
„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ვენის ძველ კაპელმაისტერთან მივიდა ყმაწვილი და გაუწოდა კონვერტი თავისი პირველი მუსიკის მასწავლებლის სარეკომენდაციო წერილით, თან გაუბედავად სთხოვა, კონტრაპუნქტი ესწავლებინა მისთვის.

კაპელმაისტერმა გახსნა კონვერტი და წაიკითხა: „ამ წერილის მომტანი სუფთა მეოცნებეა, რომელიც შეიშალა, რადგან ფიქრობს, მუსიკაში გადატრიალება მოახდინოს. მას სრულიად არა აქვს ტალანტი და, რასაკვირველია, ცხოვრებაში ვერ შექმნის ვერაფერს რიგიანს. მისი გვარია იოზეფ ჰაიდნი“.